

საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო  
საზოგადოების განვითარების 2025 – 2030 წლების  
სტრატეგია

## სარჩევი

შემოკლებათა განმარტება:.....	4
შესავალი.....	5
1. არსებული სიტუაციის ანალიზი.....	13
მეთოდოლოგია.....	13
1.1 ფართოზოლოვანი ციფრული კავშირი.....	14
პრობლემა 1: ციფრული უთანასწორობა და გაციფრულების არასათანადო ხელშემწყობი გარემო.....	19
გამომწვევი ფაქტორები:.....	21
უარყოფითი შედეგები:.....	22
1.2 ციფრული სერვისები და სანდო ინფრასტრუქტურა.....	23
პრობლემა 2: ციფრული სამთავრობო სერვისების არასაკმარისი განვითარება.....	28
გამომწვევი ფაქტორები.....	29
უარყოფითი შედეგები:.....	30
1.3 ციფრული მეწარმეობა, საწარმოების ციფრული ტრანსფორმაცია და ინოვაციები.....	30
პრობლემა 3: ადგილობრივი ტექნოლოგიური საწარმოების და სტარტაპების ზრდის, აგრეთვე მცირე და საშუალო საწარმოების ციფრული ტრანსფორმაციის დაბალი ტემპი.....	34
გამომწვევი ფაქტორები:.....	35
უარყოფითი შედეგები:.....	36
1.4 ციფრული ფინანსური სერვისები.....	37
საქართველო, როგორც „შუა დერეფნის“ ფინტექ-ჰაბი.....	39
პრობლემა 4: ციფრული ფინანსური სერვისების გამოყენების დაბალი დონე.....	42
გამომწვევი ფაქტორები.....	44
უარყოფითი შედეგები:.....	44
1.5 ციფრული უნარები და ინკლუზია.....	45
პრობლემა 5: ციფრული დაყოფა და დაბალი ინვესტიცია ციფრული უნარების განვითარებაში, ციფრული გარიყულობა.....	50
გამომწვევი ფაქტორები.....	52
უარყოფითი შედეგები:.....	54
2. სტრატეგიის ხედვა.....	55
3. სტრატეგიული პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები.....	57
3.1 ფართოზოლოვანი ციფრული კავშირის განვითარება.....	57
მიზანი 1: ციფრული უთანასწორობის დაძლევა.....	57

ამოცანა 1.1: ციფრული სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება და გაციფრულების ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბება.....	59
ამოცანა 1.2: საქართველოში ციფრული და მაღალი ტექნოლოგიების წარმოების ხელშეწყობა.....	61
<b>3.2 ციფრული სერვისების და სანდო ინფრასტრუქტურის განვითარება.....</b>	<b>62</b>
<b>მიზანი 2: ციფრული საჯარო სერვისების გაუმჯობესება.....</b>	<b>62</b>
ამოცანა 2.1: ციფრული მმართველობის ძირითადი ხელშემწყობი მექანიზმების გაძლიერება.....	64
ამოცანა 2.2: ღია მონაცემების და დიდი მონაცემების შეგროვების, დამუშავების, გაზიარების და გაცვლის პრაქტიკის დახვეწა.....	65
<b>3.3 ციფრული მეწარმეობა, საწარმოების ციფრული ტრანსფორმაციის ხელშეწყობა და ინოვაციების განვითარება.....</b>	<b>66</b>
<b>მიზანი 3: ბიზნესების გაციფრულების ხელშეწყობა.....</b>	<b>66</b>
ამოცანა 3.1: ბიზნესების და IT კომპანიებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.....	67
ამოცანა 3.2: სანდო და უსაფრთხო ხელოვნური ინტელექტის (AI) სერვისების განვითარების ხელშეწყობა.....	69
<b>3.4 ციფრული ფინანსური სერვისების განვითარება.....</b>	<b>70</b>
<b>მიზანი 4: ციფრული ფინანსური სერვისების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა.....</b>	<b>70</b>
ამოცანა 4.1: ციფრული ფინანსური სერვისების ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობა.....	72
ამოცანა 4.2: ფინანსური ტექნოლოგიების მიმართულებით ინოვაციების განვითარების ხელშეწყობა.....	74
<b>3.5 ციფრული უნარების და ინკლუზიის განვითარება.....</b>	<b>75</b>
<b>მიზანი 5: ციფრული განათლების, ციფრული წიგნიერებისა და ინკლუზიის განვითარების ხელშეწყობა.....</b>	<b>75</b>
ამოცანა 5.1: საგანმანათლებლო რესურსების განვითარება და ციფრული უნარებისა და ინკლუზიის გაძლიერება.....	76
ციფრული ტრანსფორმაციის მდგრადობის ხელშეწყობა.....	78
<b>4. სტრატეგიის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება.....</b>	<b>79</b>

შემოკლებათა განმარტება:

<b>AI</b>	-	ხელოვნური ინტელექტი
<b>API</b>	-	პროგრამული უზრუნველყოფის ინტერფეისი
<b>BEREC</b>	-	ელექტრონული კომუნიკაციების ევროპული მარეგულირებლების ორგანო
<b>BIS</b>	-	საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი
<b>B-READY</b>	-	"ბიზნესისთვის მზაობის" რეიტინგი
<b>CAF</b>	-	შეფასების ერთიანი სისტემა
<b>CBDC</b>	-	ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა
<b>ComCom</b>	-	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
<b>CPSS- IOSCO</b>	-	ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის პრინციპები
<b>DCFTA</b>	-	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე
<b>DESI</b>	-	ევროკავშირის ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების ინდექსი
<b>DPI</b>	-	ციფრული საჯარო ინფრასტრუქტურა
<b>eID</b>	-	ელექტრონული იდენტიფიკაცია
<b>EMIS</b>	-	განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
<b>G2B</b>	-	მთავრობა ბიზნესს
<b>G2C</b>	-	მთავრობა მოქალაქეს
<b>GDPR</b>	-	ზოგადი მონაცემთა დაცვის რეგულაცია
<b>GeWallet</b>	-	საქართველოს ციფრული საფულე
<b>ICT</b>	-	საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
<b>IoT</b>	-	ნივთების ინტერნეტი
<b>ISO</b>	-	საერთაშორისო სტანდარტების ორგანიზაცია
<b>IT</b>	-	საინფორმაციო ტექნოლოგიები
<b>ITU</b>	-	საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი
<b>KYC</b>	-	იცნობდე შენს მომხმარებელს
<b>MVNO</b>	-	მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორი
<b>NGA</b>	-	შემდეგი თაობის წვდომის ქსელი
<b>OECD</b>	-	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
<b>PFM</b>	-	საჯარო ფინანსების მართვა
<b>POS</b>	-	გაყიდვის წერტილი
<b>PSD2</b>	-	ევროკავშირის საგადახდო მომსახურების მეორე დირექტივა
<b>RLAH</b>	-	როუმინგი, როგორც სახლში
<b>RTGS</b>	-	დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა
<b>SEPA</b>	-	ერთიანი ევრო გადახდების სივრცე
<b>SMEs</b>	-	მცირე და საშუალო ზომის საწარმოები
<b>TIER III/IV</b>	-	მონაცემთა ცენტრების კლასიფიკაციის სისტემა
<b>TRIPS</b>	-	მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ
<b>UNDP</b>	-	გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა
<b>USAID</b>	-	ამერიკის შეერთებული ტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო
<b>VASP</b>	-	ვირტუალური აქტივების მომსახურების პროვაიდერი
<b>WB</b>	-	მსოფლიო ბანკი

## შესავალი

უკანასკნელ წლებში საქართველოში, ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში განხორციელებულმა რეფორმებმა, პროგრამებმა და შესაბამისმა კანონმდებლობამ განაპირობა სფეროს მნიშვნელოვანი განვითარება და ინტერნეტის მოხმარების ზრდა, რომელმაც ასახვა ჰპოვა ქვეყნის ციფრული ბაზრის განვითარებაში, საჯარო და კერძო სექტორში მრავალი ელექტრონული მომსახურებების დანერგვაში. შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების დონე სახელმწიფოსა და მოქალაქეს, სახელმწიფოსა და ბიზნესს, ასევე ბიზნესებს შორის ურთიერთობისას. თანამედროვე ტექნოლოგიებით განვითარებულმა ელექტრონული კომუნიკაციების ქსელებმა შესაძლებელი გახადა წარმატებით დანერგილიყო თანამედროვე ციფრული სერვისები. ციფრული ტრანსფორმაციის პროცესები ქვეყანაში დიდი ხნის დაწყებულია და ახალმა პროექტებმა, პროგრამებმა, სტრატეგიებმა და საკანონმდებლო ინიციატივებმა ხელი უნდა შეუწყოს მის შემდგომ განვითარებას, რათა საქართველო არ ჩამორჩეს ციფრული ტრანსფორმაციის კუთხით მსოფლიოში არსებულ ტენდენციებს.

აღსანიშნავია საქართველოს მთავრობის და ხელისუფლების ყველა შტოს მზაობა ციფრული ტრანსფორმაციისთვის, რაც ასევე დასტურდება იმ ფაქტით, რომ ინტერნეტზე წვდომის უფლება გამყარებულია საქართველოს კონსტიტუციით, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს დემოკრატიული პროცესის წარმართვაში. ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს ინტერნეტზე წვდომის უფლება, რათა გამოიყენოს და ისარგებლოს აზრისა და გამოხატვის თავისუფლებით, ისევე როგორც სხვა ფუნდამენტური უფლებებით.

კოვიდ-19 პანდემიამ და მისი გავრცელების შესაჩერებლად სოციალური დისტანცირების და მობილობის შემცირების ზომებმა, მძიმედ დააზარალა გლობალური ეკონომიკა. ახლა, როდესაც გლობალური ეკონომიკა გაჯანსაღებას იწყებს, საქართველო აგრძელებს პანდემიის პერიოდში დაწყებულ, საჯარო და კერძო სერვისების გაციფრულებასთან დაკავშირებულ აქტივობებს, რათა დააჩქაროს ციფრული ტექნოლოგიების მასშტაბური გამოყენება და შესაბამისად, ციფრული ეკონომიკის განვითარება.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორი, გადამწყვეტ როლს ასრულებს ციფრულ ეკონომიკაში. იგი ხელს უწყობს უფრო მეტად პროდუქტიული და კონკურენტუნარიანი ეკონომიკის განვითარებას. მრავალრიცხოვანმა კვლევებმა აჩვენა, რომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, დადებითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე, როგორც საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მწარმოებელ, ისე სამომხმარებლო მიმართულებით.

ციფრული ეკონომიკა, რომელიც მოიცავს ციფრული ტექნოლოგიების ინტენსიურ გამოყენებას სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებსა და ურთიერთქმედებებში, საქართველოში ინტენსიურად ვითარდება. 2023 წლის მონაცემებით, შინამეურნეობების დაახლოებით 95.7<sup>1</sup> პროცენტს და ბიზნესის 94.2<sup>2</sup> პროცენტს აქვს კავშირი ფიქსირებულ ინტერნეტთან (ხოლო

<sup>1</sup> <https://www.comcom.ge/ge/>

<sup>2</sup> <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/105/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-satsarmoebshi>

მობილურ ინტერნეტთან - 125% (სიმკვრივე მოსახლეობაში<sup>3</sup>)). ამასთან, გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები 5G სერვისის კომერციული დანერგვის მიმართულებით. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ აქტიური მხარდაჭერით, 2023 წელს საქართველოს ბაზარზე მსოფლიოს მოწინავე სატელიტური ფართოზოლოვანი ინტერნეტ სისტემა - Starlink შემოვიდა, რომელიც უზრუნველყოფს მაღალსიჩქარიან, დაბალი დაყოვნების მქონე ფართოზოლოვან სატელიტურ ინტერნეტს, მათ შორის, იმ ადგილებში, სადაც ინტერნეტ კავშირი დაბალი ხარისხის ან სრულიად მიუწვდომელია. ამასთან, კომპანია SpaceX-მა საქართველოს ტექნოპარკები პარტნიორების პროგრამაში ჩასვა, რაც გულისხმობს ტესტირების პროცესში მონაწილეობას. აღსანიშნავია, რომ საქართველო (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) პირველი ქვეყანა გახდა რეგიონში, რომელიც სრულად დაიფარა Starlink-ის ინტერნეტით. მოსახლეობის მესამედზე მეტი ფინანსურ ტრანზაქციებს ახორციელებს ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით და სამთავრობო უწყებების უმეტესობა თავის სერვისებს სთავაზობს ციფრული არხებით.<sup>4</sup> არაერთი მეწარმე ავითარებს ინოვაციურ პროდუქტებსა და სერვისებს, მათ შორის, გლობალური ბაზრისთვის. ერთად ეს პროცესები მიუთითებს, რომ საქართველო მყარად დგას მომავლის გზაზე, სადაც მიაღწევს ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიზნებს გლობალური ციფრული ეკონომიკის კონტექსტში.

ბოლო პერიოდში, საქართველოში გაციფრულება განხორციელდა მრავალი მიმართულებით. საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიის განხორციელების მიზნით, პროექტის „Log-In Georgia“ ფარგლებში, დაიწყო ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამა; სტარტაპ გრანტებმა მხარდაჭერა გაუწია არაერთ ციფრულ ინოვატორს; მიმდინარეობს განათლების სისტემის გაციფრულება; დაინერგა ციფრული ფინანსური სერვისები და სხვა.

ციფრული ტრანსფორმაცია გავლენას ახდენს საზოგადოებაზე რამდენიმე ფაქტორით. წარმოების მხრივ, ციფრული ტრანსფორმაცია ბიზნესპროცესების ავტომატიზაციის საშუალებას იძლევა, რაც აისახება საოპერაციო ეფექტურობასა და პროდუქტიულობაზე, უზრუნველყოფს ახალ ბიზნეს შესაძლებლობებს, რაც დადებითად აისახება მეწარმეობის განვითარებაზე. ციფრული ტრანსფორმაცია ზემოქმედებს ადამიანურ ურთიერთობებზე და ინდივიდუალურ ქცევაზე, ხელს უწყობს დასაქმებას, მათ შორის თვითდასაქმებას, რადგან ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით გამარტივდა ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე გასვლა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ციფრულ ტრანსფორმაციას ასევე შეუძლია გამოიწვიოს პოტენციური უარყოფითი ეფექტები, ციფრული უნარების ნაკლებობით გამოწვეული უმუშევრობა, იმ კომპანიების გაქრობა, რომლებიც ვერ აყვნიან ტექნოლოგიურ სიახლეებს, კიბერდანაშაული და სხვა.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (Organization for Economic Cooperation and Development (OECD) დოკუმენტის მიხედვით<sup>5</sup>, ციფრული ტრანსფორმაციის

<sup>3</sup> საქართველო კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ანგარიში 2023 წ. (<https://www.comcom.ge/ge/the-commission/about-commission>)

<sup>4</sup> მსოფლიო ბაკის კვლევა - საქართველოს ეკონომიკის გადატვირთვა - ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების სტრატეგია ზრდის, ინკლუზიურობის, მდგრადობის და კონკურენტუნარიანობისთვის; [www.mygov.ge](http://www.mygov.ge); <https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data>

<sup>5</sup> <https://www.oecd.org/eurasia/competitiveness->

ზეგავლენა ბიზნესის მუშაობაზე, განაპირობებს პროდუქტიულობის მნიშვნელოვან ზრდას, რაც შეიძლება სხვადასხვა სახით გამოვლინდეს, დაწყებული ოპერაციების ეფექტურობის გაზრდით, დამთავრებული გაუმჯობესებული მარკეტინგისა და გაყიდვების საშუალებით მომხმარებელთა ფართო ჯგუფის მოცვით.

ისეთი ტექნოლოგიებით, როგორცაა მონაცემთა ანალიტიკა, რესურსების დაგეგმვის პროგრამული უზრუნველყოფა და ავტომატიზაცია, ბიზნესს შეუძლია მცირე დანახარჯებით გააუმჯობესოს ხარისხი. გარდა ამისა, მომხმარებელთა ონლაინ ინტერესების გაანალიზების გზით, ბიზნესს შეუძლია შეიქმნას უკეთესი წარმოდგენა მის საჭიროებებზე და შეიმუშაოს უფრო ეფექტური მარკეტინგული გზავნილები.

მიუხედავად ამისა, ბიზნესს არ შეუძლია უგულვებელყოს მრავალი რისკი და გამოწვევა, რომელიც ციფრულ ტრანსფორმაციასთან არის დაკავშირებული, როგორცაა კიბერუსაფრთხოებასთან და მომხმარებელთა მონაცემების კონფიდენციალობასთან დაკავშირებული რისკები. ეს ეხება როგორც ისეთ დამკვიდრებულ ტექნოლოგიებს, როგორცაა ციფრული გადახდები, ასევე განვითარებად ტექნოლოგიებს: მაგალითად, ხელოვნურ ინტელექტს (Artificial Intelligence (AI)), რომელიც ეთიკურ კითხვებს ბადებს და შესაძლოა საჭიროებდეს მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავებას. ნივთების ინტერნეტი (Internet of Things (IoT)) ამის კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს, რადგან მისი გამოყენება იწვევს კონფიდენციალობასთან/უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მზარდ გამოწვევებს. რისკის ყველა პოტენციური წყაროს გააზრება და მათ მოსაგვარებლად სტრატეგიების იდენტიფიცირება გაციფრულების პროცესის განუყოფელი და ფუნდამენტური ნაწილია. ამიტომ, ციფრული პოლიტიკის შემუშავების დროს, აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს აღნიშნული გამოწვევები. მათზე საპასუხოდ, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ახალი რეგულირებების კვალდაკვალ<sup>6</sup>, კერძოდ, ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტი და ევროპის საბჭოს კონვენცია ხელოვნური ინტელექტის, ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის შესახებ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“, მსოფლიო ბანკთან მჭიდრო თანამშრომლობით, აქტიურად მუშაობს საქართველოს ხელოვნური ინტელექტის სტრატეგიის შესამუშავებლად, რის საფუძველზეც ქვეყანაში შეიქმნება პირველი მომწესრიგებელი ჩარჩო, რომელიც უპასუხებს ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით არსებულ რისკებსა და გამოწვევებს და ამასთან, ქართული ხელოვნური ინტელექტის განვითარების პერსპექტივებს წარმოაჩენს.

ციფრულ ეკონომიკაში ინვესტიცია, ავტომატურად არ იწვევს წარმატებას. მართლაც, არსებობს არაერთი მაგალითი სხვადასხვა ქვეყანაში, რომლებშიც არასწორად განაწილდა საჯარო რესურსები, ან რისკები აქტიურად არ იმართებოდა, რამაც გამოიწვია არაოპტიმალური შედეგები და გაჭიანურდა ციფრული ეკონომიკის შესაძლებლობების სრული რეალიზაცია. ამგვარად, სტრატეგია ხელს შეუწყობს არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის და ციფრული ეკონომიკის საყრდენების ფოკუსირებას – ფართოზოლოვანი კავშირის, ციფრული პლატფორმების, ციფრული ფინანსური მომსახურებების, ციფრული ბიზნესების და ციფრული უნარების განვითარების მიმართულებით, რაც საფუძველს ჩაუყრის საქართველოს ციფრულ განვითარებას. ამასთან, ფუნდამენტური პროცესებისა და პოლიტიკის შექმნა ხელს შეუწყობს ციფრული ტრანსფორმაციის პროცესების შენელების რისკების მინიმუმამდე შემცირებას.

[programme/Fostering%20Business%20Development%20and%20Digitalisation%20in%20Georgia%20with%20cover](https://commission.europa.eu/news/ai-act-enters-force-2024-08-01_en)

<sup>6</sup> [https://commission.europa.eu/news/ai-act-enters-force-2024-08-01\\_en](https://commission.europa.eu/news/ai-act-enters-force-2024-08-01_en)

საქართველოს ციფრულ ეკოსისტემაში არსებობს გამოწვევები. ციფრულ საშუალებებზე ხელმისაწვდომობა კვლავ განსხვავებულია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფში, რაც ზღუდავს ადამიანების და ბიზნესების მონაწილეობას ციფრულ ეკონომიკაში. საჯარო სერვისები არ არის სრულად გაციფრულებული, რაც ამცირებს საჯარო სერვისების მიწოდების ეფექტურობას. ინოვაციების დანერგვისა და ფინანსური სერვისების განვითარების ტემპები საჭიროებს დაჩქარებას, რაც საშუალებას მისცემს უფრო მეტ ადამიანს და მცირე ბიზნესს, განსაკუთრებით სოფლად, გააციფრულონ და განაახლონ თავიანთი პროდუქტები და სერვისები. ამასთან, არსებობს შეუსაბამობა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (Information and Communication Technology (ICT)) სფეროს მუშახელის შესაძლებლობებში. ბევრი დამსაქმებელი აღნიშნავს, რომ ბევრს არ აქვს შესაბამისი უნარები.<sup>7</sup> ინოვაციების დანერგვის დაბალი ტემპები კერძო სექტორში ამცირებს ციფრული ბიზნესის ზრდასა და სამუშაო ადგილების შექმნას.

ციფრული ტრანსფორმაცია, ციფრული პლატფორმების მხარდაჭერით, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის განუყოფელი ნაწილი იყო ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე. მართლაც, საქართველომ გაიარა საჯარო ადმინისტრირების რეფორმების შთამბეჭდავი გზა, რამაც ქვეყანა რეგიონულ და გლობალურ დონეზე წარმოაჩინა როგორც ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი და ეფექტური ტრანსფორმაციის მქონე. საჯარო სერვისების მიწოდების სრულფასოვანი ოპტიმიზაციისა და ადმინისტრირების პროცესების გამარტივების შედეგად, საქართველოს რეიტინგმა „Doing Business“-ის მიხედვით, 112-ე ადგილიდან (2004) მე-7 ადგილზე გადაინაცვლა (2020),<sup>8</sup> ხოლო მსოფლიო ბანკის (World Bank (WB) 2024 წლის რეიტინგში "ბიზნესისთვის მზაობა"(B-READY), საქართველო, 50 ქვეყანას შორის, სინგაპურთან და ესტონეთთან ერთად პირველ სამეულშია. ხსენებული „B-READY“ ახალი რეიტინგით ჩანაცვლდა მსოფლიო ბანკის „Doing Business“-ის რეიტინგი<sup>9</sup>.

საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების 2025-2030 წლების სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა, შემუშავდა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, მათ მიერ მომზადებულ დოკუმენტზე „საქართველოს ეკონომიკის გადატვირთვა - ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების სტრატეგია ზრდის, ინკლუზიურობის, მდგრადობის და კონკურენტუნარიანობისთვის“ („Rebooting Georgia-Options for a digital economy & information society strategy for growth, inclusion, resilience, and competitiveness“) დაყრდნობით, რომლის შემუშავების პერიოდში ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი საჯარო უწყებების წარმომადგენლების ჩართულობით (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“; სსიპ „აწარმოე საქართველოში“; ა(ა)იპ „ოუფენ ნეტი“; სსიპ „საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო“; საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია; სსიპ „ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო“; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტო“; სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; სსიპ „საფინანსო-ანალიტიკურ სამსახური“; სსიპ „შემოსავლების სამსახური“; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა“; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური

<sup>7</sup> მსოფლიო ბანკის კვლევა - საქართველოს ეკონომიკის გადატვირთვა - ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების სტრატეგია ზრდის, ინკლუზიურობის, მდგრადობის და კონკურენტუნარიანობისთვის

<sup>8</sup> <https://archive.doingbusiness.org/en/data/exploreconomies/georgia>

<sup>9</sup> <https://openknowledge.worldbank.org/entities/publication/717d6abc-91cc-4a0b-9f5a-6f59e4b626bb>

დაცვის სამინისტრო; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ „საქართველოს ეროვნული ბანკი“; სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“; სსიპ „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური“ (საქსტატი); სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“; სსიპ „კიბერუსაფრთხოების ბიურო“; სსიპ „საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო“; პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური; სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრი - „საქპატენტი“; საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნული კომისია. მოსამზადებელ პერიოდში, მსოფლიო ბანკის ექსპერტების ჩართულობით, სამუშაო ჯგუფის წევრებისთვის გაიმართა ონლაინ პრეზენტაცია, რომლის მსვლელობისას, მსოფლიო საუკეთესო ტენდენციებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილ იქნა დოკუმენტის პრიორიტეტული მიმართულებები, შემდგომში მათი დოკუმენტში ასახვის მიზნით. მისი შემუშავების პროცესში, პროექტი ეგზავნებოდა სამუშაო ჯგუფის წევრებს, მათი მხრიდან წამორმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების ასახვის მიზნით.

საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების 2025-2030 წლების სტრატეგიის და მისი განხორციელების 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმის პროექტების საჯარო კონსულტაციების პროცესი, 2024 წლის 10 ოქტომბრიდან 18 ოქტომბრის ჩათვლით მიმდინარეობდა. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტები განთავსდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებგვერდზე: <https://www.economy.ge/?page=projects&s=18>.

საჯარო კონსულტაციების დაწყებამდე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უზრუნველყო როგორც სახელმწიფო უწყებებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, ასევე კერძო სექტორთან (შესაბამის ასოციაციებთან - მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების ასოციაცია და საქართველოს ციფრული ტრანსფორმაციის კონსორციუმი), ასევე მსოფლიო ბანკთან, აქტიური კომუნიკაცია და მათგან მიღებული მოსაზრებების ინტეგრირება ზემოაღნიშნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში.

საჯარო კონსულტაციებში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით, შერჩეულ იქნა როგორც ელექტრონული, აგრეთვე ფიზიკური კონსულტაციების მეთოდები.

ჯამში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში წერილობითი მოსაზრება და რეკომენდაცია წარმოადგინა 15-მა უწყებამ, მათ შორის 6-მა განაცხადა, რომ არ აქვთ შენიშვნები სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის პროექტებთან დაკავშირებით. ამასთან, კერძო სექტორის (შესაბამისი ასოციაციების) მხრიდან წარმოდგენილი იქნა 1 შენიშვნა.

წარმოდგენილი წინადადებები განიხილა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტმა.

წარმოდგენილი შენიშვნებიდან 38 წინადადება/კომენტარი გათვალისწინებულია და ასახულია სტრატეგიის ან/და მისი სამოქმედო გეგმის დოკუმენტებში, 3 - ნაწილობრივ გათვალისწინებულია, ხოლო 8 - არ არის გათვალისწინებული.

აღსანიშნავია, რომ თითოეულ წინადადებაზე/კომენტარზე უწყებებთან დამატებით შედგა ინდივიდუალური უკუკავშირი. შესაბამისად, მათ დეტალური და არგუმენტირებული საპასუხო პოზიცია მიეწოდათ.

ამასთან, საჯარო და კერძო დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და აკადემიურ წრეებთან ჩატარდა ინტერვიუები, საქართველოში ციფრული ეკონომიკის არსებული მდგომარეობის დასადგენად და სტრატეგიული განვითარების პოტენციური სფეროების განსაზღვრად.

საქართველოში ციფრული ტრანსფორმაციის პროცესების ძირითადი კოორდინატორია საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ასევე მნიშვნელოვანი როლი აქვს სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოს“, სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ და სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას“.

სტრატეგიის შემუშავების საფუძველი, გარდა იმ გარემოებისა, რომ 21-ე საუკუნე აღიარებულია ციფრულ ეპოქად და მნიშვნელოვანია საქართველო არ ჩამორჩეს გლობალურ ტექნოლოგიურ ტენდენციებს, არის ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, ასევე ევროკავშირის 2023 და 2024 წლის შეფასებები, სადაც საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების კუთხით, უმთავრეს ხარვეზად იდენტიფიცირებულია სწორედ ციფრული ეკონომიკის სტრატეგიისა და მაკოორდინირებელი მექანიზმის არარსებობა<sup>10</sup>, ასევე, „ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია“ და „სამთავრობო პროგრამა 2025-2028 მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით, კეთილდღეობით ევროპისკენ“<sup>11</sup>. აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტები, ნათლად განსაზღვრავს სტრატეგიის მიღების საჭიროებას, საქართველოში ციფრული ეკონომიკის, საინფორმაციო საზოგადოების სწრაფი ტემპებით განვითარებისა და ამ მიზნის მისაღწევად უკეთესი საკოორდინაციო მექანიზმის ჩამოყალიბების მიზნით. სტრატეგიის მიღების საფუძველი, ასევე არის ევროკავშირთან დინამიური დაახლოება და ევროკავშირის სტრატეგია „ციფრული კომპასი“ და „ციფრული დეკადა“.

სტრატეგია შეესაბამება, ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-8 თავის (თანამშრომლობა საინფორმაციო საზოგადოების სფეროში) 324-ე მუხლს - „მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ თანამშრომლობას საინფორმაციო საზოგადოების განვითარების კუთხით, რათა ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელებისა და ხელმისაწვდომ ფასად უკეთესი ხარისხის მომსახურების მიწოდების გზით სარგებლობა მოუტანონ მოქალაქეებსა და ბიზნეს სექტორს. თანამშრომლობა მიზნად ისახავს ელექტრონული საკომუნიკაციო ბაზრების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას, და ამ სფეროში კონკურენციისა და ინვესტიციების წახალისებას“.

<sup>10</sup> [https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/georgia-report-2023\\_en](https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/georgia-report-2023_en)  
[https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/georgia-report-2024\\_en](https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/georgia-report-2024_en)

<sup>11</sup> [https://www.gov.ge/files/90372\\_90372\\_536784\\_372256.pdf](https://www.gov.ge/files/90372_90372_536784_372256.pdf)

ევროკავშირის „ციფრული კომპასის“ და „ციფრული დეკადის“ სტრატეგია 2030 წლისთვის აერთიანებს ოთხ მთავარ მიმართულებას, რომლებიც მიზნად ისახავს ციფრული ტრანსფორმაციის ხელშეწყობას:

**1. ციფრული უნარები:**

- ევროკავშირის მოსახლეობის მინიმუმ 80%-მა უნდა შეიძინოს საბაზისო ციფრული უნარები;

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) 20 მილიონი სპეციალისტი უნდა იყოს დასაქმებული ევროკავშირში, განსაკუთრებული აქცენტით გენდერულ ბალანსზე.

ევროკავშირის ამ მიმართულებას შეესაბამება სტრატეგიის მიზანი 5, ამოცანა 5.1

**2. ციფრული ინფრასტრუქტურა:**

- ევროკავშირის ყველა შინამეურნეობას უნდა ჰქონდეს გიგაბიტ/წმ ინტერნეტ კავშირი;
- 5G ქსელები სრულად უნდა დაინერგოს ურბანულ და ძირითად სატრანსპორტო ზონებში.

ევროკავშირის ამ მიმართულებას შეესაბამება სტრატეგიის მიზანი 1, ამოცანა 1.1 და 1.2.

**3. ბიზნესის გაციფრულება:**

- მცირე და საშუალო საწარმოების (SMEs) მინიმუმ 75%-მა უნდა გამოიყენოს ძირითადი ციფრული ტექნოლოგიები, როგორცაა ხელოვნური ინტელექტი და დიდი მონაცემების ანალიზი;
- მინიმუმ 25,000 ტექნოლოგიური ჩართულობის მქონე სტარტაპი უნდა დაფუძნდეს.

ევროკავშირის ამ მიმართულებას შეესაბამება სტრატეგიის მიზანი 3, ამოცანა 3.1 და 3.2.

**4. ციფრული საჯარო სერვისები:**

- ყველა ძირითადი საჯარო სერვისი უნდა იყოს ხელმისაწვდომი ონლაინ რეჟიმში;
- ევროკავშირის მოქალაქეების 80%-ს უნდა ჰქონდეს წვდომა ელექტრონული ჯანდაცვის ჩანაწერებზე.

ევროკავშირის ამ მიმართულებას შეესაბამება სტრატეგიის მიზანი 2, ამოცანა 2.1 და 2.2 და მიზანი 4, ამოცანა 4.1 და 4.2.

ამასთან, სტრატეგია შესაბამისია, „მხოლოდ მშვიდობით, ღირსებითა და კეთილდღეობით ევროპისკენ - 2025-2028“ სამთავრობო პროგრამით<sup>12</sup> (2. ეკონომიკური განვითარება, 2.8. ინტერნეტიზაცია და ციფრული ტრანსფორმაცია) განსაზღვრულ ინიციატივასთან მიმართებაში - „მომდევნო წლების განმავლობაში, ქვეყნის შემდგომი ციფრული ტრანსფორმაციის დაჩქარების მიზნით, დაიწყება ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების სტრატეგიის განხორციელება, რომელიც განსაზღვრავს ციფრული ტრანსფორმაციისა და ციფრული ეკონომიკის განვითარების სამომავლო

<sup>12</sup> [https://www.gov.ge/index.php?lang\\_id=-&sec\\_id=68](https://www.gov.ge/index.php?lang_id=-&sec_id=68)

მიმართულებებსა და ქვეყანაში ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების კოორდინაციის მექანიზმებს, კერძოდ, ქვეყნის ერთიანი ციფრული ტრანსფორმაციის კოორდინაციის ფუნქცია დაეკისრება კონკრეტულ უწყებას და გატარდება შესაბამისი ზომები ეფექტიანი კოორდინაციის უზრუნველსაყოფად“. ამასთან, სტრატეგიის ამოცანა 3.2 (სანდო და უსაფრთხო ხელოვნური ინტელექტის (AI) სერვისების განვითარების ხელშეწყობა) პასუხობს სამთავრობო პროგრამაში ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით დასმულ საკითხებს. ასევე, სტრატეგია შესაბამისობაშია ტელემედიცინის, ციფრული იდენტიფიკაციის საფულის და ციფრული მიმართველობის სხვა ღონისძიებებთან.

სტრატეგია თანხვედრაშია „ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია“-სთან. კერძოდ, ზემოაღნიშნული დოკუმენტი (2.2.8 ციფრული ეკონომიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიები, მიზანი 9: ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარება, ამოცანა 9.2: საქართველოს ციფრული ბაზრის განვითარება და სატრანზიტო პოტენციალის ათვისება) ერთი მხრივ, ხაზს უსვამს, რომ მოხდება სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური ათვისება და განხორციელდება საქართველოს გავლით ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ციფრული სატრანზიტო ჰაბის ჩამოყალიბების ღონისძიებები, მეორე მხრივ კი ითვალისწინებს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების გრძელვადიანი ეროვნული სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და დამტკიცებას.

წინამდებარე სტრატეგიის პირველი თავი ეთმობა თითოეულ ციფრულ მიმართულებაში არსებული სიტუაციის სიღრმისეულ ანალიზს – პრობლემების, მათი გამომწვევი ფაქტორებისა და უარყოფითი შედეგების იდენტიფიცირებას. მეორე თავში აღწერილია სტრატეგიის ხედვა, მესამე თავში აღწერილია იდენტიფიცირებულ პრობლემათა გადაჭრისთვის დასახული სტრატეგიული პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები, ხოლო მეოთხე თავში წარმოდგენილია განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო.

ვინაიდან, ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების სტრატეგია ყოვლისმომცველი, მრავალსექტორული სტრატეგიული დოკუმენტია, მასში განისაზღვრა ექვსი პრიორიტეტი, ექვსი მიზანი და თერთმეტი ამოცანა, მომდევნო წლების განმავლობაში ქვეყნის ციფრული ტრანსფორმაციის დაჩქარების მიზნით. აღნიშნული პრიორიტეტული მიზნების მიღწევა კი საჭიროებს კოორდინაციას. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები იდენტიფიცირებულია ძირითადი საკითხების ანალიზით, რომლებიც დეტალურადაა აღწერილი სიტუაციის ანალიზის ნაწილში, სტრატეგიული ხედვის პერსპექტივაში, მიდგომა საშუალებას გვაძლევს ფოკუსირება მოვახდინოთ ყველაზე მნიშვნელოვან მიზნებზე და მათთან დაკავშირებულ ამოცანებზე, დაბრკოლებების გადალახვისა და ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების დაჩქარების მიზნით.

# 1. არსებული სიტუაციის ანალიზი

## მეთოდოლოგია

წინამდებარე სიტუაციის ანალიზი ეფუძნება პრობლემის ხის მეთოდოლოგიას. სექტორში არსებული ძირითადი პრობლემის გამოვლენის მიზნით, შესწავლილ იქნა ციფრულ სექტორში არსებული სიტუაცია. სექტორში არსებული სიტუაციის ანალიზი ეყრდნობა მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებულ დოკუმენტს „საქართველოს ეკონომიკის გადატვირთვა - ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების სტრატეგია ზრდის, ინკლუზიურობის, მდგრადობის და კონკურენტუნარიანობისთვის“, რომელიც ასევე გამოყენებული იქნა ძირითადი პრობლემის გამომწვევი ფაქტორების და უარყოფითი შედეგების დასადგენად. აღნიშნული დოკუმენტის გარდა, სიტუაციური ანალიზი ასევე ეფუძნება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან და საერთაშორისო ექსპერტებთან განხორციელებულ კონსულტაციებს და ინტერაქტიულ შეხვედრებს თუ მეორეული მონაცემების/მასალის ანალიზს.

სტრატეგიის შესაბამისად, ქვეყანაში ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების სწრაფი ტემპებით განვითარებისთვის ჩნდება ახალი ვალდებულებები - ქვეყანაში, განსაკუთრებით სოფლად და რთული გეოგრაფიული რელიეფის მქონე დასახლებებში, ბოლო მილის ინტერნეტიზაციის განვითარების, იმისათვის, რომ ბოლო მომხმარებელს მიეცეს საშუალება მიიღოს მაღალი ხარისხის ინტერნეტ მომსახურება, რომელიც დააკმაყოფილებს სტრატეგიულ მიზნებს; საცალო ბაზარზე კონკურენციის ეფექტიანობისა და ქსელის საბითუმო ელემენტებზე დაშვების გაუმჯობესებისთვის, სავალდებულოდ შესასწავლი ბაზრების დადგენის; ციფრული სისტემების ერთიანი სტანდარტისა და არქიტექტურის უზრუნველყოფის; ციფრული საჯარო სერვისების განვითარებისთვის ერთიანი სტანდარტების დადგენის; მონაცემთა მმართველობის წესებისა და სახელმძღვანელო პრინციპების დანერგვის; ციფრული ინკლუზიის უზრუნველყოფისა და ციფრული გარიყულობის აღმოფხვრისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარების მიმართულებებით, ევროკავშირის ერთიან როუმინგულ სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის, შესაბამისი საკანონმდებლო და ტექნიკური ზომების გატარებით ციფრული ტრანსფორმაციის პროცესის და ციფრული ეკონომიკის განვითარების მიმართულებით მაკოორდინირებელი მექანიზმის შექმნის, სტატისტიკის წარმოების ევროკავშირის ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების ინდექსის - The Digital Economy and Society Index (DESI) შესაბამისად და ა.შ. რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მოსახლეობისა და ბიზნესების მზაობას ციფრულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში და ამასთან უზრუნველყოფს მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის სოფლად მცხოვრები ადამიანების, დაბალი შემოსავლის მქონე პირების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ეთნიკურ უმცირესობების ხელმისაწვდომობას ციფრულ სერვისებზე და მათზე დაფუძნებულ შესაძლებლობებზე; ქვევით განხილულია თითოეული მიმართულება.<sup>13</sup>

<sup>13</sup> მსოფლიო ბანკის კვლევა - საქართველოს ეკონომიკის გადატვირთვა - ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების სტრატეგია ზრდის, ინკლუზიურობის, მდგრადობის და კონკურენტუნარიანობისთვის

## 1.1 ფართოზოლოვანი ციფრული კავშირი

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, ციფრული კავშირი (ფართოზოლოვანი ინტერნეტი) ფუფუნების მომსახურებიდან, ხელმისაწვდომ მომსახურებად გადაიქცა, რაც გლობალური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველი გახდა.

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში, სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინადადებათა გათვალისწინებით, შეიმუშავეს საქართველოს მთავრობა და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, ხოლო სფეროს რეგულირებას ახორციელებს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (ComCom). ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, საქართველოს მთავრობამ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეშვეობით, და ComCom-მა განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებები ფართოზოლოვანი ინტერნეტ ინფრასტრუქტურის განვითარების ხარჯების შემცირების, ბაზრებზე კონკურენციის გაზრდის და საბითუმო ბაზრის რეგულირებისთვის. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ წლებში შემცირდა უცხოური ინვესტიციების მოცულობა და ტელეკომუნიკაციების ბაზარზე ადგილობრივი კომპანიების შერწყმამ და შესყიდვებმა შეამცირა მსხვილი მოთამაშეების რაოდენობა.

სატელეკომუნიკაციო მომსახურებები და ციფრული სერვისები, ქვეყნის განვითარებასა და მომხმარებლების ყოველდღიურ ცხოვრებაში სულ უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ტელეკომ მომსახურებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ქსელურ ინფრასტრუქტურაში ინვესტირების დიდი კაპიტალტევადობის გამო, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

2020 წლის იანვარში, საქართველოს მთავრობამ მიიღო ფართოზოლოვანი ქსელის განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა. მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარებით და ევროკავშირის EU4Digital ინიციატივის მხარდაჭერით მომზადებული სტრატეგია, ითვალისწინებს ამბიციურ მიზნებს და შეესაბამება ევროკავშირის „გიგაბიტ საზოგადოების“ (Gigabit Society) ამოცანებს, რაც გულისხმობს 100 მგბტ/წმ სიჩქარის ინტერნეტთან წვდომის შესაძლებლობას ყველა შინამეურნეისთვის და ინსტიტუციებისა და ბიზნესებისთვის - 1 გბტ/წმ სიჩქარის ინტერნეტთან კავშირის შესაძლებლობას ევროკავშირის მასშტაბით. სტრატეგია, ასევე აღიარებს ციფრული ინკლუზიურობის ხელშეწყობის აუცილებლობას და ფართოზოლოვანი ინტერნეტით სარგებლობის უნარების განვითარებას, განსაკუთრებით სოფლად. სტრატეგია ასახავს საქართველოს მთავრობის ამბიციებს, გადააქციოს ქვეყანა გლობალურ ციფრულ ჰაბად, რომელიც ოპტიკურ-ბოჭკოვანი წყალქვეშა მაგისტრალებით პირდაპირ დაუკავშირდება ევროპას და შექმნის ციფრულ დერეფნებს ევროპასა და აზიას შორის, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო მონაცემთა მიმოცვლის ზრდას საქართველოში და საფუძველს ჩაუყრის ადგილობრივი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) შესაძლებლობების განვითარებას. ციფრული ჰაბი გაზრდის მონაცემთა სერვისებზე მოთხოვნას და სარგებლობას, როგორც სამხრეთ კავკასიის რეგიონში, ასევე შიდა ბაზარზე, მოკლევადიან პერსპექტივაში განავითარებს ციფრულ დერეფნებს ევროპასა და ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიას შორის, ხოლო საშუალო და გრძელვადიან პერიოდში - ევროპას და ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიას შორის.

„საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიის“ ძირითადი მიმართულებების განხორციელების უზრუნველსაყოფად, დაიწყო „Log-in Georgia“ პროექტი, რისთვისაც 2020 წლის 31 აგვისტოს მსოფლიო ბანკსა და საქართველოს შორის, ხოლო 2021 წლის 11 ნოემბერს ევროპის საინვესტიციო ბანკსა (European Investment Bank (EIB)) და საქართველოს შორის, გაფორმდა სასესხო ხელშეკრულებები. პროექტი „Log-in Georgia“ სამი კომპონენტისგან შედგება:

1. ფართოზოლოვანი ინტერნეტთან წვდომის ზრდა;
2. ფართოზოლოვანი ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობა;
3. პროექტის განხორციელების მხარდაჭერა.

პროექტი ითვალისწინებს სახელმწიფო ინტერნეტიზაციის პროგრამის განხორციელებას და ქვეყნის მასშტაბით ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობას, ტრენინგებისა და შესაძლებლობების განვითარების პროგრამების მეშვეობით.

პროექტი „Log-in Georgia“ ითვალისწინებს ასევე, ფართოზოლოვანი სერვისების ხელმისაწვდომობას პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოების გაუმჯობესებით, რათა სოფლად ინტერნეტ-პროვაიდერებმა დაბალ ფასად შეძლონ კონკურენტული მაღალხარისხიანი ინტერნეტ სერვისის მიწოდება. ამავე დროს, სამიზნე დასახლებულ პუნქტებში, სპეციალური ღონისძიებები განხორციელდება ქალების, ეთნიკური და სოციალური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ ინტერნეტითა და ციფრული სერვისებით სარგებლობის ხელშეწყობად.

ზემოაღნიშნული სტრატეგიისა და პროექტის „Log-in Georgia“ ფარგლებში, ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამა აქტიურ ფაზაშია და წარმატებით ხორციელდება. პროგრამის ფარგლებში შეიქმნება ღია დაშვების ქსელი ისეთ დასახლებულ პუნქტებში ე.წ. „სამიზნე გეოგრაფიულ არეალში“, სადაც:

- არ არის ავტორიზებული პირების საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურა, რომელიც უწყვეტად დაკავშირებულია ავტორიზებული პირების ოპტიკურ მაგისტრალბთან;
- მოსახლეობის რაოდენობა მეტია ან ტოლია 200-ის;
- კერძო კომპანიების მიერ არ იგეგმება ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა მომდევნო 3 წლის განმავლობაში.

პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე:

- ერთიანი ნეიტრალური ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის შექმნა;
- სამიზნე გეოგრაფიულ არეალებში ფართოზოლოვანი საბითუმო მომსახურებების განვითარება;
- შექმნილი ქსელის ორ ნებისმიერ დაშვების წერტილს შორის კავშირი.

ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება საშუალებას მისცემს კერძო, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო კომპანიებს, მომსახურება გაუწიონ მოსახლეობას, სადაც ამ დრომდე ამგვარი სერვისი არ ყოფილა ხელმისაწვდომი. შესაბამისად, მთლიანად ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაიფარება 1000-მდე დასახლებული

პუნქტი (სოფლები), 170,093 შინამეურნეობას (585,750 მოსახლე) გაუჩნდება არანაკლებ 100 მბ/წმ-ის, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოებსა და საწარმოებს - არანაკლებ 1 გბ/წმ-ის სიჩქარის ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურებებთან წვდომის შესაძლებლობა.

საქართველოს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მიერ ინტერნეტის ეფექტიანად გამოყენების მიზნით, პროექტის „Log-In Georgia“ ფარგლებში, აქტიურ ფაზაშია ქვეყნის მასშტაბით ტრენინგისა და შესაძლებლობების განვითარების პროგრამები, მათ შორის ქალებისთვის, ეთნიკური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, ინიცირებული იქნა კანონპროექტი „სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ“, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა 2023 წელს. აღნიშნული კანონი შემუშავდა ევროპის კავშირისა და საბჭოს 2014 წლის 15 მაისის მაღალსიჩქარიან ელექტრონული კომუნიკაციების ქსელების განვითარების ხარჯის შემცირების შესახებ 2014/61 დირექტივის შესაბამისად. კანონის მიღების შედეგად, ავტორიზებულ პირებს შესაძლებლობა მიეცათ ნაკლები ფინანსური დანახარჯებით გააფართოონ საკუთარი სატელეკომუნიკაციო ქსელები, ასევე, გამარტივებულად მიიღონ ინფორმაცია საკომუნიკაციო მიზნებისათვის გამოსადეგი ფიზიკური ინფრასტრუქტურის შესახებ და სხვა. აღნიშნული, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ელექტრონული კომუნიკაციების ქსელების და მომსახურებების შემდგომ განვითარებას და შესაბამისად, უზრუნველყოფს ფართოზოლოვან ინტერნეტ სერვისებთან წვდომის შესაძლებლობას, ციფრული სერვისების განვითარებას, რაც საბოლოოდ დარგის განვითარებაზე აისახება.

2023 წელს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, ComCom-თან ერთად, ევროკავშირის როუმინგის ერთიან სივრცესთან საქართველოს მიერთების მიზნით, ეკონომიკური გავლენის ანალიზი ჩაატარა.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ როუმინგის ერთიან სივრცესთან მიერთებით, ქართველი აბონენტების მიერ მობილური მომსახურებების მისაღებად გაწეული დანახარჯები მნიშვნელოვნად შემცირდება. ამასთანავე, როგორც დიდ, ისე მცირე და საშუალო ბიზნესებს მიეცემა შესაძლებლობა ისარგებლონ ინოვაციური საკომუნიკაციო პროდუქტებით და გააფართოვონ მათ მიერ შექმნილი ციფრული პროდუქტების მოხმარების არეალი. როუმინგის ერთიან ევროპულ სივრცესთან იმიერთება, ასევე, ხელს შეუწყობს საქართველოს ციფრული ბაზრის განვითარებას, ევროკავშირის ერთიან ციფრულ ბაზართან ჰარმონიზაციასა და ევროკავშირში ინტეგრირების პროცესს.

როუმინგის ერთიანი ევროპული სივრცის მომსახურებები „Roam Like at Home“-ის (RLAH) სახელით მოიხსენება, რაც ევროკავშირის ქვეყნების აბონენტებს აძლევს შესაძლებლობას, ამ ქვეყნებში გამოიყენონ თავიანთი მობილური მომსახურებები როუმინგის დამატებითი საფასურის გადახდის გარეშე, ან ისარგებლონ მნიშვნელოვნად შემცირებული ტარიფებით.

2022 წელს, საქართველოს მთავრობამ ევროკავშირის როუმინგის ერთიან სივრცესთან საქართველოს მიერთების შესახებ საკითხი დააინიცირა. აღნიშნული, საქართველოსა და ევროკავშირს შორის როუმინგის ერთიანი სივრცის შექმნას გულისხმობს, რაც საქართველოს მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, ევროკავშირში მოგზაურობისას

ისარგებლონ როუმინგის ადგილობრივი ან მნიშვნელოვნად შემცირებული ტარიფებით, მათ შორის ხმოვან, მოკლე ტექსტურ შეტყობინებებსა და ინტერნეტ მომსახურებაზე.

ევროკავშირის როუმინგულ სივრცესთან მისაერთებლად, როუმინგთან დაკავშირებული საქართველოს სამართლებრივი ბაზა და მარეგულირებელი ნორმები სრულად უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირისა და ევროპის ქვეყნების მარეგულირებელი ორგანოების გაერთიანების (The Body of European Regulators for Electronic Communications (BEREC) კანონმდებლობას და რეგულაციებს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, ComCom-თან ერთად, ევროკავშირის ექსპერტების ჩართულობით, ევროკავშირის როუმინგის ერთიან სივრცესთან საქართველოს მიერთების მიზნით, განახორციელა პროექტი, რომელიც შესაბამისი სამართლებრივი თუ ეკონომიკური საფუძვლების მომზადებას ემსახურება.

აღსანიშნავია, რომ მობილური და ფიქსირებული ინტერნეტის როგორც საბითუმო, ისე საცალო სეგმენტი მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება, რაც არსებულ ბაზარზე შესვლის სტრუქტურულ თუ საოპერაციო ბარიერების არსებობაზე მიუთითებს.

საბაზრო სტრუქტურამ და დაბალკონკურენტულმა გარემომ წარმოაჩინა როგორც მობილური, ისე ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურებების სეგმენტების კვლევის საჭიროება, იმ მიზნით, რომ ერთი მხრივ, შეფასდეს მომხმარებლებისთვის საკომუნიკაციო მომსახურებების ხელმისაწვდომობა, ხოლო მეორე მხრივ, სექტორის განვითარებისა და გაფართოების შესაძლებლობები, რაც ბაზარზე შესვლის ბარიერების მოხსნით და მცირე და საშუალო ავტორიზებული პირების გაჩენით მიიღწევა.

2022 წელს Com-Com-მა, ევროპელ ექსპერტებთან ერთად, მუშაობა დაიწყო უმნიშვნელოვანეს პროექტზე, რომლითაც უნდა მოხდეს რეგულირებადი ბაზრების სრულფასოვანი შესწავლა ევროკომისიის მიერ დადგენილი ბაზრის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების მიხედვით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ევროპულ ჩარჩოსთან შესაბამისი რეგულირებადი ბაზრების სტრუქტურის განსაზღვრა, საცალო ბაზარზე კონკურენციის ეფექტიანობის და ქსელის საბითუმო ელემენტებზე დაშვების გაუმჯობესების მიზნით. ამასთან, აღნიშნული რეკომენდაციები არსებითია საქართველოსთვის ევროკავშირის სარეგულაციო ჩარჩოსთან დინამიური აპროქსიმაციის მიზნის მისაღწევად.

2023 წელს, Com-Com-მა ევროკავშირის მხარდაჭერით, ევროპელ ექსპერტებთან ერთად, საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის, კერძოდ, ფიქსირებული და მობილური მომსახურებების ბაზრების კომპლექსური კვლევა ჩაატარა.

ტექნოლოგიური წინსვლისა და შემდეგი თაობის ქსელების ე.წ. NGA (Next Generation Access Network), 5G ტექნოლოგიის განვითარების კვალდაკვალ, იზრდება მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების (Mobile Virtual Network Operators (MVNOs) როლი, რომლებიც ინოვაციური, ნიშური სერვისების განვითარებით, სხვადასხვა სფეროში ციფრული ეკონომიკის განვითარებასა და გაციფრულების პროცესების დაჩქარებას უწყობს ხელს.

ბოლო მონაცემებით, მსოფლიოში 2000-მდე აქტიური მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორი არსებობს, ხოლო 300-ზე მეტი სერვისების გაშვებას გეგმავს.

ბოლო წლებია, ComCom-ი აქტიურად მუშაობს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNOs) დაშვებისთვის საჭირო წინაპირობების უზრუნველსაყოფად. ბაზარზე ახალი მოთამაშეების გაჩენა, მომხმარებლებისთვის მობილური

მომსახურების არჩევანის გაზრდას უზრუნველყოფს და ეტაპობრივად აისახება, როგორც მომსახურების ხარისხზე, ასევე ხელმისაწვდომობასა და ფასებზე.

მიუხედავად იმისა, რომ 2005 წლიდან კანონით ისედაც განსაზღვრული იყო ვირტუალური ოპერატორის დაშვების ვალდებულება, საქართველოში MVNO-ები ვერ განვითარდა. სწორედ ამიტომ, ComCom-მა მიიღო გადაწყვეტილება და დააკონკრეტა ვირტუალური ოპერატორების დაშვების ვადები და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიებს ინფორმაციის გამჭვირვალობის ვალდებულება დაუწესა.

კომპლექსური კვლევის ფარგლებში, განხორციელდა მობილური მომსახურებების საცალო ბაზრის კვლევა და შედეგებიდან გამომდინარე მობილურ ქსელზე დაშვების საბითუმო ბაზრის ანალიზი, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების გამოვლენა და სპეციფიკური ვალდებულებების განსაზღვრა, რაც მომსახურების ბაზრის ამ სეგმენტზე უზრუნველყოფს შესვლის ბარიერების მოხსნას და გაზრდის კონკურენციას.

2023 წელს, საქართველომ მონაცემთა გადაცემისა და ახალი სამაუწყებლო გეოსტაციონარული თანამგზავრული ორბიტალური პოზიციები მოიპოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოპოვებულ ორბიტალურ პოზიციაზე შესაძლებელია განთავსდეს თანამგზავრები, რომლებიც საქართველოს და მიმდებარე ტერიტორიებს მონაცემთა გადაცემის მომსახურებითა და სატელევიზიო პროგრამების მაუწყებლობით უზრუნველყოფენ. საქართველოს მიერ, მონაცემთა გადაცემის მომსახურების საკუთარი თანამგზავრის გაშვება, მნიშვნელოვანია სტაბილური და უსაფრთხო კავშირის უზრუნველსაყოფად, როგორც სახელმწიფო დაწესებულებებისთვის, ისე კომერციული ორგანიზაციებისთვის. პოზიციების მინიჭება 2023 წლის ბოლოს ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის (ITU) რადიოკავშირის მსოფლიო კონფერენციაზე WRC-2023 მოხდა და კონფერენციის ფინალური აქტებით, ფიქსირებული თანამგზავრული სამსახურის - FSS-ისა და სამაუწყებლო თანამგზავრული სამსახურის - BSS-ის გეგმებში აისახა. აღნიშნულით, WRC-2023 კონფერენციაზე დასრულდა კოორდინაციის ოთხწლიანი პროცესი, რომელიც 2019 წელს, რადიოკავშირის მსოფლიო კონფერენცია WRC-2019-ზე დაიწყო, რაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, სხვადასხვა ქვეყნის თანამგზავრული კავშირგაბმულობის ადმინისტრაციებთან და მარეგულირებელ ორგანოებთან ერთად, ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის რადიოკავშირის ბიუროს (ITU BR) მიერ დადგენილი გრაფიკის შესაბამისად, წარმატებით განახორციელა. უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციაზე მოპოვებული თანამგზავრული სამაუწყებლო სამსახურის BSS-ს გეოსტაციონარული თანამგზავრული ახალი ორბიტალური პოზიცია, ადრე არსებულთან შედარებით, პერსპექტივაში გააუმჯობესებს საქართველოს ტერიტორიაზე მაუწყებლობის შესაძლებლობას.

ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, 2022 წლის ივლისში, ავტორიზაცია გაიარა Starlink-მა, რომელიც, 2023 წლის ნოემბრიდან საქართველოს მოსახლეობას თანამგზავრულ ინტერნეტს აწვდის.


საქართველომ მიაღწია პროგრესს ციფრული ეკონომიკის განვითარების, მათ შორის ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრის მიმართულებით. საქართველოს მთავრობის პოლიტიკის მთავარი კომპონენტია, არის ევროკავშირთან დაახლოება და ინტეგრაცია. აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა ქვეყნის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესების დაჩქარებისთვის მისწრაფვის გამოიყენოს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა საქართველოში, ევროკავშირის და სხვა ქვეყნების გამოცდილების და პრაქტიკის საფუძველზე.

ორგანიზაციების, ინდუსტრიების და საზოგადოების ციფრული ტრანსფორმაცია და ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრა მოითხოვს მხარდაჭერ გარემოს წარმატებისთვის, რომელიც ეხება ტექნოლოგიებს, ტექნოლოგიების სტანდარტიზაციას, მოსახლეობას, ეთნიკურ უმცირესობას, სოციალურად დაუცველ პირებს ფინანსურ რესურსებს და კოორდინაციას. კარგად ორგანიზებული დამხმარე ხელშემწყობი გარემო მოიცავს სხვადასხვა ელემენტებს, რომლებიც ხელს უწყობენ ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას და მათ ეფექტურ ინტეგრაციას და მდგრადობას.


### პრობლემა 1: ციფრული უთანასწორობა და გაციფრულების არასათანადო ხელშემწყობი გარემო

საქართველოში ციფრული ინკლუზიის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია სოფლის და ქალაქის მაცხოვრებელ ოჯახებს, ასევე საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტს შორის ჯერ კიდევ არსებული ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრა, რაც საქართველოს ციფრული ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, მაშინ, როცა ქალაქის ოჯახების 94,5 პროცენტი სარგებლობს ინტერნეტით, სოფლად ეს მაჩვენებელი 87,5 პროცენტამდეა.<sup>14</sup> მოწყვლადი მოსახლეობა, როგორცაა ღარიბი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ქალები და სოციალურად დაუცველი ზოგიერთი პირი, რომელთაგან უმეტესობა სოფლად ცხოვრობს - ნაკლებად სარგებლობენ ინტერნეტით, რაც მიუთითებს, რომ არსებობს ნაკლოვანებები ციფრული კავშირის განვითარების მიმართულებით. ინტერნეტთან წვდომის ხარვეზები ასევე ეხება ეთნიკურ უმცირესობებს, რაც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული (იხ. სურათი 1).

სურათი 1: იმ ოჯახების პროცენტული განაწილება, რომლებსაც აქვთ წვდომა ინტერნეტზე, ეთნიკური წარმომავლობის და შემოსავლის მიხედვით <sup>15</sup>



(ა) ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით




(ბ) შემოსავლის მიხედვით

<sup>14</sup> საქსტატის მონაცემები, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გამოკვლევა შინამეურნეობებში, 2024.

<sup>15</sup> საქსტატი, მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა 2018. <https://www.geostat.ge/media/29405/SFR---2018-Georgia-MICS---Eng.pdf>

სურათი 2: ინტერნეტით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი ბოლო სამი თვის განმავლობაში - ა) ინტერნეტით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების პროცენტული განაწილება დასახლების ტიპის მიხედვით ბ) ბოლო 3 თვის განმავლობაში, ინტერნეტმომხმარებლების პროცენტული განაწილება სქესის მიხედვით.<sup>16</sup>



განსხვავებით ქალაქებისგან, სადაც მაღალი იყო ინვესტიციები, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა ნაკლებად არის განვითარებული სოფლად - 3,385 დასახლებიდან 844 დასახლება არ არის დაკავშირებული ოპტიკურ-ბოჭკოვან ქსელთან (მობილური კავშირის ქსელის ანძების ჩათვლით)<sup>17</sup>. ეს ზღუდავს მომსახურების ხარისხს, რომელიც მიეწოდება სოფლის მოსახლეობას ქალაქის მოსახლეობისგან განსხვავებით იმავე ფასად, რაც აზრკოლებს მათ მიერ ფართოზოლოვანი კავშირის გამოყენებას. ცხრილი N1 გვიჩვენებს, რომ ფართოზოლოვანი კავშირის სერვისების სააბონენტო გადასახადები, განსაკუთრებით კი, მაღალი სიჩქარის ფართოზოლოვანი კავშირისა, ბევრი ოჯახისთვის მიუწვდომელია, განსაკუთრებით სოფლის ან ისეთი ოჯახებისთვის, რომლებსაც ქალები ხელმძღვანელობენ. დაბალი ხელმისაწვდომობის და მომსახურების ხარისხის კომბინაცია აუარესებს სერვისების ხელმისაწვდომობას სოფლის მოსახლეობისთვის, რადგან ისინი ფაქტობრივად იგივე მომსახურებაში იხდიან მეტს, ვიდრე ქ. თბილისის ინტერნეტის აბონენტები.

ცხრილი N1: ფართოზოლოვანი კავშირის სერვისების საშუალო სააბონენტო გადასახადი ოჯახის ყოველთვიურ შემოსავლებში<sup>18</sup>

სერვისის დაახლოებითი საშუალო ღირებულება (თვეში)	35 ლარი-30 მბ/წმ (საწყისი პაკეტი)	100 ლარი-100 მბ/წმ (მაღალი სიჩქარის)
სერვისის ღირებულება, როგორც ყოველთვიური შემოსავლის წილი		
ოჯახების საშუალო შემოსავალი (ლარი 1123.5)	3.11%	8.9%
ქალაქში მაცხოვრებელი ოჯახი (ლარი 1195.7)	2.92%	8.36%
სოფლად მაცხოვრებელი ოჯახი (ლარი 1014.3)	3.45%	9.85%
ქალის მიერ მართული ოჯახი (ლარი 935)	3.74%	10.69%

<sup>16</sup> საქსტატის მონაცემები, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გამოკვლევა შინამეურნეობებში, 2024.

<sup>17</sup> საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ანგარიში 2023 წ. (<https://www.comcom.ge/ge/the-commission/about-commission>)

<sup>18</sup> მსოფლიო ბაკის კვლევა - საქართველოს ეკონომიკის გადატვირთვა - ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების სტრატეგია ზრდის, ინკლუზიურობის, მდგრადობის და კონკურენტუნარიანობისთვის

ინტერნეტის, განსაკუთრებით ფართოზოლოვანი ინტერნეტის გამოყენების შეზღუდვა ვრცელდება საწარმოებზეც. სსიპ „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის“ (საქსტატის) მონაცემებით, 2024 წლის მდგომარეობით, დაქირავებული მუშახელის მქონე საწარმოების 94.4%-ს აქვს ინტერნეტთან წვდომა. აქედან მხოლოდ 13.2%-ს აქვს ვებსაიტი, თითქმის იგივე რაოდენობას (11.2%) საიტზე „ონლაინ შეკვეთის ან დაჯავშნის“ სერვისი, ხოლო 3.1%-ს აქვს შეკვეთები ონლაინ რეჟიმში საკუთარი ვებსაიტების ან აპლიკაციების საშუალებით. დაბალ ხელმისაწვდომობასთან ერთად, ფიქსირდება ბიზნესის მიერ ინტერნეტ შესაძლებლობების გამოყენების თაობაზე დაბალი ინფორმირებულობა. 2023 წელს, საწარმოების მხოლოდ 47.3%-ს ჰქონდა მინიმუმ 30 მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტსერვისთან წვდომა.

მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ დღეს ციფრული ტრანსფორმაცია ფრაგმენტულია. სხვადასხვა უწყება ცდილობს ციფრული სერვისების განვითარებას, რაც გარდა საერთო ხედვის არარსებობისა, ასევე ხშირ შემთხვევაში, იწყვეს ციფრული ეკონომიკის განვითარების ფრაგმენტაციას და ადამინური რესურსების, როგორც არათანაბარ გადანაწილებას, ისე სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების გაზრდილ დანახარჯს, რადგან რამოდენიმე უწყება ერთდროულად აკეთებს ერთსა და იმავე საქმეს ან ქმნის ერთი და იგივე შინაარსის ციფრულ პროდუქტს, რომლებიც რიგ შემთხვევებში არათავსებადია, ერთიანი სტანდარტების არარსებობისა თუ ქვეყნის ერთიანი ხედვის არარსებობის გამო. ციფრული ტრანსფორმაციის დღის წესრიგის მართვა მოიცავს მრავალ ასპექტს, გამოწვევებთან და რისკებთან გამკლავებას. აღნიშნულისათვის, საჭიროა მაკოორდინირებელი უწყების არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიან ციფრულ ტრანსფორმაციას და ციფრული ტრანსფორმაციის დღის წესრიგს, რომ ხელი შეუწყოს სხვადასხვა სამთავრობო უწყებებს, კერძო სექტორს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის ეფექტურ კოორდინაციას, რათა მოხდეს ძალისხმევის და რესურსების ეფექტურად გამოყენება მდგრადობისა და საერთო მიზნების მისაღწევად, ძალისხმევის დუბლირების თავიდან აცილება და რესურსების ეფექტური გამოყენება.<sup>19</sup> საქართველოს აქვს გარკვეული დონის მომზადება საინფორმაციო საზოგადოების სფეროში. საქართველომ უნდა უზრუნველყოს მისი ციფრული პოლიტიკის სტრატეგიების შესაბამისობა ევროკავშირის სტრატეგიებთან „ევროპის ციფრული მომავლის ფორმირება“ და „ციფრული კომპასი“ და უზრუნველყოს გაციფრულების რეფორმების მაღალი დონე ციფრული სტრატეგიის მიღებით და ინსტიტუციური კოორდინაციის უზრუნველყოფით<sup>20 21</sup>;

## გამომწვევი ფაქტორები:

1.1. ფართოზოლოვან ინფრასტრუქტურაში არასაკმარისი ინვესტიციები და სოფლად „ბოლო მილის“ სერვისების დაბალი ხელმისაწვდომობა<sup>22</sup> - სოფლად მოსახლეობის სიმცირე, რთული გეოგრაფიული რელიეფი და განხორციელებული ინვესტიციების დაბალი უკუგება, განაპირობებს იმას, რომ ავტორიზებული პირები მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ

<sup>19</sup> მსოფლიო ბანკის კვლევა - საქართველოს ეკონომიკის გადატვირთვა - ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების სტრატეგია ზრდის, ინკლუზიურობის, მდგრადობის და კონკურენტუნარიანობისთვის.

<sup>20</sup> [https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11/SWD\\_2023\\_697%20Georgia%20report.pdf](https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11/SWD_2023_697%20Georgia%20report.pdf)

<sup>21</sup> [https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/document/download/7b6ed47c-ecde-41a2-99ea-41683dc2d1bd\\_en?filename=Georgia%20Report%202024.pdf](https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/document/download/7b6ed47c-ecde-41a2-99ea-41683dc2d1bd_en?filename=Georgia%20Report%202024.pdf)

<sup>22</sup> საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ანგარიში 2023 წ. (<https://www.comcom.ge/ge/the-commission/about-commission>)

ინფრასტრუქტურის შესაქმნელად და განსავითარებლად ინვესტიციებს ურბანული ტერიტორიებისკენ მიმართავენ.

1.2. კონცენტრირებული ბაზარი - საქართველოში ფუნქციონირებენ მცირე და საშუალო ავტორიზებული პირები, რომელთაგან 100-ზე მეტი შეზღუდული რაოდენობის სასოფლო დასახლებებში ოპერირებს. თუმცა, საცალო ბაზარი რჩება კონცენტრირებული, რადგან 2 მსხვილ ავტორიზებულ პირს უკავია ბაზრის წილის თითქმის 80 პროცენტი<sup>23</sup>, ხოლო მცირე და საშუალო ზომის ავტორიზებული პირები დამოკიდებულნი არიან მათი ინფრასტრუქტურის გამოყენებაზე, რათა დაუკავშირდნენ გლობალურ ინტერნეტს და გასწიონ მომსახურება. ბოლოდროინდელმა მარეგულირებელმა ზომებმა საშუალება მისცა მცირე და საშუალო ზომის ავტორიზებულ პირებს, ჰქონდეთ წვდომა საბითუმო სერვისებზე რეგულირებული ფასებით, მაგრამ ზემოქმედება ბაზარზე შეზღუდულია ქსელების შეზღუდული სიმძლავრის გამო, რაც კვლავ მიუთითებს ინფრასტრუქტურულ ხარვეზებზე.

1.3 შესაბამისი კანონმდებლობის არ არსებობა - ქვეყანაში არ არსებობს საკმარისი საკანონმდებლო ბაზა გაციფრულებისა და ციფრული კოორდინაციის შესახებ. რეგულაციების, სტანდარტებისა და პოლიტიკის ნაკლებობა ქმნის დაბრკოლებებს ციფრული ლიდერისა და მაკოორდინირებელი უწყების შექმნისთვის.

### უარყოფითი შედეგები:

ციფრული უთანასწორობის შენარჩუნება, ქალაქსა და სოფელს შორის, აღრმავებს სოციალურ და ეკონომიკურ უთანასწორობას, რაც ზღუდავს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების, განათლებასა და პროფესიულ შესაძლებლობებს, აძლიერებს მათი საზოგადოებრივი იზოლაციის რისკს და აფერხებს ციფრულ ეკონომიკაში სრულფასოვან ჩართულობას. ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების გარეშე, მცირე და საშუალო ბიზნესები ვერ ახერხებენ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად, ხოლო მოსახლეობის ნაწილი დარჩენილია ტექნოლოგიური განვითარების პროცესის მიღმა. ამის შედეგად, ქვეყანა სწრაფი ტემპით ვერ ახორციელებს ციფრულ ტრანსფორმაციას, რაც აფერხებს ინოვაციურ განვითარებას, ეკონომიკურ ზრდას და საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ციფრული უთანასწორობის შენარჩუნება აფერხებს ან სულაც უკარგავს საქართველოს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ციფრული ჰაბის პოტენციალს.

ციფრულ ეპოქაში, მაშინ როდესაც საჯარო და კერძო სექტორი და ბიზნესი სულ უფრო მეტად გადადის და ეყრდნობა ციფრულ ინსტრუმენტებს, პლატფორმებსა და სტრატეგიებს, ციფრული კოორდინატორის არ არსებობა, იწვევს არაეფექტურობას, ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობებს და შეუთავსებლობას მზარდ ციფრულ სამყაროში, ამასთან რისკის ქვეშ აყენებს ქვეყნის გაციფრულებისა და ციფრული ეკონომიკის განვითარების მდგრადობას. შედეგად, ქვეყნის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი ფერხდება, რაც, თავის მხრივ, ნეგატიურ გავლენას ახდენს საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო

<sup>23</sup> საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ანგარიში 2023 წ. (<https://www.comcom.ge/ge/the-commission/about-commission>)

საზოგადოების შემდგომ განვითარებაზე და საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულებაზე.

## 1.2 ციფრული სერვისები და სანდო ინფრასტრუქტურა

ელექტრონული მმართველობის სისტემების და ელექტრონული სერვისების განვითარება ბოლო ათწლეულის მანძილზე საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. საქართველო გამოირჩევა მთავრობასა და მოქალაქეებს შორის (Government-to-Citizens (G2C)) და მთავრობასა და ბიზნეს სექტორს შორის (Government-to-Business (G2B)) ურთიერთობების ციფრული სერვისების ფართო ხელმისაწვდომობით, ციფრული პლატფორმებით და სისტემებით, განვითარებული ციფრული ინფრასტრუქტურით და მარეგულირებელი და საკანონმდებლო კომპონენტებით.

საჯარო სერვისების მიწოდების გაუმჯობესების მიზნით, საქართველომ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში შექმნა ფიზიკური სერვისის მიწოდების არხების ფართო ქსელი, მათ შორის, იუსტიციის სახლები და მობილური იუსტიციის სახლები, რომლებიც მუშაობენ ერთი ფანჯრის პრინციპით და უზრუნველყოფენ 500-მდე სერვისს. პარალელურად, საქართველოს მთავრობამ ინვესტიცია განახორციელა ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (my.gov.ge) შექმნისა და პოპულარიზაციისთვის. პორტალი ამჟამად აერთიანებს 358 ელექტრონულ სერვისს. ყველა სამთავრობო ციფრული სერვისი იყენებს სანდო მომსახურების ინფრასტრუქტურას, რომელიც 2011 წელს მოქალაქეების ავტორიზაციისთვის შეიქმნა. თუმცა, სერვისების გაციფრულების დონე სამთავრობო უწყებებში განსხვავებულია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ – შემოსავლების სამსახური სერვისების 95-98 პროცენტს (სულ 550-ზე მეტი სერვისი და ქვესერვისი) ციფრულ რეჟიმში უზრუნველყოფს.

გარდა უშუალოდ მოქალაქეებისთვის განკუთვნილი პლატფორმებისა, საქართველოს მთავრობამ, პარტნიორების დახმარებით, ციფრულ სერვერულ სისტემებსა და პლატფორმებში მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელა, რომელთაგან მრავალი განკუთვნილია სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ შიდა გამოყენებისთვის. ყველაზე გამოყენებადი შიდა მართვის სისტემებია - საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემები (სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული სერვისის სისტემა; ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა; სახელმწიფო ვალის და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა); დოკუმენტების მართვის სისტემა; საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების სისტემა; სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, ანგარიშგების პორტალი და ა.შ. ასევე, აღსანიშნავია, რომ სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის“ (Educational Management Information System (EMIS)) როლი გადამწყვეტი იყო კოვიდ-19 პანდემიის დროს სწავლის პროცესის უწყვეტობისთვის. ამასთან, ადამიანური რესურსების მართვის სისტემის მეშვეობით, სახელმწიფო უწყებებს შეუძლიათ მონიტორინგი გაუწიონ და მართონ საჯარო მოხელეთა საქმიანობა. რამდენიმე ახალი ციფრული პლატფორმა ამჟამად შემუშავების პროცესშია და ახლო მომავალში ამოქმედდება. აღნიშნული მოიცავს სამთავრობო მონიტორინგის და შეფასების პლატფორმას პოლიტიკის შემქმნელებისთვის, ონლაინ ციფრულ სასწავლო პლატფორმას საჯარო მოხელეებისთვის, რომელიც ერთი ფანჯრის პრინციპით იფუნქციონირებს.

სამთავრობო უწყებებს შორის უწყვეტი ტრანზაქციების განსახორციელებლად და ციფრული

სერვისების სრულად მისაწოდებლად, საქართველოს მთავრობამ 2011 წლიდან ამოქმედდა „მონაცემთა გაცვლის ერთიანი სისტემა“, (G3, საქართველოს სამთავრობო კარიბჭე), რომელიც აკავშირებს 300-მდე ორგანიზაციას (სამინისტროები და საჯარო სექტორის სუბიექტები). მონაცემთა გაცვლის ერთიანი სისტემა აერთიანებს 176 სერვისს და 530 ქვესერვისს და ყოველწლიურად ემსახურება 100 მილიონზე მეტ ტრანზაქციას. კერძო საწარმოებს ასევე შეუძლიათ გამოიყენონ პლატფორმა პერსონალური, უძრავი ქონების, ბიზნეს რეესტრის, ფინანსური, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ჯანდაცვის, სოციალური მომსახურებისა და სხვა მონაცემების მოთხოვნის მიზნით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტო“ დაასრულა მუშაობა საქართველოს ციფრული მმართველობის 2025-2030 წლების სტრატეგიაზე და ამჟამად, მუშაობს ურთიერთთავსებადობის ჩარჩო დოკუმენტისა და ციფრული მმართველობის ტექნიკური სტანდარტებისა და რეგულაციების განახლებაზე.

ციფრულ რეჟიმში ასევე ფუნქციონირებენ სახელმწიფო მონაცემების რეესტრები. სამთავრობო უწყებებს შორის მონაცემთა გაზიარება ეფუძნება ორმხრივ შეთანხმებებს და ხორციელდება მონაცემთა გაცვლის ჩარჩოს მეშვეობით. მაგალითად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ – შემოსავლების სამსახურს გაფორმებული აქვს მონაცემთა გაცვლის შეთანხმება 55 სამთავრობო უწყებასთან. სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“, ელექტრონულად უზრუნველყოფს არაერთ ყველაზე მოთხოვნად მომსახურებას (მაგ. პასპორტის, პირადობის მოწმობის, სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობა და ა.შ.).

ამჟამად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტო“ მუშაობს საქართველოში ღია მონაცემების წარმოებისა და დამუშავების სისტემების განვითარებაზე. სააგენტო პასუხისმგებელია საჯარო სექტორში არსებული ღია მონაცემების გამოქვეყნების ერთიანი სტანდარტის დაწესებასა და ერთიანი პორტალის – [data.gov.ge](http://data.gov.ge)-ს მეშვეობით მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე.

სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტო“ პასუხისმგებელია სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან თანამშრომლობაზე, მათი სერვისების გაციფრულებისა და ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალში ([my.gov.ge](http://my.gov.ge)) ინტეგრაციის მიზნით. ამასთან, სააგენტო მომხმარებლებს ელექტრონულ წვდომას აძლევს ერთიანი პორტალში არსებულ სერვისებზე.

ციფრული მმართველობის სხვა მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარეები არიან სხვადასხვა საჯარო უწყებები, რომლებიც თავად ავითარებენ ციფრულ სერვისებს.

2017 წლიდან ამოქმედდა ანგარიშგების პორტალი ([www.reportal.ge](http://www.reportal.ge)), რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური. აღნიშნული პლატფორმა არის პირველი საჯარო საინფორმაციო წყარო საქართველოში, რომელზეც ანგარიშვალდებული საწარმოები წარადგენენ წლიურ ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებებს. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამსახური უზრუნველყოფს წარდგენილი ანგარიშგებების ხარისხის რისკზე დაფუძნებულ შემოწმებას და პორტალზე წარდგენილი ანგარიშგებების გამოქვეყნებას.

2020 წლიდან, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა“ და სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოსთან“ („საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ციფრული მმართველობის სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტო“ წარმოადგენს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ უფლებამონაცვლეს). მათ შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ამოქმედდა ერთი ფანჯრის პრინციპი, რომელიც მიზნად ისახავს ბიზნეს სექტორისთვის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

თანამშრომლობის შედეგად, ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის - my.gov.ge - ბიზნესის რეგისტრაციის ბლოკში რეგისტრირებული სუბიექტების შესახებ არსებულ ინფორმაციასთან ერთად, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალის შესაბამისი ბმული განთავსდა. ბმულის მეშვეობით, პორტალზე ხელმისაწვდომია შემდეგი ინფორმაცია ბიზნეს სუბიექტის შესახებ:

- მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები;
- სამსახურის ანგარიშგების პორტალზე განთავსებული ინფორმაცია, აგრეთვე ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება.

აღნიშნული თანამშრომლობა გამჭვირვალობის კულტურის დამკვიდრებას უწყობს ხელს და მონაცემებს უფრო ხელმისაწვდომსა და სანდოს ხდის, რაც ამარტივებს ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისთვის ახალი პარტნიორების მოზიდვას და ბიზნესის განვითარებისთვის სწორი გადაწყვეტილებების მიღებას.

საჯარო ფინანსური მართვის რეფორმის (Public Financial Management (PFM) ფარგლებში, სახელმწიფო სექტორში შემოსულობების მიღებისა და გადასახდელების გადასახდელად, დანერგულია სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა. სისტემაში ინტეგრირებულია როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის, ასევე ავტონომიური რესპუბლიკები და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულები, გარდა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული გამონაკლისი საბიუჯეტო ორგანიზაციებისა.

ხაზინის ელექტრონული სისტემის შემდგომი განვითარების რეფორმის ფარგლებში, მიმდინარეობს საჯარო სკოლების, საბავშვო ბაღების და სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ინტეგრირების პროცესი. 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ხაზინის მომსახურებაზე გადმოყვანილია 1 328 საჯარო სკოლა, 191 საბავშვო ბაღი და სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული 6 სახელმწიფო საწარმო.

აღნიშნული სუბიექტების შემოსულობების სწორად და დეტალურად აღრიცხვისათვის შექმნილია ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდები, ასევე ორგანიზაციებს ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ქვეშ გახსნილი აქვთ ანგარიშები, შემუშავებულია მათზე სახსრების კონტროლის მექანიზმები და პროცედურები და ა.შ.

ხაზინის ელექტრონულ სისტემაში ინტეგრირების ხელშესაწყობად, ხაზინის მოდულებთან

მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, მუდმივად ხორციელდება ერთეულების საფინანსო სამსახურების წარმომადგენლების შესაბამისი ტრენინგები, ასევე პერიოდულად ეწყობა საინფორმაციო ხასიათის სამუშაო შეხვედრები და სხვა.

ამჟამად, საჯარო სერვისები ხელმისაწვდომია რამდენიმე მობილური აპლიკაციით, მათ შორის, 112-საქართველო; იმუნიზაციის აპლიკაცია; ონლაინ სკოლა - EMIS, My.gov.ge-ს მობილური აპლიკაცია (ეტაპობრივად ემატება პორტალზე არსებული ყველა სერვისი), მრავალფუნქციური ინტერაქტიული ვებგვერდის (MAPS.GOV.GE) მობილური აპლიკაცია “Georgia Maps” და სხვ.

დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმების განხორციელების ფარგლებში, 2022 წელს, საქართველოს 63 მუნიციპალიტეტში დაინერგა ინფორმაციული ნაკადების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემა. აღნიშნული ელექტრონული სისტემა საშუალებას აძლევს მომხმარებლებს ერთი ფანჯრის პრინციპით მიიღონ მუნიციპალური ელექტრონული სერვისები, როგორც დისტანციურად, ისე ადგილზე. ამასთან, პლატფორმამ შექმნა სხვადასხვა სახელმწიფო სერვისთან ინტერაქციის შესაძლებლობაც. შედეგად, მოქალაქისთვის/ბიზნესისთვის იზრდება მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა. ელექტრონული სისტემა აერთიანებს ელექტრონული სერვისების ონლაინ პორტალს მოქალაქეთათვის (ms.gov.ge), საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემას (apps.gov.ge), ინტერაქტიულ რუკას გეოსივრცითი მონაცემების მართვისათვის (maps.gov.ge) და სხვა ონლაინ მოდულებს. სამომავლოდ, დაგეგმილია აღნიშნული ელექტრონული სერვისების განვითარება.

გაციფრულება და ტექნოლოგიების გამოყენება საქართველოში საჯარო მმართველობის რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილია. სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ ძალისხმევით, გაეროს განვითარების პროგრამისა (The United Nations Development Programme (UNDP) და დიდი ბრიტანეთის მთავრობის (UK Aid) მხარდაჭერით, შემუშავდა „2022-2025 წწ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სტრატეგია“ და შესაბამისი სამოქმედო გეგმები (2022-2023 და 2024-2025), რომელიც ითვალისწინებს ცენტრალური დონის სერვისის მიმწოდებელ სახელმწიფო ორგანიზაციებში ერთიანი მიდგომების დანერგვას საჯარო სერვისების დიზაინის, მიწოდების, ხარისხის უზრუნველყოფისა (ქვეკატეგორიებად იწლება: მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა და „შეფასების ერთიანი სისტემა (Common Assessment Framework (CAF)) და განფასების მიმართულებით. სტრატეგია ხელს უწყობს ელექტრონული მმართველობის განვითარებას, მათ შორის, მომსახურების მიწოდების სისტემის ერთიან სტანდარტიზაციას საჯარო სერვისის მიმწოდებელ სუბიექტებში.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული დოკუმენტია „საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021-2024 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა“, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატმა და სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტომ“, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს „სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიურომ“ და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ „საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ“ მოამზადეს ოქსფორდის გლობალური კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობების ცენტრის მოდელის საფუძველზე. 2021 წლის სექტემბერში, დამტკიცდა საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021-2024 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა. სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოს“ დაქვემდებარებაშია კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფი (CERT.DGA.GOV.GE), რომლის პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების სფერო განსაზღვრულია „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ციფრული მმართველობის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფის შესახებ“ სსიპ

„ციფრიული მმართველობის სააგენტოს“ თავმჯდომარის 2021 წლის 14 დეკემბრის №6 ბრძანების შესაბამისად.

სსიპ „კიბერუსაფრთხოების ბიურო“-ს და სსიპ „საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო“-ს ასევე გააჩნიათ კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ კანონისა და ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფის წესდების დებულებების აღსრულებაზე.

ციფრული გარემოსადმი ნდობა აუცილებელია და სათანადო ნდობის გარეშე ეკონომიკური და სოციალური განვითარების ეს მნიშვნელოვანი წყარო გამოუყენებელი დარჩება. ციფრული ტრანსფორმაციის სრულად გამოყენებისთვის, ინდივიდებს, კომპანიებსა და მთავრობებს უნდა ჰქონდეთ ნდობა, რომ ციფრულ გარემოში ჩართვა მათი სოციალური და ეკონომიკური აქტივობების განსახორციელებლად უფრო მეტ სარგებელს მოიტანს, ვიდრე პრობლემებს.

კიბერუსაფრთხოების მხრივ საქართველო 2024 წლის საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (International Telecommunication Union (ITU) გლობალური კიბერუსაფრთხოების ინდექსში 91,92 ქულით მეორე ქვეჯგუფში მოხვდა, სადაც ირიცხებიან ისეთი ქვეყნები, როგორცაა: ავსტრია, კანადა, ირლანდია, ისრაელი, ლიეტუვა და სხვები<sup>24</sup>. მიუხედავად დადებითი რეიტინგისა, ბევრი შეიძლება გაკეთდეს ციფრულ გარემოში ნდობის გასაძლიერებლად. მაგალითად, ცნობიერების ამაღლება და ინდივიდებისა და ორგანიზაციების გაძლიერება ციფრული რისკების უკეთ მართვისთვის შეიძლება გადამწყვეტ როლს თამაშობდეს. მთავრობამ ჩამოაყალიბა კიბერუსაფრთხოების მკაფიო სტრატეგიული ხედვა, რომელიც ხელს უწყობს ყოვლისმომცველ და თანმიმდევრულ დაცვას გლობალური საფრთხეებისგან, როგორცაა კიბერდანაშაულები, მონაცემთა ბოროტად გამოყენება და მონაცემთა კონფიდენციალურობის დარღვევა. კიდევ ერთ კრიტიკულ სფეროს, რომელიც მუდმივ მონიტორინგს და რეგულაციას მოითხოვს, ფინანსური ციფრული სერვისების მომხმარებლების დაცვა წარმოადგენს.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია პერსონალური მონაცემების დაცვა მათი მართვის დროს, სერვისების მიწოდების, ინოვაციების და ახალი ბიზნეს მოდელების უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ ციფრულ გადახდებს ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა შეუძლია, ასევე წარმოიქმნება რისკები, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მონაცემთა კონფიდენციალურობას, კიბერუსაფრთხოებას და ხელშეწყობის ნაცვლად შეაფერხოს ფინანსური ჩართულობა. ციფრული ფინანსური სერვისების მიერ გენერირებულ მონაცემებს შეუძლიათ მომხმარებლებს შეუქმნან პერსონალური მონაცემების ბოროტად გამოყენების რისკი, რადგან პერსონალური მონაცემები მოიცავს ისეთ სენსიტიურ ინფორმაციას, როგორცაა, მაგალითად, ჯანმრთელობის ან პირადი ინფორმაცია.

სანდოობის შესაქმნელად და შესანარჩუნებლად, აუცილებელია ასეთი რისკების მაქსიმალურად შემცირება. ხარვეზების აღმოსაფხვრელად, საქართველოს მთავრობის მიერ დაამტკიცებულ ზემოაღნიშნულ კიბერუსაფრთხოების სტრატეგიასთან ერთად, 2023 წლის 14 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც იზიარებს ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი

<sup>24</sup> [https://www.itu.int/dms\\_pub/itu-d/opb/hdb/d-hdb-gci.01-2024-pdf-e.pdf](https://www.itu.int/dms_pub/itu-d/opb/hdb/d-hdb-gci.01-2024-pdf-e.pdf)

რეგულაციის“ (General Data Protection Regulation (GDPR) პრინციპებსა და დებულებებს, შეესაბამება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს. 2023 წელს მიღებული ახალი კანონი ამოქმედდა 2024 წლის პირველი მარტიდან, ხოლო მისი ცალკეული დებულებები, კერძოდ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრისა და მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების მომწესრიგებელი ნორმები ამოქმედდა 2024 წლის პირველი ივნისიდან.

ციფრული ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის მონაცემთა მმართველობის წესებისა და სახელმძღვანელო პრინციპების დანერგვა. ამით შეიქმნება ხელსაყრელი გარემო მონაცემების ეფექტიანი შეგროვებისა და გაზიარებისთვის, რაც უზრუნველყოფს მონაცემების სტანდარტიზაციასა და ხელმისაწვდომობას როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორისთვის. მნიშვნელოვანია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ღია მონაცემთა გამოყენების სანდოობის გარემოს გაძლიერებას, რისთვისაც საჭიროა მონაცემთა დამუშავების/დაცვის რეგულაციები და სტანდარტები პერიოდულად განახლდეს, შეიქმნას შესაძლებლობები, რათა მონაცემების გამოყენება მოხდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად; უნივერსიტეტებმა მიიღონ მხარდაჭერა მონაცემებთან დაკავშირებული სასწავლო პროგრამების შემუშავებისთვის და სხვა. აღნიშნული ინიციატივები ხელს შეუწყობს ინოვაციების განვითარებას, ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდას და ციფრული ეკონომიკის განვითარებისათვის საჭირო შესაძლებლობების გაძლიერებას. საქართველო გააგრძელებს დაწყებულ ღონისძიებებს კიბერუსაფრთხო ეკონომიკის შესაქმნელად. საქართველოს მთავრობა განიხილავს რეგულაციების გამკაცრებას და პროგრამების განხორციელებას ციფრული ფინანსური ტექნოლოგიების რისკების მართვის მიზნით ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებთან ერთად. ეს ძალისხმევა, საბოლოოდ გაზრდის ნდობას და შექმნის ციფრული ტრანზაქციების გამოყენების შემთხვევების ფართო სპექტრს.

## **პრობლემა 2: ციფრული სამთავრობო სერვისების არასაკმარისი განვითარება**

ციფრული საჯარო სერვისების ფართო ხელმისაწვდომობის მიუხედავად, ციფრული არხების გამოყენება, ფიზიკურ არხებთან შედარებით, კვლავ დაბალია. მაგალითად, 370 000 რეგისტრირებული ფიზიკური პირით და 220 000 ბიზნეს მომხმარებლით, my.gov.ge-ს ინტეგრირებული პორტალი ყოველდღიურად ამუშავებს 49 000-მდე ტრანზაქციას,<sup>25</sup> ხოლო იუსტიციის სახლები დღეში 20 000 მოქალაქეს ემსახურება.

დეცენტრალიზებული მიდგომა არსებობს ციფრული სერვისების განვითარებაში. ციფრული საჯარო სერვისების მიწოდების ინტეგრირებული პორტალები [www.My.gov.ge](http://www.My.gov.ge); და <https://ms.gov.ge> ჯერ კიდევ არ არის სრულად ინკლუზიური. სამინისტროებსა და სამთავრობო უწყებებს არ აქვთ მანდატი შეუერთდნენ ერთიან პორტალს და გააერთიანონ სერვისების მიწოდების პლატფორმები, რაც ამცირებს ციფრული სერვისების ერთი ფანჯრის პრინციპის ეფექტურობას. რიგ შემთხვევებში, სხვადასხვა სახელმწიფო უწყება, მაგალითად, სსიპ „შემოსავლების სამსახური“ მომსახურებას უზრუნველყოფს მხოლოდ საკუთარი ციფრული არხებით.

საქართველოს მთავრობას არ აქვს შემუშავებული ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურის (cloud

<sup>25</sup> 2023 წლის მონაცემები

infrastructure) ან მონაცემთა რეგულირების ერთიანი პოლიტიკა. სამი სახელმწიფო უწყება, სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტო“, სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“ და სსიპ „საფინანსო-ანალიტიკური სამსახური“<sup>26</sup>, მუშაობს ე.წ. ვირტუალიზაციის ტექნოლოგიით და ემსახურება სხვა სამთავრობო უწყებებს. თუმცა, არ არსებობს საერთო სტანდარტები ან მოთხოვნები.<sup>27</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი G2B სერვისებისთვის ათვისება 100%-ის ფარგლებშია, არსებული ციფრული სერვისების ათვისების მოცულობა ჯერ კიდევ დაბალია. მოქალაქეთათვის სერვისების უმრავლესობის შემთხვევაში, იუსტიციის სახლები დომინირებს როგორც მომსახურების მიწოდების არხი<sup>28</sup>. 2024 წლის ივნისის მონაცემებით 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვისაც ბოლო 12 თვეში, პირად საკითხებზე ინტერნეტით ჰქონდა ურთიერთობა სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან ან საჯარო მომსახურების სააგენტოებთან, ურთიერთობის მიზნების მიხედვით, შეადგენს 9,1 %.<sup>29</sup>

საქართველოს რეგიონებში ციფრული სერვისების განვითარება და გაციფრულება რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე შეზღუდული და არათანაბარია<sup>30</sup>.

## გამომწვევი ფაქტორები

2.1 ციფრულ პლატფორმაზე ტრანზაქციის სრული (უწყვეტი) ციკლის არარსებობა - აღნიშნული პრობლემა დადგინდა მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიერ, ყველა დაინტერესებული იუწყების ჩართულობით განხილული ციფრული პლატფორმების ტექნიკური მახასიათებლების შეფასების შედეგად. იგი განპირობებულია რიგ შემთხვევებში ციფრული პლატფორმების ფრაგმენტაციით, ტანსაცემებზე პლატფორმის სპეციფიური შეზღუდვებით, აპლიკაციის პროგრამული უზრუნველყოფის ინტერფეისის არათავსებადობით (Application Programming Interface (API)) და ა.შ.<sup>31</sup>

2.2 ერთიანი სტანდარტების და არქიტექტურის არარსებობა - სახელმწიფო უწყებებს აქვთ თავიანთი დღის წესრიგი, ბიუჯეტები და დამოუკიდებლად განსაზღვრავენ ციფრული პლატფორმებისა და სერვისების სტანდარტებს და მოთხოვნებს, რაც ხშირად იწვევს პლატფორმებისა და ინსტიტუტების არასაკმარის თავსებადობას, ინსტიტუციური თანამშრომლობის და უწყებათაშორისი კოორდინაციის ნაკლოვანებებს.

<sup>26</sup> მსოფლიო ბანკის კვლევა - საქართველოს ეკონომიკის გადატვირთვა - ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების სტრატეგია ზრდის, ინკლუზიურობის, მდგრადობის და კონკურენტუნარიანობისთვის

<sup>27</sup> მსოფლიო ბანკის კვლევა - საქართველოს ეკონომიკის გადატვირთვა - ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების სტრატეგია ზრდის, ინკლუზიურობის, მდგრადობის და კონკურენტუნარიანობისთვის

<sup>28</sup> მსოფლიო ბანკის კვლევა - საქართველოს ეკონომიკის გადატვირთვა - ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების სტრატეგია ზრდის, ინკლუზიურობის, მდგრადობის და კონკურენტუნარიანობისთვის

<sup>29</sup> საქსტატის მონაცემები, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გამოკვლევა შინამეურნეობებში, 2024

<sup>30</sup> მსოფლიო ბანკის კვლევა - საქართველოს ეკონომიკის გადატვირთვა - ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების სტრატეგია ზრდის, ინკლუზიურობის, მდგრადობის და კონკურენტუნარიანობისთვის

<sup>31</sup> მსოფლიო ბანკის ექსპერტების ანალიზი; ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) კვლევა

<https://www.itu.int/en/ITU-D/Regional-Presence/Europe/Documents/Publications/2022/Digital%20Innovation%20Profile%20Georgia.pdf>

სამთავრობო ციფრულ სისტემების და სერვისების შემუშავებაზე ძალისხმევისა და ხარჯების გაორმაგებას ერთიანი არქიტექტურის არარსებობა იწვევს. მაგალითად, საჯარო უწყებები იყენებენ დოკუმენტების მართვის 4 განსხვავებულ სისტემას, ადამიანური რესურსების მართვის 3 განსხვავებულ სისტემას და 3 განსხვავებულ ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურას. ეს მიუთითებს პლატფორმების განვითარების და მუშაობის ფაზებზე სახელმწიფო ხარჯების კოორდინაციის ნაკლებობასა და არასაკმარის ეფექტურობაზე. ასევე შეზღუდულია ხელშემწყობი ღონისძიებები მოქალაქეებისა და ბიზნესის მიერ არსებული ციფრული არხების გამოყენებისათვის.

2.3 Information Technology (IT) კადრების გადინება - სფეროს კადრების გადინება საჯარო და კერძო სექტორიდან საერთაშორისო სტატუსის მქონე კომპანიებში, გამოწვეულია საჯარო სექტორში დადგენილი სახელფასო ლიმიტებით<sup>32</sup>.

### უარყოფითი შედეგები:

ციფრული სამთავრობო სერვისების არასაკმარისი განვითარება და გამოყენება ხელს უშლის ელექტრონული სერვისების მიწოდებას მოქალაქეებისთვის და ბიზნესებისთვის, ზრდის ადმინისტრაციულ დანახარჯებს და ამცირებს საჯარო უწყებების ეფექტურობას. ერთიანი სტანდარტებისა და არქიტექტურის, ასევე თანამედროვე ღრუბლოვანი ტექნოლოგიების ფართომასშტაბიანი დანერგვის ნაკლებობა, აუარესებს სახელმწიფო სერვისების ხარისხს. ეს მოქალაქეებსა და ბიზნესებს ნაკლებად მოტივირებულს ხდის ციფრული არხების გამოყენებაში. ამავდროულად, IT კადრების გადინება კიდევ უფრო აფერხებს ინოვაციური ტექნოლოგიების, მათ შორის ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურის დანერგვას, რაც ქვეყნის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესს აჭიანურებს და ამცირებს მის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას. რეგიონულ დონეზე სერვისების გაციფრულების დაბალი ტემპი, კიდევ უფრო აღრმავებს ცენტრალურ და რეგიონულ ხელისუფლებას შორის უთანასწორობას, რაც უარყოფითად ისახება ადგილობრივ მმართველობასა და საჯარო სერვისებზე.

## 1.3 ციფრული მეწარმეობა, საწარმოების ციფრული ტრანსფორმაცია და ინოვაციები

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, საქართველოში საწარმოები გარკვეული დონით გაციფრულდა და ავტომატიზირდა ბიზნეს პროცესების გასამარტივებლად, ხარჯების შესამცირებლად და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად (ვებგვერდი, სოც. მედია, ERP პროგრამა, CRM, ხელოვნური ინტელექტი, ნივთების ინტერნეტი)<sup>33</sup>. დარგებში ბოლო დროს გაჩნდა სხვადასხვა სტარტაპი (მაგ. ფინანსური ტექნოლოგიები, ელექტრონული კომერცია, ხელოვნური ინტელექტი, ფინტექი, განათლება, ტრანსპორტი, ბიოტექნოლოგიები, სოფლის


<sup>32</sup> მსოფლიო ბაკის კვლევა - საქართველოს ეკონომიკის გადატვირთვა - ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების სტრატეგია ზრდის, ინკლუზიურობის, მდგრადობის და კონკურენტუნარიანობისთვის.

<sup>33</sup> საქსტატი- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში (2016-2023 წწ.), აჩვენებს კომპანიების მიერ ვებსაიტების და სოციალური მედიის გამოყენების ტენდენციებზე ბიზნეს პროცესებისთვის, ასევე ელექტრონული ინვოისის ავტომატური პროცესებისთვის. თუმცა, საწარმოების ნახევარზე მეტი კვლავ დამოკიდებულია მექანიკურ პროცესებზე.

მეურნეობა,<sup>34</sup> ჯანდაცვა, ტურიზმი და სხვა). ტექნოლოგიური სტარტაპის მხარდასაჭერად, ადრეული ეტაპის დაფინანსების სქემები, როგორცაა წილობრივი მონაწილეობის გარეშე გრანტების ოფციები, ხელმისაწვდომი გახდა სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ მეშვეობით.<sup>35</sup> 2024 წლის მდგომარეობით, სააგენტომ 2018 წლიდან, გლობალური პოტენციალის მქონე სტარტაპების ხელშეწყობის მიზნით, 38 მილიონი ლარის ოდენობით, 239 სტარტაპზე გასცა საგრანტო დაფინანსება, რომელთაც დააგენერირეს 200 მილიონი ლარის ოდენობის შემოსავალი და მოიზიდეს 300 მილიონ ლარამდე ინვესტიცია. ამასთან, შექმნეს 3 000-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი.

ელექტრონული კომერცია ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც დაჩქარებული ტემპით განვითარდა, ამან დადებითი გავლენა იქონია ფინანსურ ბრუნვაზე და დასაქმებაზე (სურათი 3).

სურათი 3. ICT ექსპორტი და დასაქმება საბითუმო და საცალო ვაჭრობასთან შედარებით<sup>36</sup>



ა) საქართველოს ექსპორტი ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით, ათასი აშშ დოლარი (ICT საბითუმო და საცალო ვაჭრობასთან შედარებით)

ბ) დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობით, ათასი ადამიანი (ICT საბითუმო და საცალო ვაჭრობასთან შედარებით)

გლობალურად, COVID-19 პანდემია გახდა ერთ-ერთი მამოძრავებელი ფაქტორი, რომელიც დარგების და საწარმოების მეტად გაციფრულებას უწყობს ხელს, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებში.

ამასთან, მთავრობამ მიიღო ზომები საქართველოში მოქმედი ექსპორტზე ორიენტირებული

<sup>34</sup> სოფლის მეურნეობაში ციფრული პლატფორმები ფერმერებს საშუალებას აძლევს დაუკავშირდნენ მომხმარებელთა ფართო ჯგუფს, მიიღონ ინფორმაცია ბაზრებზე არსებული ფასების შესახებ, ან მიიღონ საკონსულტაციო მხარდაჭერა. ციფრული ტექნოლოგიები ასევე ხელს უწყობს დაბალი შემოსავლის მქონე ფერმერების ინტეგრაციას ღირებულების ჯაჭვებში, მაღალი ხარისხის პროდუქციის საწარმოებად.

<sup>35</sup> 2016 წლიდან მსოფლიო ბანკის მიერ მხარდაჭერილი, 42 მილიონი აშშ დოლარის GENIE პროექტი უზრუნველყოფს ინოვაციური ინფრასტრუქტურის და სერვისების, ეკოსისტემის მხარდაჭერას და პირდაპირ დაფინანსებას ქართული ინოვაციური ეკოსისტემის გაძლიერების და შემდგომი განვითარების მიზნით. 2021 წლის ნოემბერში, ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ და Catapult Georgia-მ გააფორმეს თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლითაც 50 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციას ახორციელებენ ქართულ ტექნოლოგიებსა და ინოვაციურ სტარტაპებში. ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ასევე გამოყოფს 5 მილიონ დოლარს, რათა ხელი შეუწყოს ქართული სტარტაპების განვითარებას გლობალურ ბაზრებზე.

<sup>36</sup> სსიპ „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური“ (საქსტატი) (საქართველოს ექსპორტი ეკონომიკური საქმიანობის სახეების (NACE Rev. 2) მიხედვით)

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპანიებისთვის მიმზიდველი საგადასახადო პოლიტიკის შესაქმნელად, ვირტუალური ეკონომიკური ზონის და საერთაშორისო სტატუსის მქონე საწარმოების ბენეფიტების ჩათვლით, რაც გულისხმობს შემცირებულ მოგების და საშემოსავლო გადასახადებს და ექსპორტის დღგ-სგან გათავისუფლებას<sup>37</sup>. კერძოდ, განისაზღვრა, რომ საერთაშორისო კომპანიაში დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავალი 5 პროცენტით იბეგრება. ამასთან, ამ სტატუსის მატარებელი კომპანიის მიერ გაცემული დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდის მიმღები პირის ერთობლივ შემოსავალში არ ითვლება. გარდა ამისა, საერთაშორისო კომპანიის მოგების გადასახადის განაკვეთი 5 პროცენტს შეადგენს. აღნიშნულ რეფორმას უკვე მოჰყვა პოზიტიური შედეგები, კერძოდ, ქართულ ბაზარზე 120-ზე მეტი საერთაშორისო IT კომპანია შემოვიდა, რომელთაც შეძლეს 10,000-ზე მეტი ადამიანის დასაქმება, რომელთა საშუალო ხელფასმა 3,400 აშშ შეადგინა, კომპანიებმა მილიარდ აშშ ლარზე მეტი გასცეს ხელფასებზე, ხოლო IT მომსახურების ექსპორტმა 415 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. საერთაშორისო სტატუსის მინიჭებით, ტექნოლოგიების უცხოური კომპანიებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნა დადებით სოციალურ-ეკონომიკურ გავლენას მოახდენს და უზრუნველყოფს გამოცდილების და ცოდნის შემოდინებას.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, პასუხისმგებელია ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობის, მათ შორის ელექტრონული ვაჭრობის რეგულაციების შემუშავებაზე. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებები, როგორცაა სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“ და სსიპ „აწარმოე საქართველოში“, ხელს უწყობენ ციფრული პლატფორმების და ციფრული მეწარმეობის განვითარებას, დამწყები ბიზნესისთვის სხვადასხვა მხარდაჭერის მექანიზმის მიწოდებით. სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ“ 2024 წლიდან დაიწყო მუშაობა ინოვაციური სტარტაპებისა და მცირე და საშუალო მეწარმეების სამართლებრივი სტატუსის განსასაზღვრად შესაბამისი კრიტერიუმების შემუშავებაზე და მზადდება საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონში აღნიშნულის უზრუნველსაყოფად. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სსიპ „შემოსავლების სამსახურთან“ საკვანძო როლს ასრულებს საგადასახადო რეჟიმების დაწესებაში და ლოგისტიკის უზრუნველყოფაში.

სსიპ „საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო“ უზრუნველყოფს შესაძლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის იდენტიფიცირებასა და უფლებამოსილი ორგანოსთვის შეთავაზებას, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილი ორგანოსთვის შესაძლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის იდენტიფიცირებაში დახმარების გაწევას, უფლებამოსილი ორგანოს მიერ წარდგენილი პროექტის კონცეფციის შეფასებასა და შესაბამისი

---

<sup>37</sup> 2011 წლიდან, საქართველოში ვირტუალური ზონის სუბიექტის სტატუსის მქონე IT კომპანიებს (ადგილობრივი და უცხოური), რომლებიც ჩართული არიან საინფორმაციო ტექნოლოგიების წარმოებაში და ემსახურებიან მომხმარებელს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, შეუძლიათ ისარგებლონ გადასახადისგან გათავისუფლებული რეჟიმით (გათავისუფლებული მოგების გადასახადისგან, ექსპორტის გადასახადიდან და დღგ-დან). გარდა ამისა, 2020 წელს ახალი საგადასახადო შეღავათები შევიდა ძალაში „საერთაშორისო“ სტატუსის მქონე ინფორმაციული და საკომუნიკაციო კომპანიებისთვის (შემოსავლის 90%-ზე მეტი უცხოეთიდან). გეგმა მოიცავს საშემოსავლო გადასახადის შემცირებას 20%-დან 5%-მდე, მოგების გადასახადის შემცირებას 15%-დან 5%-მდე და ქონების გადასახადის შეღავათებს. ამ შეღავათიან მარეგულირებელ და საგადასახადო ჩარჩოებს შეუძლიათ ინვესტიციების მოზიდვა და ადგილობრივი ტექნოლოგიური კომპანიების წახალისება გააფართოვონ ბიზნესი საზღვარგარეთ.

რეკომენდაციების შემუშავებას, უფლებამოსილი ორგანოს მიმართვის შემთხვევაში მისთვის საჯარო და კერძო თანამშრომლობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის, მათ შორის, შერჩევის პროცესის შესაბამისი დოკუმენტაციის, საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულების პროექტისა და სხვა დოკუმენტაციის მომზადებაში დახმარების გაწევას, საჭიროების შემთხვევაში, მცირე პროექტთან დაკავშირებით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებას, საჯარო და კერძო თანამშრომლობის ნებისმიერ ეტაპზე კონსულტანტის შერჩევის, დაქირავებისა და ზედამხედველობის უზრუნველყოფას, შესაბამის ქმედებათა უფლებამოსილ ორგანოსთან კოორდინირებას, აგრეთვე საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის განხორციელების მონიტორინგთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოთხოვას, ინსტიტუციური პოტენციალის განვითარების მიზნით, საჯარო და კერძო თანამშრომლობის სფეროში უფლებამოსილი ორგანოს ცოდნის ამადლების ხელშეწყობისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების მონაცემთა ბაზის შექმნასა და მართვას, სტანდარტული დოკუმენტების ფორმების, მათ შორის საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულების სტანდარტული მუხლების, შემუშავებას. საქართველოში საკანონმდებლო ბაზა, მათ შორის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი და „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონი, ადგენს წესებს და რეგულაციებს ბიზნეს ორგანიზაციებისთვის და დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემებისთვის.

საქართველოს კანონის „ინოვაციების შესახებ“ მიზანია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა და სრულყოფა, ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა, სხვა სახელმწიფოებში შექმნილი ტექნოლოგიების საქართველოში ათვისების ხელშეწყობა, საქართველოში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრებისა და ტექნოლოგიების დანერგვისა და ექსპორტის ხელშეწყობა, მოწინავე ტექნოლოგიების მეცნიერებისა და ეკონომიკის ყველა სფეროში შეღწევა ამ სფეროთა კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით.

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დაცვაზე, გადასახადების/მოსაკრებლების მართვაზე პასუხისმგებელია სსიპ „შემოსავლების სამსახური“. საქართველო აქტიურად ახორციელებს ბიზნესისთვის ხელსაყრელ საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკას, რომლის მიზანია კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. საბაჟო კოდექსმა, რომელიც 2019 წლის სექტემბერში შევიდა ძალაში, განსაზღვრა ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის კონცეფცია და გაამარტივა ექსპორტის პროცედურა. საგადასახადო საკითხები რეგულირდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით, რომელიც ითვალისწინებს ექვს ძირითად გადასახადს. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველო მსოფლიოში მესამე, გადასახადებით ყველაზე ნაკლებად დატვირთული ქვეყანაა, გადასახადის საერთო 9.9%<sup>38</sup> განაკვეთით.

კიდევ ერთი მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ციფრულ ეკონომიკაზე, არის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ჩარჩო და აღსრულების

<sup>38</sup> [https://data.worldbank.org/indicator/IC.TAX.TOTL.CP.ZS?most\\_recent\\_value\\_desc=false](https://data.worldbank.org/indicator/IC.TAX.TOTL.CP.ZS?most_recent_value_desc=false)

ზომები. ინტელექტუალური საკუთრების სფეროში პოლიტიკას განსაზღვრავს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“.

გარდა ამისა, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმება (Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA) განსაზღვრავს მხარეთა ვალდებულებებს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ხელმოწერილი ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საერთაშორისო შეთანხმებების ეფექტური განხორციელების შესახებ, მათ შორის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმებას ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights (TRIPS). შეთანხმების მოთხოვნები ავსებს და დამატებით აზუსტებს მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმების ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ, 2023 წლის 13 ივნისს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „ელექტრონული კომერციის შესახებ“, რომელიც ხელს უზრუნველყოფს ქვეყანაში მეწარმეობის და ელექტრონული ვაჭრობის შემდგომ განვითარებას, ციფრული შიდა ბაზრის სათანადოდ ფუნქციონირებას და გაუმჯობესებას, აგრეთვე ელექტრონული კომერციის მომხმარებლების უფლებების დაცვის დამატებითი გარანტიების უზრუნველყოფას, ელექტრონული კომერციის პლატფორმების მიმართ ნდობის ამაღლებას, რაც დააჩქარებს საქართველოს ევროპის ერთიან ციფრულ ბაზარში და გლობალურ სავაჭრო სივრცეში ინტეგრირებას.

სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“, უშუალოდ ხელს უწყობს ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობის, მათ შორის ციფრული მეწარმეობის განვითარებას. ამასთან, სსიპ „აწარმოე საქართველოში“ სტარტაპებსა და მოქმედ ბიზნესებს სთავაზობს მხარდაჭერის სხვადასხვა მექანიზმს. ფინანსთა სამინისტრო, სსიპ „შემოსავლების სამსახურთან“ ერთად წარმოადგენს ძირითად მოთამაშეს ბიზნესის წარმოების საგადასახადო რეჟიმების და ადმინისტრაციული პროცესების შემუშავებაში. საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად, მონაწილეობს ქვეყანაში ალტერნატიული დაფინანსების პროდუქტებისა და ინსტრუმენტების განვითარებასა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაში.

### **პრობლემა 3: ადგილობრივი ტექნოლოგიური საწარმოების და სტარტაპების ზრდის, აგრეთვე მცირე და საშუალო საწარმოების ციფრული ტრანსფორმაციის დაბალი ტემპი**

მცირე და საშუალო საწარმოებში გაციფრულების ტემპები არც ისე სახარბიელოა. ამასთან, ქართული კომპანიები გლობალური კონკურენტუნარიანობის ნაკლებობას განიცდიან და უჭირთ ინოვაციების შექმნა და დანერგვა. მსოფლიო ბანკის ბიზნეს პულს კვლევის ფარგლებში ჩატარებული ბოლო კვლევის მიხედვით<sup>39</sup>, 51 ქვეყნის ფირმის მონაცემები აჩვენებს, რომ კომპანიები სულ უფრო მეტად ეყრდნობიან ციფრულ საშუალებებს, COVID-19 შოკზე რეაგირების სახით. როგორც შედეგები აჩვენებს, კომპანიების დაახლოებით 34%-მა გაზარდა ან დაიწყო ციფრული პლატფორმების, ინტერნეტის და სოციალური მედიის გამოყენება, პანდემიის დროს კომპანიების 17%-მა ინვესტიცია განახორციელა ახალ მოწყობილობებში,

<sup>39</sup> <https://openknowledge.worldbank.org/entities/publication/27b4409d-cf0b-5f4a-b578-b2c0e46d2326>

პროგრამულ უზრუნველყოფაში და ციფრულ საშუალებებში.

ამჟამად, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (Information and Communication Technology (ICT) პროდუქტებისა და სერვისების უმეტესობა, რომლებსაც საქართველოს მთავრობა იყენებს, შემუშავებულია სხვადასხვა საჯარო უწყების შიდა რესურსებით, რაც ზღუდავს მთავრობასა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობას და ტექნოლოგიური კომპანიების ზრდის ხელშეწყობას.

ინვესტიციის ინსტრუმენტების დივერსიფიკაციის ინიციატივები, განსაკუთრებით ვენჩურული კაპიტალისთვის, ბოლო დროს წახალისებულია (მაგალითად, საქართველოს კაპიტალის ბაზრის განვითარების 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმაში და საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიაში). თუმცა საჭიროა ამ ინიციატივების შემდგომი განვითარება. მიუხედავად იმისა, რომ ადრეულ ეტაპზე ტექნოლოგიური სტარტაპების დაფინანსების ინსტრუმენტები ხელმისაწვდომი გახდა ქვეყანაში მთავრობის საგრანტო სქემების მეშვეობით, ინსტრუმენტები, როგორცაა სარისკო კაპიტალის ფონდები, „angel“ ინვესტირება, „ქრადფანდინგი“ და სხვა, საქართველოში დაწყებით სტადიაზეა და აკლია ინსტიტუციონალიზაცია. ეს გავლენას ახდენს ტექნოლოგიური სტარტაპების პოტენციურ ზრდაზე და აფერხებს მომხმარებლის მხრიდან სტარტაპების მიერ შექმნილი პროდუქტების უფრო აქტიურად გამოყენებას და ბაზარზე დამკვიდრებას.

### გამომწვევი ფაქტორები:

3.1 ადამიანური კაპიტალის შეზღუდული შესაძლებლობები - ქართულ კომპანიებს გლობალური კონკურენციისთვის არასაკმარისი განვითარების დონე გააჩნიათ ინოვაციების შექმნისა და დანერგვის კუთხით<sup>40</sup>. ეს უკავშირდება ადამიანური კაპიტალის შეზღუდულ შესაძლებლობებს და ციფრული მეწარმეობის გასაძლიერებლად, სამუშაო ძალის რაოდენობას საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში, იქნება ეს ინოვაციური ბიზნესის დაფუძნება, საწარმოების გაციფრულება თუ ახალი პროგრამული გადაწყვეტილებების შესაქმნელად საჭირო ტექნოლოგიური უნარები.<sup>41 42</sup> ამასთან, საწარმოები, რომლებიც ქმნიან ინოვაციურ და გლობალურად კონკურენტუნარიან პროდუქტს, მეტწილად დამოკიდებულნი არიან კომპანიის კვლევის და განვითარების კომპეტენციაზე და აკადემიური სფეროდან

<sup>40</sup> 2019 წლის კონკურენტუნარიანობის გლობალური ინდექსით, საქართველო 74-ე ადგილზეა 141 ქვეყანას შორის. სუსტი წერტილები, რომლებიც ამჟამად ხელს უშლის ციფრული ბიზნესის განვითარებას, შეიძლება გამოწვეული იყოს საერთო შეზღუდვებით, როგორცაა ინოვაციების შესაძლებლობები (91-ე), კერძო სექტორის დაბალი ჩართულობა (117-ე), სარისკო კაპიტალის შეზღუდული ხელმისაწვდომობა (119), სამეწარმეო კულტურის ნაკლებობა (93-ე) და ინოვაციური კომპანიების ზრდის დაბალი ტემპი (108-ე).

<sup>41</sup> მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ადამიანური კაპიტალის ინდექსი 2020 წლისთვის უფრო მაღალია, ვიდრე საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი მთელ მსოფლიოში და ოდნავ გაუმჯობესებულია წინა ანგარიშთან შედარებით, მაინც ჩამორჩება ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს. EBRD-ის ბიზნეს გარემოსა და საწარმოთა ეფექტურობის 2017 წლის კვლევაში, ინოვაციების მართვის უნარების ნაკლებობა გამოვლინდა, როგორც მთავარი გამოწვევა, რომელიც ხელს უშლის ქართულ კომპანიებს ითანამშრომლონ უცხოურ და ადგილობრივ პარტნიორებთან, განახორციელონ ინვესტიციები კვლევასა და განვითარებაში და ზოგადად ინოვაციებში.

<sup>42</sup> ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კვლევა:

[https://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/reports/2022/05/fostering-business-development-and-digitalisation-in-georgia\\_607e5f7c/c6e27d8a-en.pdf#page33](https://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/reports/2022/05/fostering-business-development-and-digitalisation-in-georgia_607e5f7c/c6e27d8a-en.pdf#page33)

ინდუსტრიაში ტექნოლოგიის გადატანაზე. საქართველოს მთავრობამ გადადგა ნაბიჯები სამეცნიერო სფეროში დაგროვილი ცოდნის კომერციალიზაციისთვის.<sup>43</sup> თუმცა, პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობდა, მხოლოდ მცირე რაოდენობით მნიშვნელოვანი შედეგია მიღწეული. ბოლო ორი წლის განმავლობაში, კვლევასა და განვითარებაზე საქართველოში ჯამური ხარჯები მცირედით გაიზარდა, თუმცა მაინც შვიდჯერ დაბალია ევროკავშირის მიერ რეკომენდებულ ხარჯებზე<sup>44</sup>.

3.2 არასაკმარისი სტიმულის მექანიზმები ადგილობრივი ტექნოლოგიური კომპანიების და სტარტაპების ზრდისთვის - ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში სახელმწიფო შესყიდვების ნაკლებობა ამცირებს კერძო სექტორის შესაძლებლობას ჩაერთოს ტექნოლოგიური პროდუქტების დაგეგმვასა და განვითარებაში. ციფრული ბიზნესებისთვის, რომლებიც ცდილობენ ზრდას, შეზღუდვად რჩება შიდა ბაზრის მცირე ზომა, რაც მიუთითებს გლობალური გაფართოების და ინტეგრაციის აუცილებლობაზე. თუმცა, ამ პროცესის მხარდაჭერისთვის საჭირო ცოდნა და მექანიზმები შეზღუდულია. საქართველოს ბაზრის ზომა ნებისმიერი დარგის ყველა ინოვაციური კომპანიისთვის მცირე და პრობლემურია, რადგან მათ აქვთ გამოწვევები ინოვაციის ხარჯის, არასაკმარისი რესურსების, ბაზარზე დომინირების კუთხით ყველა ძირითად სექტორში და შესაძლოა, მეტი ინტერესი არ არსებობდეს გაუმჯობესებისთვის. ამით აიხსნება წარმატებული სტარტაპების/ინოვაციური პროდუქტებისა და სერვისების ქვეყნიდან გასვლის სურვილის ტენდენცია.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს რამდენიმე საგადასახადო შეღავათი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიებისთვის, არ არის საკმარისი სტიმულის მექანიზმები ადგილობრივი ტექნოლოგიური კომპანიების და სტარტაპების ზრდისთვის და მდგრადი შედეგების უზრუნველსაყოფად, მათ შორის უცხოელი ინვესტორების მოზიდვის მხრივ.

### უარყოფითი შედეგები:

ადგილობრივი ტექნოლოგიური კომპანიების და სტარტაპების მხარდაჭერის გასაგრძელებლად სათანადო ზომების გაძლიერების გარეშე, მათ შორის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში, იწვევს მათი კონკურენტუნარიანობის შემცირებას, რაც ქართული კომპანიების გლობალური მასშტაბით მყარ პოზიციებზე დამკვიდრებას ზღუდავს. მცირე და საშუალო საწარმოების ციფრული ტრანსფორმაციის დაბალი ტემპი აუარესებს მათ შესაძლებლობებს, რაც იწვევს განვითარების შეფერხებას. გარდა ამისა, აღნიშნული ფაქტორები აფერხებს ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნას, რაც როგორც საქართველოს ეკონომიკის, ასევე სტარტაპებისა და

<sup>43</sup> „ინსტიტუციური შესაძლებლობების ზრდის პროექტის“ ფარგლებში (2.7 მილიონი ევრო) ტექნოლოგიების ტრანსფერის საპილოტე პროგრამამ ხელი შეუწყო ქართული სამეცნიერო პროდუქტის კომერციალიზაციას, რომელიც პასუხობს ბაზრის საჭიროებებს. Technology Transfer Pilot-ს ახორციელებს საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, მსოფლიო ბანკის ჯგუფის ტექნიკური მხარდაჭერით. ჯგუფი მჭიდროდ თანამშრომლობს ქართულ კვლევით ორგანიზაციებთან, რათა შეარჩიოს ყველაზე პერსპექტიული იდეები. (კვლევითი პროექტები, რომლებმაც მიაღწიეს ტექნოლოგიურ მზადყოფნის დონეს (TRL) 4+ და მეტს); საპილოტე პროგრამის შემდეგ, საჭიროა ინოვაციური აქტორების ეფექტურობის ზრდა და მრეწველობის და სამეცნიერო სფეროს შორის არსებული ხარვეზის შემცირება.

<sup>44</sup> მსოფლიო ბანკის კვლევა - საქართველოს ეკონომიკის გადატვირთვა - ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების სტრატეგია ზრდის, ინკლუზიურობის, მდგრადობის და კონკურენტუნარიანობისთვის

ბიზნესების სამომავლო განვითარებას მნიშვნელოვნად ზღუდავს, გლობალურ ბაზარზე კი მათი კონკურენტუნარიანობის გაუარესებას იწვევს.

## 1.4 ციფრული ფინანსური სერვისები

საქართველოს ეროვნული ბანკი არის ბანკთა ბანკი, მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი. მისი როლი ითვალისწინებს ფინანსური ბაზრის სტაბილურობის უზრუნველყოფას და ხელსაყრელი გარემოს შექმნას ფინანსური სერვისების მიწოდებისთვის.

საქართველოს ფინანსური სექტორი, სხვა ეკონომიკურ სექტორებს შორის, გამოირჩევა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მაღალი დონით, როგორც მოქალაქეებისთვის გასაწევი სერვისების, ასევე საკუთარი შიდა ბიზნეს პროცესების მხრივ. ექვსი წლის განმავლობაში (2018-2023) ელექტრონული კომერციის (ინტერნეტის) მეშვეობით გაიზარდა გადახდის ოპერაციების ჯამური წლიური თანხა 4,8-ჯერ, ხოლო სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში POS (Point of Sale) ტერმინალებით გადახდები 3,9-ჯერ. მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ასევე ელექტრონული კომერციის ტერმინალებით განხორციელებული ტრანზაქციების რაოდენობაშიც. კერძოდ, 2023 წელს ინტერნეტით ქართული ბარათებით განხორციელებული ოპერაციების რაოდენობა 1.8-ჯერ აღემატებოდა 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში ელექტრონული გადახდების კუთხით POS ტერმინალები როგორც ციფრული გადახდების ფიზიკური წვდომის არხები, სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენენ. 2023 წლის მდგომარეობით, 6 წლის განმავლობაში (2018 წელთან შედარებით) 1,2-ჯერ გაიზარდა ბანკომატების რაოდენობა, ხოლო POS ტერმინალები 2.8-ჯერ.

ამჟამად, ქვეყნის შიგნით განხორციელებული საბარათო ოპერაციების 95 პროცენტზე მეტი ხორციელდება უკონტაქტო ინფრასტრუქტურის მეშვეობით. 2019 წელს საქართველო გახდა პირველი ქვეყანა კავკასიის რეგიონში, რომელმაც დაწერა „Apple Pay“.

ფინანსურ სექტორს აქვს კარგად განვითარებული გადახდების ინფრასტრუქტურა. მათ შორის, დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა (Real-Time Gross Settlement (RTGS)), ბანკომატებისა და POS ტერმინალების ქსელი, გადახდის თვითმომსახურების კიოსკები, ასევე ინტერნეტ და მობილური ბანკის აპლიკაციები, რაც განაპირობებს ციფრული გადახდის სერვისების მაღალ ხელმისაწვდომობას. ციფრული გადახდების გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურისა და სერვისების გამო, ელექტრონული არხებით შესრულებული გადახდის ოპერაციები მნიშვნელოვნად დომინირებს. კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2023 წელს, 317 მილიონი ინტერნეტ და მობილური ბანკის გადახდის ოპერაცია განხორციელდა და მხოლოდ 12.6 მილიონი ფიზიკურ ფილიალებში/სერვის-ცენტრებში.

მსოფლიო ბანკის საქართველოს მხარდაჭერის და რეაბილიტაციის პროექტი მოიცავს საქართველოში მყისიერი გადახდების სისტემის დანერგვის მხარდაჭერასაც, მყისიერი გადახდების სისტემა იქნება საცალო საგადახდო სისტემა, რომელიც იმუშავებს 24/7/365 რეჟიმში და უზრუნველყოფს ფულადი სახსრების გადამხდელის ანგარიშიდან მიმღების ანგარიშზე დაუყოვნებლივ ჩარიცხვას (არაუმეტეს 20 წამში). მყისიერი გადახდების სისტემა და მისი ზედნაშენი სერვისები (Overlay services) საშუალებას მისცემს საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს (მათ შორის ფინტექ კომპანიებს) შექმნან როგორც მომხმარებლებისთვის, ასევე სავაჭრო მომსახურების ობიექტებისათვის გადახდის მიღების ახალი შესაძლებლობები და

ახალი არხები, რაც გაზრდის საგადახდო სისტემის ეფექტიანობასა და ეფექტურობას. აღსანიშნავია ასევე, რომ ახალ სისტემაში პირდაპირი წვდომა ექნებათ როგორც საბანკო, ასევე არასაბანკო საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს, რაც ხელს შეუწყობს კონკურენციის ზრდას საცალო საგადახდო ბაზარზე და საბოლოოდ, სარგებელს მოუტანს მომხმარებლებს უფრო სწრაფ ციფრულ გადახდებზე შეუფერხებელი წვდომის უზრუნველყოფით. სისტემაში შეტყობინებები დამუშავდება ISO20022 სტანდარტზე და წესებზე დაყრდნობით, რაც არის გლობალური, ღია სტანდარტი საგადახდო შეტყობინებებისთვის, რომლის გამოყენებაც სამომავლოდ შესაძლებელს გახდის სხვა, მათ შორის საერთაშორისო საგადახდო სისტემებთან ინტეგრაციას/ურთიერთთავსებადობას.

საგადახდო ბაზრის სამართლებრივი ბაზა ეფუძნება ევროკავშირის საგადახდო მომსახურების მეორე დირექტივას (Payment Service Directive 2 (PSD2), რომელიც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად სრულად არის იმპლემენტირებული საქართველოს კანონმდებლობაში თანმდევი რეგულაციების ჩათვლით. აღნიშნული მყარ საფუძველს ქმნის საგადახდო სისტემების ეფექტიანი, ეფექტური და საიმედო ფუნქციონირებისათვის. გარდა ამისა, PSD2-ის ქართულ კანონმდებლობაში გადმოტანა ზრდის საგადახდო მომსახურების უსაფრთხოებასა და საიმედოობას, აუმჯობესებს მომხმარებელთა დაცვის სტანდარტებს, რაც ხელს შეუწყობს საგადახდო მომსახურებისადმი მომხმარებლების ნდობის გამყარებასა და საიმედო საფუძველს ქმნის უნაღდო გადახდების ზრდის დაჩქარებისთვის. ასევე, PSD2-ის მოთხოვნების შესაბამისად, ბაზარზე გაჩნდა ახალი ტიპის საგადახდო მომსახურებები - გადახდის ინიცირების მომსახურება და ანგარიშის ინიცირების მომსახურება, რომლებიც წარმოადგენს ღია ბანკინგის საფუძველს და საშუალებას აძლევს საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს, მათ შორის ფინტექ კომპანიებს დამოუკიდებლად განახორციელონ ანგარიშის ინფორმაციისა და გადახდის ინიცირების მომსახურება და შექმნან ახალი ინოვაციური საგადახდო პროდუქტები მომხმარებლებისა და ბიზნესებისთვის. აღსანიშნავია, რომ პარალელურად ეროვნული ბანკის მიერ მიღებულ იქნა ღია და უსაფრთხო ერთიანი კომუნიკაციის სტანდარტები, რომელიც ანგარიშის მომსახურე პროვაიდერებს (კომერციულ ბანკებს) უწყებს სტანდარტებს, რის შესაბამისადაც კომერციული ბანკები ვალდებული არიან მისცენ საშუალება მესამე მხარის პროვაიდერებს API-ს (Application Programming Interface) მეშვეობით განახორციელონ ახალი საგადახდო მომსახურებები. აღნიშნული წარმოადგენს პირველ ნაბიჯებს საქართველოში ღია ბანკინგის განვითარებისათვის.

საყურადღებოა, რომ 2023 წლის დეკემბრიდან საქართველოს ეროვნულ ბანკთან ფუნქციონირება დაიწყო დავების განმხილველმა კომისიამ, რომელიც უზრუნველყოფს საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებული დავების დამოუკიდებელ, სწრაფ და მომხმარებლისათვის უფასო განხილვას. დავების განმხილველი კომისიის საქმიანობა ზრდის მომხმარებელთა დაცვას და ასევე ხელს შეუწყობს მომხმარებლების ნდობის გამყარებას საგადახდო მომსახურებისადმი.

ყველა ბანკი გარკვეულწილად იყენებს ტექნოლოგიებს როგორც შიდა პროცესებში, ასევე მომხმარებლისთვის მომსახურების მიწოდებაში. შედარებით მსხვილი ბანკები მნიშვნელოვან ინვესტიციებს ახორციელებენ ციფრულ ტრანსფორმაციაში და აფართოებენ ღირებულების ჯაჭვს, ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების შემუშავების, ციფრული გადახდების, ელექტრონული ვაჭრობის და სხვა მიმართულებით. მიუხედავად ამისა, რიგ შემთხვევებში ბანკებისა და პროვაიდერების მიერ დანერგილ ინოვაციებს აკლია ურთერთთავსებადობა, რაც იწვევს ბაზრის ფრაგმენტაციას, ამცირებს საგადახდო ბაზრის ეფექტიანობას და ამცირებს საგადახდო მომსახურებას. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ბანკი

მუდმივად ახორციელებს ბაზრის მონიტორინგს, სტატისტიკური მონაცემების შესწავლას და საჭიროების შემთხვევაში, ბაზართან კონსულტაციით ნერგავს ახალ სტანდარტებს ან რეგულაციებს. ამის ერთ-ერთი მაგალითია QR კოდების გამოყენება საგადახდო მომსახურებისას. მიუხედავად იმისა, რომ ბაზრის ცალკეული მონაწილეები იყენებენ გადახდის ინიცირების ამ მეთოდს, ისინი არ იყვნენ ურთიერთთავსებადი, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავდა მათ გამოყენებას. მიმდინარე ეტაპზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ EMVCo-ს QR კოდის სტანდარტის ბაზაზე შემუშავებულია QR კოდის ერთიანი სტანდარტი, რომელიც აღმოფხვრის ამ მხრივ არსებულ ნაკლოვანებებს. პროექტი განხილული იქნა როგორც ბაზრის მონაწილეებთან, ასევე საერთაშორისო საბარათე სქემებთან და მსოფლიო ბანკის კონსულტანტებთან. საყურადღებოა, რომ დაგეგმილი მყისიერი გადახდების სისტემა ხელს შეუწყობს QR კოდებით გადახდების შესრულებას, რითაც გაიზრდება თითოეული ინფრასტრუქტურის ეფექტიანობა.

მსოფლიო ბანკის საქართველოს მხარდაჭერის და რეაბილიტაციის პროექტი მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისთვისაც დააფინანსებს ინვესტიციას „იცნობდე შენს კლიენტს“ (Know Your Customer (KYC), რომლის ფარგლებში იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო დანერგავს ციფრულ საიდენტიფიკაციო საფულე GeWallet-ს, რომელიც მაღალი დაცულობის იდენტიფიკაციის საშუალებას წარმოადგენს ციფრულ და ფიზიკურ სივრცეში.

საქართველოს ეროვნული ბანკი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოში ინოვაციური ციფრული ფინანსური სერვისებისა და პროდუქტების განვითარებასა და დანერგვაში. 2019 წელს საქართველოს ეროვნულ ბანკში შეიქმნა ფინანსური და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარების დეპარტამენტი, რის შემდეგაც საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივითა და მონაწილეობით, ფინანსურ ბაზარზე ინოვაციების ხელშეწყობის კუთხით ბევრი სასარგებლო პროექტი განხორციელდა/ხორციელდება.

### **საქართველო, როგორც „შუა დერეფნის“ ფინტექ-ჰაბი**

საქართველოს ეროვნული ბანკი ფინტექის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში, ისეთი პროექტებით, როგორებიცაა ღია ბანკინგი/ფინანსები, „ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა (Central Bank Digital Currency (CBDC), როგორც ეკოსისტემა“, ხელს უწყობს ბაზარზე ახალი მოთამაშეებისთვის შესვლის ბარიერების შემსუბუქებას ქვეყნის შიგნით და ასევე, ბაზრისთვის ხელმისაწვდომს ხდის თანამედროვე ფინტექ ინფრასტრუქტურას.

საერთაშორისო დონეზე საქართველოს ეროვნული ბანკის ფინტექ-სტრატეგიის მიზანი „შუა დერეფნის“ ქვეყნებისთვის საქართველოს რეგიონულ ფინტექ-ჰაბად პოზიციონირებაა, რაც ახალი ფინტექ-ინფრასტრუქტურით რეალურ ეკონომიკაში დღეს არსებული პოზიტიური ტენდენციების ხელშეწყობას გულისხმობს. ამისათვის, საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად თანამშრომლობს რეგიონის ქვეყნებთან და ცდილობს მათ მოტივირებას. ამასთან, მიმდინარეობს რეგულირების საერთაშორისო ლაბორატორიის (regulatory sandbox) კონცეფციის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის რეგულირების ჰარმონიზაციას/სტანდარტიზაციას, თანამედროვე ფინანსური ინფრასტრუქტურის განვითარებასა და უცხოური ფინტექ-კომპანიებისა და ტალანტის მოზიდვას საქართველოში.

საქართველოს ეროვნული ბანკის ფინტექის განვითარების სტრატეგიული ხედვა სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს:

1. პროაქტიული მარეგულირებელი პოლიტიკის გატარება, რომელიც ფინანსურ სექტორს რეგულაციით ხელშეწყობილი ინოვაციების (regulatory-driven innovations) დანერგვაში დაეხმარება.

აღნიშნული მიმართულებით, 2020 წელს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა რეგულირების ლაბორატორია ჩამოაყალიბა, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილებას დაქვემდებარებულ საფინანსო სექტორის წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს რეალურ რეჟიმში, ზედამხედველის კონტროლირებად გარემოში გამოსცადონ ინოვაციური სერვისები და პროდუქტები. ლაბორატორიის ძირითად მიზანს ფინანსურ ბაზარზე შესასვლელი ბარიერების შემსუბუქება და იმ რეგულაციური ცვლილებების საჭიროებების იდენტიფიკაცია წარმოადგენს, რომლებიც ფინტექის სექტორს გაფართოებაში დაეხმარება. სამომავლოდ იგეგმება ლაბორატორიის მასშტაბების საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არარეგულირებად და სხვა ქვეყნების ფინანსური სექტორის წარმომადგენელ სუბიექტებზე გავრცელება.

ფინანსური და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2022 წელს, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ზედამხედველობისთვის შემუშავებულ წესებში შესული ცვლილებით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაუშვა ბიუროსგან განსხვავებული/გამარტივებული მოთხოვნებით საკრედიტო საინფორმაციო ბიურო - პლატფორმის რეგისტრაცია, რათა გამოსცადონ თავიანთი ტექნოლოგიები და პროცესები ციფრულ სფეროში. აღნიშნული პლატფორმა ხელს შეუწყობს ახალი ფინტექ კომპანიების შემოსვლას ბაზარზე, რადგან მათ უკვე ექნებათ წვდომა მათთვის სასურველ მონაცემებზე და შეეძლებათ სხვადასხვა ინოვაციური გზით ამ ინფორმაციის დამუშავება და მათი ბიზნეს მოდელის შესაბამისად გამოყენება.

2020 წელს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ღია ბანკინგის დანერგვა დაიწყო, 2023 წლის მაისიდან კი, იგი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგულირებადი ყველა სუბიექტისთვისაა ხელმისაწვდომი. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ასევე ღია ბანკინგის პირველი ტექნიკური ლაბორატორია შექმნა რეგიონში, რომელშიც შერჩეულმა ფინტექ და სხვა არასაბანკო კომპანიებმა ღია ბანკინგის ახალი API-ები გამოსცადეს. საქართველოს ეროვნული ბანკის შემდგომი სტრატეგიული მიზანი ღია ფინანსებზე გადასვლაა, რომელიც ღია ბანკინგის ევოლუციის მომდევნო ეტაპია და ინფორმაციის გაზიარების პროცესში არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების (სადაზღვევო კომპანიები, ტელეკომუნიკაციის სერვისები, საინვესტიციო ფირმები და ა.შ.) ჩართვას გულისხმობს. ღია ფინანსები, წარმატებით დანერგვის შემთხვევაში, ფინანსურ ინსტიტუტებსა და მომხმარებლებს საკუთარ ფინანსურ მონაცემებზე უკეთესი კონტროლის შესაძლებლობასა და სერვისების უფრო ფართო არჩევანს შესთავაზებს.

2020 წელს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ასევე ინოვაციების ოფისი შექმნა, რომელიც ფინტექ სტარტაპებსა და ფინანსური სექტორით დაინტერესებულ ტექნოლოგიურ კომპანიებს, საქართველოს ეროვნული ბანკის მანდატის ფარგლებში საზედამხედველო თემატიკის კითხვებზე, პირდაპირი უკუკავშირის მიღების მარტივ გზას სთავაზობს. ინოვაციების ოფისის მიზანია, ხელი შეუწყოს პასუხისმგებლიან ინოვაციებს ფინანსურ სექტორში და დაეხმაროს ფინტექ-ორგანიზაციებსა და სტარტაპებს საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციების საზედამხედველო მიდგომის შესახებ ცნობიერების ამაღლებაში.

ბაზრის ახალი მოთამაშეებისთვის შესვლის ბარიერების შემცირებისა და საბანკო სექტორში ტრადიციული ბიზნეს მოდელების ტრანსფორმაციის დაჩქარების მიზნით, 2020 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ციფრული ბანკის ლიცენზირების ჩარჩო შეიმუშავა. 2024 წლის მდგომარეობით, ლიცენზია უკვე სამმა ციფრულმა ბანკმა მიიღო.

2023 წელს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის (Virtual Asset Service Provider (VASP) რეგისტრაციის წესი დაამტკიცა, რომლის მთავარ მიზანს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების (AML/CFT) აღკვეთის მიზნით, საქართველოში მოქმედი VASP-ების რეგულირება წარმოადგენს

გარდა ამისა, USAID-თან (United States Agency for International Development) თანამშრომლობით საქართველოს ეროვნული ბანკი გონიერი კონტრაქტების მარეგულირებელი და საკანონმდებლო ჩარჩოს მომზადებაზე მუშაობს, რათა ხელი შეუწყოს ბლოკჩეინზე დაფუძნებული ინოვაციური გამოყენების სცენარების ფინანსურ და სამართლებრივ სისტემებში ინტეგრაციას.

2. **განვითარების ადრეულ ეტაპზე არსებული და უკვე გამოცდილი ტექნოლოგიების ტესტირება და დანერგვა თანამედროვე ფინანსური ინფრასტრუქტურის შესაქმნელად, რაც ფინანსურ სექტორში ტექნოლოგიებით ხელშეწყობილ ინოვაციებს (technology-driven innovations) წაახალისებს.**

აღნიშნული მიმართულებით ერთ-ერთ პრიორიტეტს ბლოკჩეინზე დაფუძნებული ფინანსური ინფრასტრუქტურის უპირატესობების იდენტიფიცირება და მათი მეშვეობით არსებული სისტემების ეფექტიანობისა და ეფექტურობის გაზრდა წარმოადგენს. კერძოდ, ბლოკჩეინის მნიშვნელოვანი უპირატესობა ე.წ. გაერთიანებული დავთრის (unified ledger) სისტემის უზრუნველყოფაა, რაც სხვადასხვა ტიპის აქტივისა და ტრანზაქციის ერთიან, პროგრამირებად პლატფორმაზე ინტეგრაციას გულისხმობს. აღნიშნული დიზაინი ხელს შეუწყობს ფინანსური სისტემების გამჭვირვალობას, ეფექტიანობასა და თავსებადობას. აღნიშნული დიზაინი მომხმარებლებსა და ბიზნესებს თავიანთ საჭიროებებზე მორგებული ფინანსური სერვისებისა და პროდუქტების უფრო ფართო არჩევანსა და საკუთარი ფინანსების მართვის პროცესში მეტ მოქნილობას შესთავაზებს. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი ადრეულ ეტაპზევე აქტიურად იკვლევს CBDC-ს, საქართველოს, რომელსაც მნიშვნელოვანი დამატებითი ღირებულების შექმნა შეუძლია ციფრული ფინანსური სერვისების ინდუსტრიაში.

2023 წელს, CBDC-ის ტექნიკური მახასიათებლების ტესტირების მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ციფრული ლარის საპილოტე პროექტი დააანონსა, რომლისთვისაც ეროვნული ბანკის ტექნოლოგიური პარტნიორი მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ტექნოლოგიური კომპანია, Ripple, გახდა. 2024 წლიდან უკვე დაწყებულია ციფრული ლარის საპილოტე პროგრამა, რომლის ფარგლებშიც გამოიცდება ბლოკჩეინზე მხარდაჭერილი ისეთი ტექნოლოგიური მახასიათებლები, როგორებიცაა პროგრამირებადობა, გონიერი კონტრაქტები და ტოკენიზაცია (აქტივებისა და საკუთრებაზე არსებული უფლებების ციფრულ ფორმად გარდაქმნის პროცესი). აღნიშნულმა პლატფორმამ შესაძლოა, სამომავლოდ ბაზარზე ახალი ფინტექ ბიზნეს მოდელების გაჩენასა და მომხმარებლებისთვის ახალი პროდუქტებისა და სერვისების შეთავაზებას შეუწყოს ხელი უფრო ეფექტური და იაფი გზებით.

2022 წელს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ასევე ოფიციალურად გააკეთა განაცხადი ერთიანი ევრო გადახდების სივრცეში (Single Euro Payment Area (SEPA) გაწევრიანებაზე, რაც გააძლიერებს საქართველოს ფინანსურ კავშირებს და გაზრდის მის, როგორც "შუა დერეფნის" ქვეყნებსა და ევროპას შორის დამაკავშირებელი სტრატეგიული სუბიექტის მნიშვნელობას.

### 3. „საქართველოს მიღმა“ („beyond-Georgia“) ფინტექ-ეკოსისტემის ხელშეწყობა.

საქართველოს, როგორც პატარა, ღია ეკონომიკის ქვეყანას, ბაზრის მასშტაბირების შეზღუდული შესაძლებლობა აქვს. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიდგომა ფოკუსირებულია ისეთ ბიზნეს მოდელებზე, რომლებიც მიმართულია საერთაშორისო და რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერებისკენ. მაგალითად, საქართველოს ეროვნული ბანკი ჩართულია საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის (Bank for International Settlements (BIS)) ინიციატივების ჰაბის პროექტ mBridge-ში, რომლის მიზანი საბითუმო CBDC-ების მეშვეობით ცენტრალურ და კომერციულ ბანკებს შორის საერთაშორისო სავაჭრო კავშირების გაძლიერებაა. სწორედ ამიტომ, საქართველოს ეროვნული ბანკი mBridge-ს შუა დერეფნის გასწვრივ ციფრული ფინანსური სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების გზით ვაჭრობის ზრდის დაჩქარებისა და არსებული საერთაშორისო საგადახდო სისტემებისთვის დამახასიათებელი შედარებით დაბალი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ზრდის პერსპექტიულ შესაძლებლობად მიიჩნევს.

საქართველოს ეროვნული ბანკის გარდა, რამდენიმე სამთავრობო უწყება და საჯარო დაწესებულება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სექტორის რეგულირებასა და პოლიტიკის შემუშავებაში. მათგან ძირითადი ორგანოებია სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“, რომელიც ახორციელებს სადაზღვევო საქმიანობის ზედამხედველობასა და რეგულირებას და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური“, რომელიც, როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო, იგი ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლს, ასევე სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“, რომელიც მხარს უჭერს ფინანსური ტექნოლოგიების სტარტაპების განვითარებას<sup>45</sup>. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ჩართულია საფინანსო ბაზართან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტებისა და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების პროცესში.

ციფრული ფინანსური სერვისების ეკოსისტემაში, კერძო სექტორის ძირითადი დაინტერესებული მხარეები არიან კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საგადახდო მომსახურების პროვაიდერები, მათ შორის ელექტრონული ფულის პროვაიდერები, საგადახდო სისტემის ოპერატორები. ბოლო პერიოდში, ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების პროვაიდერები - ფინანსური ტექნოლოგიების სტარტაპები - ეკოსისტემაში მნიშვნელოვანი მოთამაშეები ხდებიან.

#### **პრობლემა 4: ციფრული ფინანსური სერვისების გამოყენების დაბალი დონე**

<sup>45</sup> იზრდება უცხოური ინვესტორების დაინტერესება ბიზნესების მიმართ, რომლებიც იყენებენ ბლოკჩეინ სისტემებსა და მათ შორის, კრიპტო გადახდების სფეროში ინოვაციურ გადაწყვეტებს. აღსანიშნავია, ტექნოლოგიური გიგანტის Tether-ის უახლესი ინვესტიცია სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ბენეფიციარ სტარტაპში 10 მილიონი დოლარის მოცულობით.

საქართველო ციფრული გადახდების განხორციელების მხრივ ჩამორჩება ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2: ციფრული გადახდები საქართველოში<sup>46</sup>

პროცენტული ოდენობა	საქართველო	ECA*
ზრდასრულები, რომლებსაც აქვთ ანგარიში ფინანსურ დაწესებულებაში	70%	77%
ზრდასრულები, რომლებმაც განახორციელეს მინიმუმ ერთი ციფრული გადახდა გასული წლის განმავლობაში	46%	67%
ზრდასრულები, რომლებიც 2021 წლის განმავლობაში შედიოდნენ ტრანზაქციების ანგარიშზე მობილური აპლიკაციის ან ინტერნეტის გამოყენებით	15%	35%
კომუნალური გადასახადების გადამხდელები, რომლებმაც გადაიხადეს გადასახადი უშუალოდ ანგარიშიდან ერთხელ მაინც, გასული წლის განმავლობაში	48%	56%
ზრდასრულები, რომლებმაც გასული წლის განმავლობაში გამოიყენეს ინტერნეტი, რათა ონლაინ შეეძინათ პროდუქტი (ასაკი 25+)	12%	32%
კერძო სექტორის თანამშრომლები, რომლებმაც გასული წლის განმავლობაში ტრანზაქციის ანგარიშზე ანაზღაურება მიიღეს	55%	69%

\*მაღალი შემოსავლის მქონე სუბიექტების გამოკლებით

სხვადასხვა ფაქტორები ზღუდავს საქართველოში ციფრული ფინანსური სერვისების სწრაფად განვითარებასა და დანერგვას. ციფრული გადახდის ინსტრუმენტების ფართო ხელმისაწვდომობის მიუხედავად, საქართველოში მაინც ჭარბობს ნაღდი ფულით გადახდები.

შესამჩნევია სხვაობა ციფრული ფინანსური სერვისების გამოყენებაში სოფლებსა და ქალაქებს შორის, 2024 წლის ივნისის მონაცემებით, ინტერნეტ ბანკინგით ქალაქში ისარგებლა მოსახლეების 59%, ხოლო სოფელში 34,2%<sup>47</sup>.

ამჟამად, ფიქსირდება საბანკო და არასაბანკო ინფრასტრუქტურას შორის ურთიერთავსებადობის ნაკლებობა, რაც ხელს უშლის ფრაგმენტაციის შემცირებას საცალო გადახდების ამჟამინდელ ბაზარზე, რომლის დაძლევაც საბოლოოდ სარგებელს მოუტანს საბოლოო მომხმარებლებს უფრო სწრაფ ციფრულ გადახდებზე შეუფერხებლად წვდომით.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში წარმატებით ხორციელდება გადახდები დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემის (RTGS<sup>48</sup>) საშუალებით, ის არ არის ხელმისაწვდომი ღამით, ან დასვენების დღეებში.

ციფრული ფინანსური სერვისები არ არის კარგად განვითარებული საბანკო სექტორს გარეთ.

<sup>46</sup> Global Findex Data base, 2021, The World Bank: [The Global Findex Database 2021 \(worldbank.org\)](https://www.worldbank.org)

<sup>47</sup> საქსტატი: საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გამოკვლევა შინამეურნეობებში

<sup>48</sup> <https://nbg.gov.ge/page/rtgs-%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%90>

ჯერ კიდევ შეზღუდული მოცულობით ფიქსირდება აქციების პირველადი შეთავაზებები (initial public offerings) ან ობლიგაციების (bond) შეთავაზებები კაპიტალის ბაზრებზე, სადაზღვევო სერვისებში ან მიკროსესხების მომსახურებაში.

## გამომწვევი ფაქტორები

4.1 ციფრული ფინანსური სერვისების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის დაბალი დონე - განსხვავებები ფიქსირდება ციფრული ფინანსური სერვისების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობაში ქალაქსა და სოფელს შორის, როგორცაა ბანკომატები და POS ტერმინალები, ონლაინ ბანკის გამოყენების დონეც სოფლად ქალაქის დონეზე ორჯერ ნაკლებია. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ბანკომატების 74% განთავსებული იყო დიდ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი ბათუმი, რუსთავი, ზუგდიდი) და მხოლოდ 26% სხვაგან. შედარებით მეტადაა ეს ტენდენცია გამოკვეთილი გადახდის პოს-ტერმინალების შემთხვევაში - მათი 79% განლაგებულია ზემოთ აღნიშნულ დიდ ქალაქებში და მხოლოდ 21% სხვაგან.

ციფრული ფინანსური სერვისების გამოყენების უთანასწორობა სოფლებსა და ქალაქებს შორის, გარდა შემოსავლების შედარებით დაბალი დონისა მსოფლიოს რეგიონებში, ასევე გამოწვეულია იმ ფაქტორების ერთობლიობით, როგორცაა ციფრული კავშირის დაბალი დონე, ციფრული ფინანსური სერვისების შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონე, ფინანსური განათლების დაბალი დონე, აგრეთვე ზოგ შემთხვევაში გადახდის მიმღები მოწყობილობების გამოყენების/მომსახურების შედარებით მაღალი ხარჯები და ონლაინ ტრანზაქციებისადმი უნდობლობა<sup>49</sup>.

4.2 შეზღუდული კონკურენცია - ციფრული ფინანსური სერვისების განვითარების დაბალი დონე ასევე დაკავშირებულია ბაზარზე არსებულ ვითარებასთან. კერძოდ, საქართველოს ფინანსური სექტორის საქმიანობის ძირითადი ნაწილი კომერციულ ბანკებზე მოდის, ხოლო საბანკო სექტორი მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება. ამასთან, ქვეყნის ფინანსური ინფრასტრუქტურაში ხშირ შემთხვევაში არა აქვთ პირდაპირი წვდომა ბაზრის მცირე ზომის არასაბანკო მოთამაშეებს ან სტარტაპ კომპანიებს, რაც ზიანს აყენებს მათ კონკურენტუნარიანობას დიდ ფინანსურ ინსტიტუტებთან შედარებით და ართულებს ასეთი კომპანიებისთვის ბაზარზე თავის დამკვიდრებას. ხშირ შემთხვევაში ფინტექების მიერ შემუშავებული ინოვაციური პროდუქტის/მომსახურების საბოლოო შემსყიდველი კვლავ მსხვილი ფინანსური ინსტიტუტები ხდებიან.

აღნიშნული ფაქტორები ერთობლივად აფერხებენ ციფრული ფინანსური ეკოსისტემის ეფექტიან და ინკლუზიურ განვითარებას.

## უაროფიტი შედეგები:

საქართველოში ციფრული ფინანსური სერვისების განვითარების მიმართულებით შესაბამისი ქმედებების განხორციელების გარეშე, საქართველოს ფინანსური სისტემის ეფექტურობა მცირდება და ვერ ხდება ციფრული ეკონომიკის შესაძლებლობების სრული გამოყენება. აღნიშნული ხელს უშლის ინოვაციებს, ზღუდავს საქართველოს როგორც „შუა დერეფნის“

<sup>49</sup> მსოფლიო ბანკის კვლევა - საქართველოს ეკონომიკის გადატვირთვა - ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების სტრატეგია ზრდის, ინკლუზიურობის, მდგრადობის და კონკურენტუნარიანობისთვის

ფინტეკ-ჰაბად პოზიციონირების შესაძლებლობას და ამცირებს ციფრულ ფინანსურ მომსახურებებზე წვდომას. საბოლოოდ, ეს აღრმავებს ციფრული ფინანსური სერვისების გამოყენების უთანასწორობას, როგორც სოფლებსა და ქალაქებს შორის, ისე მცირე და საშუალო ბიზნესების შესაძლებლობებს, რაც ზიანს აყენებს ქვეყნის ფინანსური სექტორის სამომავლო განვითარებას.

## 1.5 ციფრული უნარები და ინკლუზია

საქართველოს მთავრობა ატარებს რეფორმებს განათლებაში ციფრული უნარების და ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებისთვის. მაგალითად, 2021 წელს გადაიხედა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სასწავლო გეგმა, რის შედეგადაც დაინერგა ახალი საგანი სახელწოდებით „კომპიუტერული ტექნოლოგიები“ და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლის ასაკი შემცირდა ადრეულ დაწყებით დონემდე. ამასთან, საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში 89 პროგრამა ხორციელდება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებით, უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის ფარგლებში.

2024 წლისთვის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა მიმდინარეობს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. აღნიშნულის მიზანია მასწავლებლების მხარდაჭერა სასწავლო გეგმების გაუმჯობესებაში, უფრო ეფექტური მართვის და კომუნიკაციის ფორმატების შემუშავებასა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირებაში.

ციფრულ უნარებზე ბიზნესის მოთხოვნის ბოლოდროინდელი კვლევები ადასტურებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპეტენციის გაზრდილ მნიშვნელობას სხვადასხვა პროფესიაში და მუშახელზე მოთხოვნილების ზრდას ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში.

2022 წელს, დასაქმებულთა რაოდენობამ საინფორმაციო და საკომუნიკაციო სექტორში 39 ათასი შეადგინა და 2021 წელს, სხვა სექტორებთან შედარებით დაფიქსირდა რაოდენობის ყველაზე მაღალი ზრდა - 27.5%. ასევე, ერთ დასაქმებულზე არსებული დამატებული ღირებულების მიხედვით. აღნიშნული სექტორის მაჩვენებელი გამორჩეულია და შეადგენს - 76,6 ათას ლარს (2021 წელთან შედარებით ზრდა 40%. ამასთან, აღნიშნული ზრდა აღემატება ყველა სხვა სექტორში დაფიქსირებულ ზრდას). სპეციალისტების ძირითადი პროფესიული ჯგუფიდან მოთხოვნა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტებზე შეადგენს - 14%. 2022 წელს, ყველაზე მაღალი საშუალო ხელფასი ინფორმაციისა და კომუნიკაციების სექტორში დაფიქსირდა - 3,033.4 ლარი (2021 წელთან შედარებით გაიზარდა 49.4 პროცენტით)<sup>50</sup>.

სხვადასხვა განვითარების პარტნიორები ხელს უწყობენ განათლების სექტორის განვითარებას საქართველოში, ბევრი მათგანი მონაწილეობს ციფრული უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებაში. ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი „EU4Digital“ პროგრამის „ციფრული უნარების ქსელი“ ასევე ხელს უწყობს ციფრული დღის წესრიგით გათვალისწინებულ

<sup>50</sup> შრომის ბაზრის ანალიზი 2023 (lmis.gov.ge)

პროცესებს. შეიქმნა სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია ციფრული უნარების განვითარება საქართველოში (აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებთან ერთად), მათ შორის, ხორციელდება შემდეგი ქმედებები: (i) ეროვნული ციფრული უნარების ხარვეზების გამოვლენა და აღმოფხვრისთვის შესაბამისი ქმედებების განსაზღვრა; და (ii) ეროვნული კოალიციის შექმნა ციფრული უნარებისა და სამუშაო ადგილებისთვის. მსოფლიო ბანკმა ასევე მხარი დაუჭირა ციფრული უნარების განვითარების პროცესს GENIE პროექტის მეშვეობით, რომელიც აფინანსებდა სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“ მიერ განხორციელებულ გადამზადების პროგრამას თანამედროვე ციფრული უნარების ტრენინგ პროგრამების სახით. პროექტის ფარგლებში გადამზადდა 3 100-ზე მეტი სტუდენტი. პროექტის მნიშვნელოვან კომპონენტს საერთაშორისო გამოცდისთვის მომზადება და სერტიფიცირება წარმოადგენდა. ასევე, აღსანიშნავია, სააგენტოს კიდევ ერთი ახალი პროგრამა Do IT in Georgia, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს რიგ ქვეპროგრამებს. მათ შორის, 5000 IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამა, რომლის განხორციელება 2023 წლის ოქტომბერში დაიწყო. პროექტის ფარგლებში, ტრენინგები მიმდინარეობს სამი მიმართულებით: პროგრამირება, დიზაინი და პროექტების მართვა. ამასთან, 2023 წლის ივლისში, საქართველოს ბანკთან პარტნიორობით, ასევე დაიწყო Code IT პროექტის განხორციელება. პროექტის ფარგლებში, საქართველოს ყველა ტექნოპარკში ტარდება ტრენინგები End Development-ის მიმართულებით. ამასთან, აქტიურად მიმდინარეობს Do IT with the EU-ს პროგრამისთვის შესაბამისი აქტივობები. პროგრამის ფარგლებში შეირჩევა 1000 მონაწილე, მათგან წარჩინებული კურსდამთავრებულები მიიღებენ ვაუჩერებს და ექნებათ შესაძლებლობა გავიდნენ საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდებზე. პროგრამა ითვალისწინებს დასაქმების კომპონენტსაც, რომლის ფარგლებშიც, შეირჩევა 300 მონაწილე. გადამზადების დასრულებისთანავე, წარჩინებული კურსდამთავრებულები კი გაივლიან სტაჟირებას წამყვან საერთაშორისო IT კომპანიებში, შემდგომი დასაქმების მიზნით. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია სკოლების ციფრული აღჭურვილობის და ინფრასტრუქტურის საჭიროებების იდენტიფიცირება. ამასთან, პროექტი ითვალისწინებს სკოლებში როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის საერთო სამუშაო სივრცეების შექმნას, რომელიც შეიძლება გახდეს არაფორმალური განათლების ინიციატივების ადგილი.

განხორციელებულ პროგრამებს შორის აღსანიშნავია „ათასწლეულის გამოწვევის ფონდის“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების ხელშეწყობა და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კამპუსის გახსნა საქართველოში, ძირითადი აქცენტით IT განათლებაზე. გატარდა მრავალი ღონისძიება, რათა მოხდეს IT პროფესიების პოპულარიზაცია და ინოვაციური იდეების გავრცელება საქართველოს ახალგაზრდა თაობაში. ამასთან, საქართველოს 100 საჯარო სკოლაში ტექნიკური კლუბების ქსელები შეიქმნება ევროკავშირის Skills4Jobs პროგრამის მხარდაჭერით, ხოლო აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით საქართველოს 30 სკოლაში ხელოვნური ინტელექტის კლუბები, რომელსაც ახორციელებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და მისი პარტნიორები.

ბოლო წლებში, სულ უფრო მეტი კერძო ინიციატივა ხორციელდება ციფრული და ტექნიკური უნარების მზარდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთან“ თანამშრომლობით IT სასწავლო ცენტრების შექმნით (მაგ. Geolab, SmartAcademy და ა.შ.). ბოლო წლებში, არაფორმალური განათლების ცენტრების როლი გაიზარდა და დღესდღეობით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საქართველოს განათლების სისტემაში, თუმცა სექტორის მასშტაბების შეფასება და ფორმალური განათლების სისტემასთან

უფრო მეტი კოორდინაციის ხელშეწყობა კვლავ გამოწვევად რჩება. ფორმალური საკოორდინაციო ჩარჩოს არარსებობა აფერხებს როგორც ხელმისაწვდომობას, ისე ყველა ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლისთვის მიწოდებული განათლების ხარისხს.

ციფრული უნარები, როგორც ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტში, თუმცა განსაკუთრებით დასაქმებასა და კარიერულ განვითარებაში. „SELFIE“ ჩარჩო ევროკავშირის მიერ შექმნილი შეფასების მოდელია წვერი და პარტნიორი ქვეყნებისთვის, საქართველოს ჩათვლით, რომელიც ხელს უწყობს სკოლების გაძლიერებას ციფრულ ეპოქაში ფუნქციონირებისთვის.

საქართველოში განათლების სისტემის ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. 2022 წელს, სამინისტრომ შეიმუშავა „განათლებისა და მეცნიერების 2022-2030 წლების ერთიანი სტრატეგია“, რათა წარმართოს ქვეყნის განათლების სისტემა და უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება ყველასთვის. ერთიანი სტრატეგიის ძირითადი პრიორიტეტები, მოიცავს, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგიების შემუშავებას, მასწავლებლებში ინვესტირებას და უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა“ - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებაა, რომელიც უზრუნველყოფს განათლების ელექტრონული მართვის სისტემების ფუნქციონირებას ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებაში, სადაც ბოლო წლებში მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული. მეტიც, აღნიშნულ სსიპ-ს დაემატა სკოლამდელი განათლების მართვის ელექტრონული სისტემის შექმნის/განვითარების ფუნქცია.

პროფესიული განათლების პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, შემუშავდა და დამტკიცდა სისტემის ფარგლებში უფრო დეტალური სტრატეგიული დოკუმენტი - პროფესიული განათლების 2024-2030 წლების სტრატეგია. სტრატეგია ასახავს პროფესიული განათლების განვითარების ადგილობრივ და საერთაშორისო ტენდენციებს და მიზნად ისახავს მდგრადი, ინოვაციური და ინკლუზიური პროფესიული განათლების სისტემის განვითარებას. აღნიშნული სტრატეგია პასუხობს საქართველოსთვის ისეთ გამოწვევებს, როგორიცაა გლობალიზაცია, ტექნოლოგიებისა და შრომის ბაზრის სწრაფი ცვლილება, ახალ უნარებზე მოთხოვნა, ქვეყნის ციფრული და მწვანე ტრანსფორმაცია, გარემოსდაცვითი და სოციალური გამოწვევები, უმუშევრობა და სიღარიბე. სტრატეგია ითვალისწინებს გაციფრულების ტენდენციას და ორიენტირებულია ტექნოლოგიების გამოყენებაზე, აქტივობათა ეფექტიანობის და განვითარებული სერვისების ხელმისაწვდომობის მაქსიმალურად გაზრდაზე.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების საფეხურზე შემუშავდა კვალიფიკაციების განვითარების ახალი მოდელი, რომელიც ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და გულისხმობს კვალიფიკაციების შემუშავების პროცესში კერძო სექტორის თანამონაწილეობით შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საჭიროებების გათვალისწინებას. კვალიფიკაციების გადახედვის პროცესი 2023 წლიდან დაიწყო და უკვე დამტკიცდა 33 პროფესიისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი, რომელთა შორისაა - კომპიუტერული ქსელი და სისტემები; გრაფიკული დიზაინი და „ფრონტენდ დეველოპმენტი“.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და

ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით, პროფესიულ განათლებაში დისტანციური სწავლების განხორციელების წესი და პირობები დამტკიცდა. აღნიშნული წესის საფუძველზე, კოლეჯებსა და პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროვაიდერებს პირველად მიეცათ შესაძლებლობა, პროფესიულ სტუდენტებსა და მსმენელებს დისტანციურად შესთავაზონ პროფესიული პროგრამების კომპონენტები, ხოლო რიგ შემთხვევაში, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამები განახორციელონ სრულად დისტანციურად. შესაბამისად, პროფესიული განათლების საფეხურზე ციფრული უნარების განვითარების საკითხი კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს პროფესიულ განათლებაში დისტანციური სწავლების შესაძლებლობის შექმნის პირობებში.

რაც შეეხება ციფრული უნარების განვითარებას და შრომის ბაზრის შესაბამისობას, სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“ ერთ-ერთი საკვანძო სტრუქტურაა ზემოხსენებულ საერთაშორისო განვითარების პარტნიორებთან თანამშრომლობაში, მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის ჩათვლით.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი შესამჩნევად იზრდება ციფრული ტრანსფორმაციის ხელშეწყობის მზარდი აქცენტით. ინდიკატორები, როგორცაა მშპ, სიღარიბის მაჩვენებელი, ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და ფართოზოლოვანი ქსელებით ქვეყნის ტერიტორიების დაფარვა გაუმჯობესდა ბოლო 20 წლის განმავლობაში. ქვეყანაში სტაბილურად ვითარდება ციფრული ინფრასტრუქტურა, უამრავი საჯარო და კერძო ციფრული სერვისი, ასევე ვითარდება ციფრული საწარმოები. მიუხედავად ამისა, ციფრული ინკლუზია კვლავ რჩება გამოწვევად და ციფრული სერვისების ეფექტური გამოყენება ჯერ კიდევ შეზღუდულია.

მაშინ, როდესაც 2023 წლის მონაცემებით, ქალაქში მაცხოვრებელი ოჯახების 93.1 პროცენტს აქვს ინტერნეტზე წვდომა, სოფლად ეს მაჩვენებელი 83.4 პროცენტია<sup>51</sup>. სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობა და სოციალურად დაუცველი ზოგიერთი პირი, რომელთაგან უმეტესობა სოფლად ცხოვრობს, ნაკლებად არიან დაკავშირებული ინტერნეტთან, რაც მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს ხარვეზები ციფრულ ინკლუზიაში. მეტიც, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები აწყდებიან ინფორმაციის მისაწვდომობის მხრივ დაბრკოლებებს და გარემოსთან რთულად ადაპტირდებიან, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მათ დაშორებას სოციალური და ეკონომიკური აქტივობებიდან. ეს ბარიერები უფრო მაღალია სოფლად მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.


2023 წლის მონაცემებით, 6 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვინც ბოლო 3 თვის განმავლობაში გამოიყენა ინტერნეტი, ქალაქში შეადგენს 87.7%, ხოლო სოფელში - 74.7%<sup>52</sup>. სოციალური ქსელების გამოყენება საქართველოში ფიზიკური პირების მიერ ინტერნეტით სარგებლობის მთავარი დანიშნულებაა. ინტერნეტის სხვა მიზნით გამოყენება გაიზარდა, მაგრამ საქართველოს სოფლად მცხოვრები მოსახლეობა ჩამორჩება საქართველოს ქალაქებსა და ევროკავშირის სოფლებში მცხოვრებთა მიერ ინტერნეტის გამოყენებას ისეთი მიზნებისთვის, როგორცაა ინტერნეტ ბანკი, ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მოძიება ან სამუშაოს ძებნა (იხ. სურათი 8).

<sup>51</sup> ტექნოლოგიების გამოყენების გამოკვლევა შინამეურნეობებში, 2023

<sup>52</sup> საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გამოკვლევა შინამეურნეობებში, 2023

განსხვავება ფიქსირდება შინამეურნეობებს შორის, შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით. 2023 წლის მდგომარეობით, შინამეურნეობების 91 პროცენტს, რომელსაც მამაკაცი ხელმძღვანელობს, ჰქონდა ინტერნეტი, ხოლო ქალების შემთხვევაში ოჯახების 86 პროცენტს<sup>53</sup>. ინტერნეტზე წვდომაში განსხვავებამ შეიძლება შეზღუდოს ოჯახის ყველა წევრის მონაწილეობა ციფრულ ეკონომიკაში. აღსანიშნავია, რომ ინტერნეტით სარგებლობის სხვადასხვა ასპექტებში, სიხშირის და მიზნების ჩათვლით, გენდერული განსხვავებები ეროვნულ დონეზე უმნიშვნელოა.

*სურათი 8: საქართველოსა და ევროკავშირში ინტერნეტის გამოყენება აქტივობების მიხედვით(მამაკაცები და ქალები) %<sup>54</sup>*



მოწყვლადი ჯგუფების ციფრულ გარიყულობას აქვს მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები როგორც ინდივიდუალურ, ისე სოციალურ დონეზე. ეს იწვევს ოფიციალური წყაროებიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობის ნაკლებობას, სოციალურ შედავათებსა და სერვისებზე წვდომის შეზღუდვას, საჯარო სერვისებზე წვდომისთვის საჭირო დროისა და ფულადი სახსრების დამატებით ხარჯებს, დეზინფორმაციის რისკს და საჯარო ადმინისტრაციის არაეფექტურობას. ამ გამოწვევების გადაჭრით საქართველოს აქვს პოტენციალი გააუმჯობესოს დემოკრატიული პროცესები, გაზარდოს ხელმისაწვდომობა ძირითად სერვისებზე და გაზარდოს საჯარო ადმინისტრაციის ეფექტურობა.

<sup>53</sup> საქსტატი: საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გამოკვლევა შინამეურნეობებში, 2023

<sup>54</sup> საქსტატი: საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გამოკვლევა შინამეურნეობებში, 2023; [https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Digital\\_economy\\_and\\_society\\_statistics\\_-\\_households\\_and\\_individuals](https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Digital_economy_and_society_statistics_-_households_and_individuals)

## პრობლემა 5: ციფრული დაყოფა და დაბალი ინვესტიცია ციფრული უნარების განვითარებაში, ციფრული გარიყულობა

ძირითადი ხარვეზები, რომლებიც ხელს უშლის ციფრული უნარების განვითარებას: ტექნოლოგიური განვითარების ტემპი (მაგ. ხელოვნური ინტელექტი, დიდი მონაცემები, კიბერუსაფრთხოება) ხშირ შემთხვევაში აღემატება საჯარო და კერძო სექტორის, ასევე მოსახლეობის ადაპტაციას ციფრულ ტექნოლოგიებთან და სერვისებთან. ციფრული უნარები სწრაფად „ძველდება“ მუდმივად მზარდი ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში. მაგალითად, ახალი პროგრამები და პროგრამირების ენები ანაცვლებს ძველს, რაც ქმნის ციფრული უნარების დაბალ დონეს და ციფრულ უნარებში უთანასწორობას მიმდინარე შესაძლებლობებსა და უნარების განვითარების საჭიროებებს შორის.<sup>55</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების დონე მაღალია და სამუშაო ძალა კვალიფიციურია, ქვეყანა ჩამორჩება რეგიონის ქვეყნებს ციფრული წიგნიერების თვალსაზრისით 2019 წელს საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ მესამედს ჰქონდა საბაზისო ციფრული უნარები, OECD-ისა და ევროკავშირის 8 ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტთან შედარებით. სტანდარტული უნარებისთვის, როგორცაა ცხრილების და საპრეზენტაციო პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, ეს წილი 18%- მდე მცირდება და მხოლოდ 1%-ს წარმოადგენს იმ პირების შემთხვევაში, რომლებსაც შეუძლიათ დაწერონ კომპიუტერული პროგრამა სპეციალიზებული პროგრამირების ენის გამოყენებით.<sup>56</sup>

სიტუაცია მნიშვნელოვნად არ შეცვლილა 2024 წელსაც. საქსტატის 2024 წლის მონაცემებით ბოლო 12 თვეში ინტერნეტით 7 ან 8 აქტივობა განახორციელა:

- ქალაქში მცხოვრები მოსახლეობა - 2,7%;
- სოფელში მცხოვრები მოსახლეობა - 0,7%;
- ქალი - 0,9%;
- კაცი - 3,2%;
- 30-59 წლის მოსახლეობა - 1,6%;
- 60 წლის ზევით მოსახლეობა - 0,0%.

აღნიშნულის მიზეზებია:

- ციფრული უნარების ნაკლებობა არსებულ სამუშაო ძალაში, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებსა და პროფესიებში<sup>57</sup>;

<sup>55</sup> ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კვლევა: [https://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/reports/2022/05/fostering-business-development-and-digitalisation-in-georgia\\_607e5f7c/c6e27d8a-en.pdf#page33](https://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/reports/2022/05/fostering-business-development-and-digitalisation-in-georgia_607e5f7c/c6e27d8a-en.pdf#page33)

<sup>56</sup> ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კვლევა: [https://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/reports/2022/05/fostering-business-development-and-digitalisation-in-georgia\\_607e5f7c/c6e27d8a-en.pdf#page33](https://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/reports/2022/05/fostering-business-development-and-digitalisation-in-georgia_607e5f7c/c6e27d8a-en.pdf#page33)

<sup>57</sup> ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კვლევა: [https://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/reports/2022/05/fostering-business-development-and-digitalisation-in-georgia\\_607e5f7c/c6e27d8a-en.pdf#page33](https://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/reports/2022/05/fostering-business-development-and-digitalisation-in-georgia_607e5f7c/c6e27d8a-en.pdf#page33)

- ბაზრის მოთხოვნებსა და მიწოდებას შორის არსებული ხარვეზები, როგორც არსებული სამუშაო ძალის მხრივ, ასევე მომავალი შრომის ბაზრის ციფრული კომპეტენციებისა და ტექნიკური უნარების მხრივ;
- ფორმალურ და არაფორმალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის კოორდინაციის ჩარჩოს არარსებობა, რომელიც ხელს უშლის უნარების ხარვეზის აღმოფხვრას დარგების საჭიროებებსა და სასწავლო გეგმებს შორის არსებული დისბალანსის კუთხით;
- ციფრული ინსტრუმენტების (კომპიუტერული ტექნიკის და მასთან დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფის) და ტექნოლოგიების მზარდი, თუმცა მაინც შეზღუდული ინტეგრაცია სასკოლო განათლებაში;
- სკოლის მოსწავლეების და სრული ზოგადი განათლების მქონე ახალგაზრდების ძირითადი უნარების ნაკლოვანებები, რამაც შეიძლება შეზღუდოს მათი შესაძლებლობები მომავლის გლობალიზებულ ციფრულ ეკონომიკაში<sup>58</sup>;
- დისბალანსი ქალაქსა და სოფელს შორის და ასევე გენდერული დისბალანსი, რაც კიდევ უფრო ზღუდავს ციფრული უნარების მქონე მუშახელის რაოდენობას<sup>59</sup>.

დაინტერესებული მხარეები (დამსაქმებლები საჯარო და კერძო სექტორში) მიუთითებენ<sup>60</sup> უნარებში არსებულ ხარვეზზე და რომ საქართველოს არ გააჩნია რეგულარულად განახლებული შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები, როგორც უნივერსიტეტებში, ასევე პროფესიული განათლების სხვა დაწესებულებებში, რაც აუცილებელია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების სწრაფი ტემპის გათვალისწინებით.

ა(ა)იპ – პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ყოველწლიურად ჩატარებული კურსდამთავრებულთა კვლევის თანახმად, 2020-2021 წლების კოჰორტებში პრობლემურია სწავლის პროცესში კომპიუტერული უნარების განვითარება. გამოკითხულთა მხოლოდ 60% ამბობს, რომ ციფრული კომპეტენცია საფუძვლიანად განივითარა და ამ კომპეტენციის სწავლის შედეგად განვითარება, უცხო ენის შემდგომ, ყველაზე ნეგატიურად ფასდება კურსდამთავრებულების მიერ<sup>61</sup>.

ციფრული გარიყულობა საქართველოში რჩება პრობლემად. ეს ხელს უშლის ქვეყანას გაციფრულების სრული პოტენციალის ათვისებაში და აფერხებს მოსახლეობის დემოკრატიული უფლებების რეალიზებას.

არსებობს გენდერული განსხვავება ინტერნეტით სარგებლობასა და ციფრულ სერვისებზე ხელმისაწვდომობაში<sup>62</sup>, რაც ხაზს უსვამს მეტი ძალისხმევის აუცილებლობას ციფრული ინკლუზიის გასაზრდელად.

in-georgia\_607e5f7c/c6e27d8a-en.pdf#page33

<sup>58</sup> ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის მეთოდოლოგია: <https://www.itu.int/itu-d/reports/statistics/2023/10/10/ff23-ict-skills/>  
<https://datahub.itu.int/data/?e=GEO&y=2024&i=100121&s=37383>

<sup>59</sup> სსიპ „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის“ (საქსტატის) 2024 წლის ივნისის მონაცემები

<sup>60</sup> მსოფლიო ბაკის კვლევა - საქართველოს ეკონომიკის გადატვირთვა - ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების სტრატეგია ზრდის, ინკლუზიურობის, მდგრადობის და კონკურენტუნარიანობისთვის

<sup>61</sup> ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო: <https://vet.ge/api/files/reports/64de44ca17beaa001cf4eebe>

<sup>62</sup> პროექტი Log-in Georgia (P169698) – ციფრული ინკლუზიის პროგრამა- "საქართველოს ციფრული ინკლუზიის ანგარიში"

საქართველოში კონკრეტული ჯგუფები ციფრული გარიყულობის მაღალი რისკის ქვეშ არიან, მათ შორის სოფლად მცხოვრები ადამიანები, დაბალი შემოსავლის მქონე პირები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ხანდაზმულები და ეთნიკური უმცირესობები. ფაქტორები, როგორცაა დაბალი შემოსავლის დონე სოფლად და სოციალურად დაუცველი პირების მხრიდან ფინანსური ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, ეთნიკური უმცირესობების ენობრივი ბარიერები, შეზღუდული შესაძლებლობის პირების მხრიდან, ციფრული ტექნოლოგიებზე შეზღუდული წვდომა, მათზე მორგებული ციფრული ტექნოლოგიების სიმწირის გამო და ა.შ. ხელს უწყობს ამ ჯგუფების ციფრულ გარიყულობას.

## გამომწვევი ფაქტორები

5.1 შეუსაბამობა განათლებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის - საქართველოში არსებობს არაერთი სასწავლო პროგრამა, რომელსაც ახორციელებს საქართველოს მთავრობა, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, რომლებიც მიზნად ისახავს ციფრული უნარების განვითარებას, მათ შორის სახელმწიფო უწყებების თანამშრომლების გადამზადებას, სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის ან მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მფლობელების ტრენინგს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ინოვაციური მეწარმეობისა და ICT და STEAM მიმართულებებით თბილისისა და რეგიონულ ტექნოპარკებში განხორციელებული ღონისძიებები, სადაც ინტენსიურ რეჟიმში ტარდება ჰაკათონები, ტექნოლოგიური კვირეულები, ტრენინგები, ლექციები, ვორქშოპები, ტექნოლოგიური ბანაკები, ინოვაციური კონკურსები და სხვა. მხოლოდ 2023 წელს, ტექნოპარკებს ჰყავდათ 17,000-მდე ბენეფიციარი და ვიზიტორი.

მიუხედავად ამისა, სასწავლო დაწესებულებებში ციფრული ტექნოლოგიების და ინსტრუმენტების არასაკმარისი ინტეგრაცია, მოსწავლეთა და ახალგაზრდების საბაზისო უნარების დეფიციტთან ერთად, კიდევ უფრო ზღუდავს მათი მომზადების ხარისხს ციფრული ეკონომიკისთვის. გენდერული, რეგიონული და სხვა სოციალური-დემოგრაფიული უთანასწორობები, ციფრული უნარების მქონე მუშახელის რაოდენობას ამცირებს და ციფრული განვითარების პროცესს ანელებს. ეს ფაქტორები ერთობლივად ქმნიან სირთულეებს როგორც ინდივიდებისთვის, ისე მთლიანად ეკონომიკისთვის, ციფრული ტრანსფორმაციისთვის საჭირო უნარების დასაკმაყოფილებლად.

საგანმანათლებლო სისტემას, განსაკუთრებით საბაზო და საშუალო საფეხურებზე, არ აქვს საკმარისად ინტეგრირებული ციფრული წიგნიერება და მოწინავე ტექნიკური უნარ-ჩვევები მათ სასწავლო გეგმებში. “ტრადიციული”, განათლება უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებს აკადემიურ საგნებზე, ვიდრე სამუშაო ბაზარზე საჭირო პრაქტიკულ, მომავალზე დამტკიცებულ/ორიენტირებულ ციფრულ უნარებზე.

„უწყვეტი სწავლის“ უნარის ნაკლებობა ან უწყვეტად კვალიფიკაციის ამაღლებაზე ორიენტირებულობა ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით ბევრ ადამიანში აღიქმება არასაჭიროდ, განსაკუთრებით უფროს თაობაში. შედეგად ვიღებთ სამუშაო ძალას, რომელიც არ არის მომზადებული მუდმივად განვითარებადი ციფრული ეკონომიკისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ციფრული უნარების მნიშვნელობის აღიარება იზრდება, ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, საჯარო და კერძო დაფინანსებული პროგრამები ადამიანური რესურსის მოწინავე ციფრულ უნარებში მოსამზადებლად.

კერძო სექტორში ბევრი კომპანია არ ატარებს საკმარის ტრენინგს სამუშაო ადგილზე ციფრული უნარების გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით დაბალ პოზიციებზე მომუშავე თანამშრომლებისთვის, რაც თანამშრომელთა დაბალ ციფრულ უნარებს იწვევს.

ITU-ს „საქართველოს ციფრული განვითარების პროფილის“ დოკუმენტში, ასევე არის აღნიშნული, რომ „კავკასიის ბარომეტრის“ ინფორმაციით, 2019 წელს საქართველოს მოსახლეობის 47%-ს არ გააჩნდა კომპიუტერის გამოყენების ძირითადი ცოდნაც კი. თუმცა, ციფრული წიგნიერების ნაკლებობა არ უშლის ხელს მოსახლეობას სოციალური მედიის გამოყენებაში, ძირითადად, მობილური ტელეფონების მეშვეობით. ამ კატეგორიაში მოხვდა გამოკითხულთა 95%, მაშინ როდესაც მხოლოდ 14% იყენებდა ინტერნეტს სამუშაოს საძიებლად და 17%-ს შეეძლო სხვა პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, გასართობი აპლიკაციების გარდა.<sup>63</sup>

5.2 გამოწვევები პოლიტიკის განხორციელებაში - მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გაცხადებული აქვს ციფრული ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულობა, ციფრული უნარებისთვის, როგორცაა ციფრული განათლების სამოქმედო გეგმა, ნაკლებია შესაძლებლობები და დაფინანსება, რაც იწვევს ციფრული უნარების განვითარების დაბალ დონეს.

კოორდინაციის ნაკლებობა საჯარო სექტორში არის ასევე ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი, რადგან რამოდენიმე უწყება ცდილობს ციფრული უნარების განვითარებას, როგორცაა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, თუმცა არ არსებობს თანმიმდევრული და ფართოდ გავრცელებული ციფრული უნარების ამაღლების გეგმები, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ციფრული უნარების და შესაბამისად, ციფრული ეკონომიკის განვითარებაზე.

5.3 დაბალი მსყიდველუნარიანობა და თაობათა შორის ციფრული უთანასწორობა - ციფრული მოწყობილობებისა (სმარტფონები, კომპიუტერები და ა.შ.) და ინტერნეტ მომსახურებებზე წვდომის ხარჯები ხელს უშლის დაბალი შემოსავლის მქონე პირების ციფრულ ტექნოლოგიებსა და სერვისებზე წვდომას. აღნიშნული განსაკუთრებით გამოხატულია მოწყვლადი ჯგუფებისთვის, როგორცაა ხანდაზმულები, უმუშევრები ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

ამასთან, ხანდაზმული ადამიანების უმრავლესობას არ გააჩნიათ ციფრული უნარები, რაც მათ დაუცველს ხდის ციფრული გარიყულობის მიმართ. აღნიშნული კატეგორია ხშირად ვერ იყენებს ისეთ ციფრულ სერვისებს, როგორცაა ელექტრონული მმართველობა, ელექტრონული ჯანდაცვა ან ელექტრონული კომერცია, რომლებიც სულ უფრო მეტად იკიდებენ ფეხს ონლაინ

<sup>63</sup> [https://www.itu.int/en/ITU-D/Regional-Presence/Europe/Documents/Publications/Digital%20Development%20Country%20Profiles/Archives/Digital%20Development%20Country%20Profile\\_Georgia\\_29.10.21.pdf](https://www.itu.int/en/ITU-D/Regional-Presence/Europe/Documents/Publications/Digital%20Development%20Country%20Profiles/Archives/Digital%20Development%20Country%20Profile_Georgia_29.10.21.pdf)

სივრცეში. თაობათა შორის ციფრული უთანასწორობა კი გამოიხატება იმაში, რომ ახალგაზრდა თაობებს უფრო მეტად გააჩნიათ ციფრული უნარები, რაც არათანაბარს ხდის მოქალაქეების შესაძლებლობებს და წარმოქმნის თაობათა შორის ციფრულ უთანასწორობას.

5.4 სოციალური და კულტურული ბარიერები - ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი ონლაინ სივრცეში არის ენობრივი ბარიერი, რაც განსაკუთრებით პრობლემას უქმნის ეთნიკურ ჯგუფებს ციფრულ სერვისებზე წვდომასა და ციფრულ ეკონომიკაში ჩართულობას, რადგან ბევრი ციფრული პლატფორმა ხელმისაწვდომია მხოლოდ კონკრეტულ ენებზე.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები აწყდებიან უამრავ გამოწვევებს ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომის კუთხით. ვებსაიტები, აპლიკაციები და ციფრული კონტენტი ყოველთვის არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მოთხოვნებთან, რაც ართულებს მათ სრულყოფილ მონაწილეობას ციფრულ სამყაროში<sup>64</sup>.

### უაროვანი შედეგები:

საქართველოში, ციფრული უნარების განვითარების პრობლემები და გამომწვევი ფაქტორები მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის შრომის ბაზარზე ციფრულ უნარებზე დაფუძნებულ კონკურენტუნარიანობას. ციფრული კომპეტენციების ნაკლებობა, როგორც მოზრდილებში, ისე სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, ქმნის შრომის ბაზრის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დეფიციტს, რაც ამცირებს ეკონომიკის შემდგომი ზრდის დინამიკას და ართულებს ციფრული ტრანსფორმაციის პროცესს. გარდა ამისა, განათლების სისტემაში ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციის ნაკლებობა, განათლების ფორმალურ და არაფორმალურ სექტორებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა და ჯერ კიდევ არსებული ციფრული უთანასწორობა ხელს უშლის უფრო ფართო და ინკლუზიურ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას. ეს კი საბოლოოდ იწვევს ციფრული უნარების განვითარებაზე დაფუძნებული შესაძლებლობების დაკარგვას, ზღუდავს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას და აღრმავებს სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობას.

ციფრული გარიყულობის პრობლემები ხელს უშლის მოწყვლად ჯგუფებს, მათ შორის სოფლად მცხოვრებ ადამიანებს, დაბალი შემოსავლის მქონე პირებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ეთნიკური უმცირესობების ხელმისაწვდომობას ციფრულ სერვისებზე და მათზე დაფუძნებულ შესაძლებლობებზე. ამასთან, ტექნოლოგიების, ინფორმირებულობის დაბალი დონე და ადაპტირებული ვებ-გვერდების ნაკლებობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მნიშვნელოვნად ანელებს ქვეყნის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესებს, რაც იწვევს სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის გაღრმავებას. ისინი სრულად ვერ ერთვებიან ციფრულ ეკონომიკაში, რაც იწვევს მათი უფლებების შეზღუდვას და ხელს უშლის სხვადასხვა პროცესებში სრულყოფილ მონაწილეობას. ამგვარად, ციფრული გარიყულობა არა მხოლოდ სოციალურ და ეკონომიკურ უთანასწორობას შექმნის, არამედ ამცირებს ქვეყნის განვითარების პოტენციალს.

<sup>64</sup> პროექტი Log-in Georgia (P169698) – ციფრული ინკლუზიის პროგრამა- "საქართველოს ციფრული ინკლუზიის ანგარიში"

## 2. სტრატეგიის ხედვა

ეკონომიკის შემდგომი ზრდისა და ინკლუზიური განვითარებისთვის საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ინოვაციური ტექნოლოგიების საშუალებით, საქართველოს ციფრული ეკონომიკის და საინფორმაციო საზოგადოების განვითარება წარმოადგენს, რომლის მთავარი ქვაკუთხედია განვითარებული ფართოზოლოვანი ციფრული კავშირი და ტექნოლოგიები, ციფრული სერვისები და სანდო ინფრასტრუქტურა, ციფრული მეწარმეობა, საწარმოების ციფრული ტრანსფორმაცია და ინოვაციები ციფრული ფინანსური (ფინტეკი) სერვისები, ციფრული უნარები, ციფრული ინკლუზია და ციფრული ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი გარემო.

შესაბამისად, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოს მიერ ხელი შეეწყობა ხელმისაწვდომი და უნივერსალური ფართოზოლოვანი კავშირის, მათ შორის „ბოლო-მილის“ კავშირის განვითარებას (ავტორიზებულმა პირებმა საბითუმო ქსელის საშუალებით მომსახურება მიაწოდონ ბოლო მომხმარებელს (მოსახლეობას და ორგანიზაციებს)), რომელიც წარმოადგენს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების საფუძველს და საშუალებას მისცემს უფრო მეტ ადამიანს და ბიზნესს, ისარგებლონ საჯარო და კერძო ციფრული სერვისებით, მიიღონ ინფორმაცია და ჰქონდეთ წვდომა ციფრულ ბაზრებზე, რაც უზრუნველყოფს სოციალურ ურთიერთქმედებას, ციფრული სერვისების შექმნას, საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზრებზე წვდომის გამარტივებას, ეკონომიკური აქტივობების უწყვეტობას შესაძლო კრიზისების დროს. გაგრძელდება ხელშემწყობი აქტივობები საჯარო ციფრული სერვისების განვითარებისა და ფართო გამოყენების, მცირე, საშუალო და მიკრო ბიზნესების გაციფრულებისა და ციფრული ინკლუზიურობის უზრუნველყოფის მიმართულებით.

სახელმწიფოს მიერ ხელი შეეწყობა ციფრული პლატფორმებისა და ფინანსური სერვისების (ფინტეკის) განვითარებას, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპანიებისა და ინდივიდების გლობალურ ბაზრებსა და ღირებულების ჯაჭვებთან დაკავშირებას და გლობალურ ციფრულ ეკონომიკაში ინტეგრაციას. ციფრული პლატფორმებისა და სერვისების განვითარების უზრუნველყოფით შესაძლებელი გახდება მეტად ინოვაციური და ინტეგრირებული სერვისების მიწოდება ბიზნესისთვის და მოსახლეობისთვის საქართველოში.

გაგრძელდება მუშაობა ციფრული მარეგულირებელი გარემოს სრულყოფისთვის, რათა ციფრული ბიზნესები, რომლებიც ავითარებენ ინოვაციურ პროდუქტებსა და სერვისებს, გახდნენ ციფრული გლობალური ეკონომიკის მნიშვნელოვანი მონაწილეები. ხელი შეეწყობა ტრადიციული სექტორების, როგორცაა ვაჭრობა, ტრანსპორტი, ლოგისტიკა და ჯანდაცვა და სხვა ციფრულ ტრანსფორმაციას და მუშახელის ციფრული კვალიფიკაციის ზრდას. კერძოდ, IT ინდუსტრიის თანამშრომლების კვალიფიკაციის ზრდას, რომლებიც უზრუნველყოფენ ციფრული პროდუქტების შექმნას, გამოყენებას და ტრადიციული ბიზნესების გაციფრულებას.

კონკურენტული ციფრული ეკონომიკის გარდაუვალ საჭიროებას წარმოადგენს სანდო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა, სადაც სისტემები, აქტივები, სერვისები და პერსონალური მონაცემები დაცულია. მსოფლიოში, სადაც მონაცემები სულ უფრო მეტად ღირებული რესურსი ხდება, მათი დაცვა და მათ მიმართ ნდობის ზრდა უზრუნველყოფს, რომ დაჩქარდეს ბიზნესების და კერძო პირების ჩართულობა ციფრულ ეკონომიკაში.

საჯარო სექტორის სერვისები უნდა იყოს ინკლუზიური და ყველასთვის მისაწვდომი, მათ შორის მათთვის, ვისაც აქვთ ციფრული ტექნოლოგიის გამოყენების სირთულეები. ამიტომ განხორციელდება აღნიშნული კატეგორიის ადამიანებისთვის შესაბამისი დახმარების უზრუნველყოფა, რათა მათაც მიიღონ გაციფრულების სარგებელი. ამასთან, არსებითია საჯარო სერვისების წვდომის შესაძლებლობების გაფართოება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი მაღალი გამოყენებადობა, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის.

განსაკუთრებული ძალისხმევა იქნება მიმართული ევროკავშირის ციფრულ კანონმდებლობასთან დასაახლოვებლად, რათა ევროკავშირის ერთიანი ციფრული ბაზრის სარგებელი გავრცელდეს საქართველოზე და მოქალაქეებმა და ბიზნესმა ისარგებლონ პან-ევროპული ონლაინ სერვისებით. გაგრძელდება მუშაობა ევროკავშირთან ტრანსსასაზღვრო ელექტრონული ვაჭრობის სტიმულირების, საერთო როუმინგული სივრცის შექმნის, ევროკავშირის ქვეყნებთან ციფრული ხელმოწერების აღიარების, ელ-ჯანდაცვის სისტემების ჰარმონიზების, ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ციფრული სატრანზიტო დერეფნების შექმნის, ციფრული ინოვაციების სტიმულირების და ა.შ. მიმართულებებით. ყოველივე ზემოთქმული გაამარტივებს ბიზნესებისთვის ევროკავშირის ბაზარზე შესვლის პროცედურებს.

ციფრულ შესაძლებლობათა მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენებით და ციფრული ტრანსფორმაციით, საქართველო უნდა იქცეს რეგიონულ ციფრულ ჰაბად, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს, სამხრეთ კავკასიის, ევროპისა და აზიის ქვეყნებს.

საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების სტრატეგია ქმნის მყარ საფუძველს მომდევნო წლებში ქვეყნის ციფრული ტრანსფორმაციის და ევროკავშირის ერთიანი ციფრულ ბაზართან ინტეგრაციის მიზანთან დაახლოების.

ციფრულ ეპოქაში, ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი ზრდის შედეგად წარმოქმნილი პრობლემების და გამოწვევების გადასაჭრელად და საქართველოს გაციფრულების უზრუნველსაყოფად, განხილული იქნა პოლიტიკის 3 ალტერნატივა: 1. ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებითა და სპეციალური პროგრამების უზრუნველყოფით; 2. ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარება კერძო სექტორის მიერ, საკუთარი სერვისების გაციფრულებითა და მომხარებელთათვის მეტი ციფრული სერვისების შეთავაზებით; 3. ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარება საჯარო და კერძო პარტნიორობის (PPP) გზით. მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან ერთად, სამუშაო ჯგუფისა და დაინტერესებული ორგანიზაციების ჩართულობით, აღნიშნული ალტერნატივების განხილვის საფუძველზე და ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის და შესაბამისი სტრატეგიების „ციფრული კომპასი“ და „ციფრული დეკადა“ გათვალისწინებით, საუკეთესო ალტერნატივად შერჩეული იქნა მე-3 ალტერნატივა, რადგან განხილვის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ პირველი და მეორე ალტერნატივები ვერ უზრუნველყოფდნენ ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების სრულად განვითარებას, ვინაიდან ამ პროცესში განყენებულად არც მხოლოდ

სახელმწიფოს და არც მხოლოდ კერძო სექტორს ძალუძს იმ გამოწვევების და პრობლემების გადალახვა, რაც გამოწვეულია სწრაფად მზარდი თანამედროვე ტექნოლოგიური ცვლილებითა და გაციფრულებით. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ სწორედ აღნიშნული მიდგომით მიაღწია ევროკავშირმა მთლიანი შიდა პროდუქტის ეფექტურ ზრდას. ამ მიდგომამ, ევროკავშირის ქვეყნებს დიდი ფინანსური თუ სოციალური სარგებელი მოუტანა. ევროკომისიის კვლევით<sup>65</sup>, ციფრული ეკონომიკა შეადგენს ევროკავშირის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 5-6%-ს, პროგნოზით, რომ აღნიშნული გაიზრდება, როდესაც გაციფრულება სრულად ამოქმედდება და გავრცელდება ინდუსტრიებში.

### 3. სტრატეგიული პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები

სიტუაციური ანალიზიდან და მსოფლიო ბანკთან ერთად ყველა დაინტერესებული მხარის ინტერაქტიული ჩართულობით შემუშავებული კვლევიდან „საქართველოს ეკონომიკის გადატვირთვა - ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების სტრატეგია ზრდის, ინკლუზიურობის, მდგრადობის და კონკურენტუნარიანობისთვის“ გამომდინარე, გამოვლინდა 5 პრობლემა და საერთო ჯამში განისაზღვრა 5 პრიორიტეტი. აღნიშნული პრიორიტეტების მიხედვით ჩამოყალიბდა მიზნები და ამოცანები საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების მიმართულებით. საერთო ჯამში განისაზღვრა 5 მიზანი და ჩამოყალიბებულია 9 ამოცანა.

#### 3.1 ფართოზოლოვანი ციფრული კავშირის განვითარება

##### მიზანი 1: ციფრული უთანასწორობის დაძლევა

განვითარებული ფართოზოლოვანი ციფრული ინფრასტრუქტურა წარმოადგენს ქვეყნის ციფრული ტრანსფორმაციის საფუძველს. დასავლური საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, ყურადღება დაეთმობა კონცენტრირებული საცალო ბაზრის მარეგულირებელი ნორმების გაუმჯობესებას, რათა მცირე და საშუალო ზომის ავტორიზებულ პირებს ჰქონდეთ გაუმჯობესებული წვდომა საბითუმო მომსახურებებთან. ამასთან ყურადღება დაეთმობა „ბოლო მილის“ სატელეკომუნიკაციო კავშირის განვითარებას ინვესტიციების მოზიდვით, რათა ქვეყნის მოსახლეობას და ბიზნესებს, საქართველოს ნებისმიერ წერტილში ჰქონდეს წვდომა სატელეკომუნიკაციო მომსახურებებზე.

ამასთან, ციფრული ინფრასტრუქტურა, რომელიც ემსახურება მოქალაქეებს, მცირე და საშუალო ბიზნესს, საჯარო სექტორსა და მსხვილ კომპანიებს, მოითხოვს ღრუბლოვანი ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მაღალი ხარისხის გამოთვლით და მონაცემთა ცენტრების ინფრასტრუქტურას მომხმარებელთან რაც შეიძლება ახლოს, რაც აუცილებელი წინაპირობაა ქვეყნის ციფრული ტრანსფორმაციისთვის. მონაცემთა ცენტრების და ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ციფრული ტრანსფორმაციის პროცესებზე, გატარდება ხელშემწყობი ზომები საქართველოში დეცენტრალიზებული, ენერგოეფექტური და დაცული ჰიპერ-მასშტაბური მონაცემთა ცენტრების (Classification system of the Data Centers, TIER III/IV) ინფრასტრუქტურის შესაქმნელად.

<sup>65</sup> Economic Growth and GDP Contribution

საკომუნიკაციო მომსახურებების ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისით და საჯარო სერვისების გაციფრულების პერსპექტივაში, მნიშვნელოვანია, საქართველოში უნივერსალური მომსახურების დირექტივის დანერგვის განხორციელება. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების შემდეგ ეტაპზე ამ მომსახურებების დანერგვა კომისიის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანა იქნება.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, საქართველოს საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო სრულად დაუახლოვდება ევროპულს, რისთვისაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მიიღება შესაბამისი საკანონმდებლო აქტები, ხოლო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, საცალო ბაზარზე კონკურენციის ეფექტიანობისა და ქსელის საბითუმო ელემენტებზე დაშვების გაუმჯობესებისათვის, ევროკომისიის რეკომენდაციების შესაბამისად დაადგენს რეგულირების მიზნებისთვის სავალდებულოდ შესასწავლ ბაზრებს. აღნიშნული კი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარებას და ქალაქსა და სოფელს შორის ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრას.

ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზრის გახსნა კვლავ ერთ-ერთ გამოწვევად რჩება. შესაბამისი პროდუქტებისა და სერვისების რეგულირებადი ბაზრების შესახებ ევროკომისიის რეკომენდაციის მიხედვით, ფიქსირებულ ლოკაციაზე ადგილობრივი და ცენტრალური საბითუმო დაშვების ე.წ. ფართოზოლოვანი ინტერნეტის ბაზრის „Bitstream“-ის საბითუმო მომსახურების სეგმენტი რეგულირების მიზნებისთვის სავალდებულოდ შესასწავლი ბაზარია. შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის კომპლექსური კვლევის ფარგლებში, მოხდება აღნიშნულ რეგულირებას დაქვემდებარებული ბაზრის ანალიზი, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების გამოვლენა და სპეციფიკური ვალდებულებების განსაზღვრა, რაც მომსახურების ბაზრის ამ სეგმენტზე უზრუნველყოფს შესვლის ბარიერების მოხსნას და გაზრდის კონკურენციას.

თუ ფართოზოლოვანი ციფრული კავშირი ციფრული ტრანსფორმაციის წინაპირობაა, მიკროპროცესორები არის ციფრული პროცესების ღირებულების ჯაჭვების საწყისში, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიების განუყოფელი ელემენტებს წარმოადგენენ. მაგალითად, 5G მოწყობილობების, ტელეფონების, კომპიუტერული ტექნიკის, ნივთების ინტერნეტის, ხელოვნური ინტელექტის და სხვა. საქართველოში არ იწარმოება მიკროპროცესორები თუ სხვა კომპონენტები. საწყის ეტაპზეა ხელოვნური ინტელექტის სისტემების განვითარება და გამოყენება, რაც არის მნიშვნელოვანი ხარვეზი და საქართველოს მოწყვლადს ხდის თანამედროვე ციფრულ მსოფლიოში. შესაბამისად, განხორციელდება სანდო და უსაფრთხო ხელოვნური ინტელექტის (AI) სერვისების განვითარების, ასევე ციფრული და მაღალი ტექნოლოგიების წარმოების ხელშეწყობა. თავის მხრივ კი, მაღალი ტექნოლოგიების წარმოება გააიაფებს შესაბამის სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ელემენტებს, როგორც არის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი თუ სხვა სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის პასიური თუ აქტიური აპარატურა, რითიც ავტორიზებულ პირებს საშუალება მიეცემათ ნაკლები დანახარჯით და სწრაფი ტემპით განავითარონ სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა და შესაბამისად, მაქსიმალურად აღმოიფხვრას ციფრული უთანასწორობა ქალაქსა და სოფელს შორის.

## ამოცანა 1.1: ციფრული სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება და გაციფრულების ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბება

ფართოზოლოვანი ციფრული კავშირის სხვადასხვა არსებული გამოწვევების დასაძლევად, გაგრძელდება ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამა. ამასთანავე, განხორციელდება „ბოლო-მილის“ ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები, პოლიტიკის საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება ფართოზოლოვანი ქსელებისა და მომსახურებების განვითარების ხელშეწყობისთვის, მათ შორის, ქსელების განვითარებისთვის ხარჯების შემცირების, სექტორში ინვესტიციების მოზიდვის და 5G და შემდგომი თაობის ქსელების განვითარების მიმართულებით. გაგრძელდება ინტერნეტ მომსახურებების მოთხოვნის სტიმულირებისთვის ღონისძიებების მხარდაჭერა და ინტერნეტ კავშირის სერვისების მიღების ხელშეწყობა. განხორციელდება სატელეკომუნიკაციო ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის გამოყენებით სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური ათვისება და საქართველოს გავლით ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ციფრული ჰაბის ჩამოყალიბება, გატარდება ქმედებები, რათა შავ ზღვაში გაიზარდოს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ოპტიკურ ბოჭკოვანი მაგისტრალების რაოდენობა, ხოლო, მეორეს მხრივ, საქართველოში შეიქმნას ტექნოლოგიური გიგანტების დატა ცენტრების დაფუძნებისთვის მიმზიდველი გარემო.

სათანადო ძალისხმევა მიემართება საქართველოში მონაცემთა დამუშავების და შენახვის შესაძლებლობების გაზრდის მიმართულებით და ასევე მონაცემთა ცენტრების დეცენტრალიზაციისკენ მიმართული მსოფლიო ტენდენციების გათალისწინებით, ქართული ბიზნესისა და საჯარო უწყებების საჭიროებების შესაბამისი ენერგოეფექტური და დაცული ღრუბლოვანი ტექნოლოგიების და მონაცემთა ცენტრების გამოყენების ხელშესაწყობად.

განხორციელდება ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების მონიტორინგის მექანიზმების დანერგვა ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

ციფრული კოორდინატორის მექანიზმის ჩამოყალიბება, სულ უფრო მნიშვნელოვანია დღევანდელ ურთიერთდაკავშირებულ, ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ სამყაროში, განსაკუთრებით ორგანიზაციებისთვის, მთავრობებისა და საზოგადოებებისთვის, ციფრულ ეპოქაში განსავითარებლად. ციფრული კოორდინატორის მექანიზმის ჩამოყალიბების აუცილებლობა განპირობებულია სტრატეგიული ხედვის, რესურსების ეფექტური მენეჯმენტის, გამლიერებული ინოვაციებისა და დაკავშირებულობის საჭიროებით სულ უფრო რთულ ციფრულ გარემოში. ეს მექანიზმი არა მხოლოდ უზრუნველყოფს ციფრულ ტრანსფორმაციას, არამედ ეხმარება ორგანიზაციებს შეინარჩუნონ მდგრადობა, სისწრაფე, კონკურენტუნარიანობა და პასუხისმგებლობა სწრაფად განვითარებად ტექნოლოგიურ ლანდშაფტში.

ციფრული ტრანსფორმაციის მდგრადობის უზრუნველსაყოფად და მუდმივად და სწრაფად განახლებადი ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინებით, საერთაშორისო სტანდარტებთან, რეგულაციებთან, პოლიტიკასთან და საუკეთესო პრაქტიკებთან თანხვედრისათვის, ევროკავშირის პრაქტიკის მსგავსად და ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკი

რეკომენდაციების საფუძველზე<sup>66</sup> შეიქმნება ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების მიმართულებით მაკოორდინირებელი უწყება და შესაბამისი კოორდინაციის მექანიზმები. ვინაიდან, ამჟამად, არც ერთი კონკრეტული უწყება არ არის პასუხისმგებელი ქვეყნის ერთიან ციფრულ ტრანსფორმაციის კოორდინაციაზე, ფუნქცია არათანაბრად ნაწილდება სხვადასხვა უწყებებს შორის. ქვეყანაში ციფრული ტრანსფორმაციის მაკოორდინირებელი ფუნქციის შესრულება დაეკისრება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის საშუალებით. შესაბამისად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (როგორც წლების განმავლობაში საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოტის სამინისტროს და შემდგომში საქართველოს კავშირგაბმულობის ადმინისტრაციის სამართალმემკვიდრის) ტელეკომუნიკაციების, საინფორმაციო და მაღალი ტექნოლოგიების და გაციფრულების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განმსაზღვრელი და მაკოორდინირებელი უწყების ფუნქციები გაძლიერდება თანამედროვე ტექნოლოგიური მოთხოვნების ზრდასთან ერთად, საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების ეფექტურობისა და დაჩქარების მიზნით. დაკისრებული ფუნქციის ეფექტურად განხორციელების მიზნით, გაძლიერდება დეპარტამენტის ადმინისტრაციული/ადამიანური რესურსი. აღნიშნული ფუნქციის და ქვეყანაში ციფრული ეკონომიკის განვითარების მაკოორდინირებელი უწყების ფუნქციების პროპორციულად. ქვეყანაში ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების ფუნქციის შესასრულებლად, ისევე როგორც ამ სტრატეგიის ეფექტურად განხორციელებისთვის, დეპარტამენტის ფუნქციებს დაემატება შესაბამისი დებულებები, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ციფრული ეკონომიკის და საინფორმაციო საზოგადოების განვითარებისკენ მიმართულ სტრატეგიების, პროექტების პროგრამების შემუშავებას; პროექტების მენეჯმენტს; ციფრული ინოვაციებისა და კვლევების წახალისებას; საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ციფრული პოლიტიკის ზედამხედველობას და მათზე ცნობადობის გაძლიერებას; ციფრული უნარების, ინკლუზიის და განვითარების ხელშეწყობას; მარეგულირებელი ნორმების შესაბამისობის უზრუნველყოფას საერთაშორისო და ევროკავშირის სტანდარტებთან; მონიტორინგს, კოორდინაციას და შეფასებას; ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარებას; კრიზისის მართვას; საზოგადოებასთან ურთიერთობას და ცნობიერების ამაღლებას და ა.შ. ციფრული კოორდინაციის ფუნქციის დაკისრებისა და ეფექტურად შესრულების მიზნით, შემუშავდება და დამტკიცდება შესაბამისი საკანონმდებლო/მომწესრიგებელი ცვლილებები.

ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე, საქართველო განუწყვეტლივ აახლებს თავის პოლიტიკას და მარეგულირებელ ჩარჩოებს წინამდებარე სტრატეგიული პრიორიტეტების მიმართულებით. მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება. მარეგულირებელი და პოლიტიკის ჩარჩოების დახვეწა მიმდინარეობს ევროკავშირის პოლიტიკის და საკანონმდებლო ჩარჩოების მიხედვით, რომ განხორციელდეს ევროკავშირის ერთიან ციფრულ ბაზართან საქართველოს ციფრული ბაზრის ინტეგრაცია. იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის მარეგულირებელი ჩარჩოები ვითარდება ტექნოლოგიებისა და ბიზნეს მოდელების მიღწევების

<sup>66</sup> მსოფლიო ბანკის კვლევა - საქართველოს ეკონომიკის გადატვირთვა - ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების სტრატეგია ზრდის, ინკლუზიურობის, მდგრადობის და კონკურენტუნარიანობისთვის/ ევროკავშირის 2023 და 2024 წლების შეფასება

შესაბამისად და საჯარო პოლიტიკის გამოწვევებისა და რისკების საპასუხოდ, გაგრძელდება საქართველოს ციფრული პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოების განახლება ევროკავშირში მიმდინარე პროცესების და გლობალური მასშტაბით საუკეთესო პრაქტიკების შესაბამისად. აღნიშნულს ქმედებებს და მათ კოორდინაციას განახორციელებს მაკოორდინირებელი ორგანო ყველა დაინტერესებული უწყების ჩართულობით. კერძოდ, სამთავრობო უწყებებთან, კერძო სექტორთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, სამეცნიერო წრებთან, ადგილობრივ/უცხოელ ინვესტორებთან და განვითარების პარტნიორებთან თანამშრომლობით, გაძლიერდება მუშაობა ქვეყნის ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების საერთო ხედვის განხორციელებისთვის, ქვეყანაში ციფრული ტრანსფორმაციისკენ მიმართული აქტივობების ეფექტურ კოორდინაციასა და განხორციელებისთვის, განვითარების პროგრესის მონიტორინგისთვის და ციფრული ტრანსფორმაციის მდგრადობის ხელშესაწყობად.

გაგრძელდება შესაბამისი სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოების განახლება, საქართველოში ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარებისთვის, რომელიც ტექნოლოგიურ ზრდასთან ერთად მუდმივად განახლებადი იქნება. განხორციელდება პროგრამები და პროექტები კერძო და საჯარო სექტორებში ციფრული ტრანსფორმაციის პროცესების ხელშესაწყობად და შემუშავდება შესაბამისი მექანიზმები ინვესტიციების და ინოვაციების დანერგვის გასაძლიერებლად, მათ შორის, ინოვაციების, ციფრული უნარების, ციფრული ინკლუზიის, ციფრული საჯარო სერვისების, გაციფრულებისთვის საჭირო შესაბამისი სტანდარტების დანერგვის და ა.შ. მიმართულებებით და მათი კოორდინაციის მიზნით.

გაგრძელდება კანონმდებლობის განახლება, გაციფრულების მიმართულებით ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზასთან ჰარმონიზების გასაგრძელებლად.

გაგრძელდება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) დარგის მხარდაჭერა, ინვესტიციების მოზიდვის და ადგილობრივი კომპანიების საზღვარგარეთის ქვეყნების კომპანიებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარების ხელშეწყობის გზით.

მაკოორდინირებელი ორგანოს მიერ, განხორციელდება ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარებისთვის პროცესების კოორდინაციისა და მონიტორინგისათვის საჭირო ნორმების შემუშავება საერთაშორისო და ევროკავშირის სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.

## ამოცანა 1.2: საქართველოში ციფრული და მაღალი ტექნოლოგიების წარმოების ხელშეწყობა

მაშინ, როდესაც ციფრულ ეპოქაში მუდამ მზარდია ტექნოლოგიური განვითარება და ქვეყნები ცდილობენ სწრაფი ტემპებით განავითარონ ციფრული ეკონომიკა, მოთხოვნა ტრადიციულ თუ მაღალტექნოლოგიურ პროდუქტებზე მუდმივად იზრდება. გლობალური მასშტაბით, დიდი რაოდენობით იწარმოება როგორც ტრადიციული ტექნოლოგიური პროდუქტები, როგორც არის სატელეკომუნიკაციო აქტიური თუ პასიური ქსელური კომპონენტები, სხვადასხვა ტიპის კაბელები, მათ შორის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელები, სატელეკომუნიკაციო ქსელის აქტიური აპარატურა თუ დანადგარები და ა.შ, ისე თანამედროვე მაღალტექნოლოგიური პროდუქტები, ნახევარგამტარები, ნანოტექნოლოგიები, ჩიპები და ა.შ. საქართველოს ბაზარზე აღნიშნული პროდუქტები ძირითადად იმპორტირებულია, რაც ცხადია მოითხოვს მეტ დროსა და

დანახარჯებს მომხმარებლებისა და კომპანიების მხრიდან. განხორციელდება ძალისხმევა საქართველოში ტრადიციული თუ ციფრული და მაღალი ტექნოლოგიური ინდუსტრიის განვითარების ხელშესაწყობად, საქართველოში ტექნოლოგიების წარმოების კუთხით, ერთის მხრივ მათი ადგილობრივ ბაზარზე ფართოდ გამოსაყენებლად, რაც მნიშვნელოვნად გააიაფებს დაინტერესებული პირების, მათ შორის, სატელეკომუნიკაციო მომსახურებებზე ავტორიზებული პირების დანახარჯებს სატელეკომუნიკაციო ქსელის მოსაწყობად ქსელური პასიური თუ აქტიური აპარატურისათვის და შესაბამისად გაზრდის ქსელური განვითარების ტემპებს, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ციფრული უთანასწორობის დაძლევას, ხოლო მეორეს მხრივ, მის ექსპორტზე გასატანად. განისაზღვრება და განხორციელდება, კომპანიების, ორგანიზაციების, ინოვაციებისა და მკვლევარების შესაძლებლობების ზრდის აქტივობები, ასევე ციფრული და მაღალი ტექნოლოგიების წარმოების საჭიროებები, დახმარების სხვადასხვა საშუალებები და მექანიზმები.

### 3.2 ციფრული სერვისების და სანდო ინფრასტრუქტურის განვითარება

#### მიზანი 2: ციფრული საჯარო სერვისების გაუმჯობესება

განვითარებული ციფრული ეკოსისტემის უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობა მიმართავს ძალისხმევას, რათა მოქალაქეებისთვის უზრუნველყოს მომდევნო თაობის საჯარო სერვისები და გარდაქმნას საჯარო ადმინისტრირების სექტორი მეტი ეფექტურობისთვის. ციფრული განვითარების განმტკიცება მოხდება სახელმწიფო სერვისების (ელექტრონული მმართველობა) დონეზე, არსებული ციფრული საჯარო ინფრასტრუქტურის შექმნისა და გაუმჯობესების გზით.

საჯარო სექტორის გაციფრულების შემდეგი ეტაპი იქნება ერთიანი ციფრული საჯარო ინფრასტრუქტურის (Digital Public Infrastructure (DPI) განვითარებაში განხორციელებულ ინვესტიციებზე დაფუძნება და სტანდარტიზებული მიდგომის მიღება, რათა გაიზარდოს სამინისტროების ეფექტიანობა და მოქნილობა ციფრული საჯარო სერვისების დიზაინის მიმართულებით. მაგალითად, მოქალაქეებისთვის ციფრული სერვისების მიწოდების თვალსაზრისით, საჯარო სააგენტოებმა შესაძლოა მიიღონ მოქალაქეებზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც საშუალებას მისცემს მოქალაქეებს სამთავრობო ელექტრონული სერვისების პერსონალიზაციის, მათი ცხოვრებისეული მოვლენების შესაბამისად, ხოლო ზოგადი მომხმარებლის გამოცდილების ჰარმონიზაცია უზრუნველყოფილი იქნება საჯარო სექტორის დიგიტალიზაციის სტანდარტებზე დაფუძნებული მიდგომის მიღებით.

ადმინისტრაციული პროცესების რეორგანიზაცია და ავტომატიზაცია, ისევე როგორც ადგილობრივი ციფრული საჯარო სერვისების განვითარება და ოპტიმიზაცია მოქალაქეებისა და ბიზნესისთვის, ასევე წარმოადგენს სახელმწიფო სერვისების განვითარების შემდეგ ეტაპს. ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით, განხორციელდება, ციფრული სერვისების განვითარება/დახვეწა მოქალაქეებთან და ბიზნესებთან პირდაპირი ურთიერთობისთვის. .

განვითარდება საჯარო სერვისებზე წვდომის ინტეგრირებული, ერთი ფანჯრის ტიპის სისტემები (my.gov.ge და ms.gov.ge), რაც მნიშვნელოვნად გაუადვილებს მოსახლეობას და ბიზნესებს მთავრობასთან ურთიერთობას.

მომსახურებების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, ყველა საჯარო დაწესებულება ინტეგრირდება my.gov.ge პლატფორმაზე. მოხდება საჯარო სექტორის მონაცემთა ცენტრებისა და არსებული ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურის ურთიერთთავსებადობის გაძლიერება. ეფექტიანობისა და საჯარო რესურსების ეკონომიის მიზნით, ისინი განთავსდება ნეიტრალურ, დაცულ და სერტიფიცირებულ მონაცემთა გაცვლის ცენტრებში (მინიმუმ Tier 3 სერტიფიცირების<sup>67</sup>). აღნიშნული ინიციატივა მოიცავს მთავრობის ყოვლისმომცველი არქიტექტურის შექმნას და თანამედროვე ურთიერთთავსებადობის ჩარჩოს ჩამოყალიბებას, რომელიც დააკავშირებს ყველა სახელმწიფო უწყებას.

განხორციელდება არსებული საჯარო ელექტრონული სერვისების და სისტემების მოდერნიზაცია. ამასთან, გატარდება შესაბამისი ღონისძიებები ინტეგრირებული პლატფორმების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით.

განხორციელდება სამთავრობო უწყებების მიერ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, გაზიარებისა და გაცვლის ხელშეწყობა და მონაცემების დამუშავების სანდოობის გაძლიერება.

მთავრობა ხელს შეუწყობს ერთიანი სტანდარტებისა და მონაცემთა მართვის პრაქტიკის შექმნას არა მხოლოდ საჯარო, არამედ კერძო სექტორშიც. ძალისხმევა იქნება მიმართული, რომ კერძო სექტორის მონაწილეებმა, რომლებიც აგროვებენ დიდი რაოდენობით მაღალი ღირებულების ბიზნეს მონაცემებს, საბანკო, ტელეკომუნიკაციის და საცალო მონაცემების ჩათვლით, მიაღწიონ მნიშვნელოვან სინერგიას დარგების და მთავრობის მონაცემთა გაზიარების მიმართულებით. ხელი შეეწყობა სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის დიალოგს მონაცემთა გაზიარების მიმართულებით.

მონაცემთა სექტორში ღია მონაცემების პოლიტიკის და ინოვაციების ხელშეწყობასთან ერთად, კიბერუსაფრთხოების და პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა საქართველოს ციფრული განვითარების ეკოსისტემის ძირითადი საყრდენი გახდება. საქართველოს მთავრობა საკვანძო ფუნქციას შეასრულებს მონაცემთა გამოყენების სარგებლის დაბალანსებაში და ეკონომიკაში ციფრული მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, განხორციელდება მონაცემთა დამუშავების რეგულაციებისა და სტანდარტების განახლება საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად და მათი თანმიმდევრული დაცვა.

ამასთან, საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს ფაქტებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებისათვის მონაცემების გამოყენების შესაძლებლობების განვითარებას როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. მონაცემთა ანალიტიკის პრაქტიკის შემუშავების პრიორიტეტული ღონისძიებები მოიცავს მონაცემთა პროგრამების შექმნის ხელშეწყობას უნივერსიტეტებში, მონაცემთა ლაბორატორიების შექმნის ხელშეწყობას (პოტენციურად კერძო სექტორთან თანამშრომლობით) და ღია მონაცემების წყაროების შექმნას

---

<sup>67</sup> Tier 3: გააჩნია რამოდენიმე წყარო ელ-მომარაგებისა და გაგრილების სისტემების, ბექაფირების სისტემები (UPS, გენერატორები), დაცულობა ფიზიკური/ვირტუალური ზემოქმედებისგან, მონაცემთა ცენტრში ტექნიკური სამუშაოების განხორციელება შესაძლებელია ისე რომ მომხმარებლებს არ შეუწყდეთ სერვისების მიწოდება. მას აქვს მოსალოდნელი მუშაობის დრო 99,982% (წლიურად 1,6 საათის შეფერხება);

ინტეგრირებული ანალიტიკური ინსტრუმენტებით.

## ამოცანა 2.1: ციფრული მმართველობის ძირითადი ხელშემწყობი მექანიზმების გაძლიერება

საჯარო სექტორის სერვისების შემდგომი გაციფრულებისთვის, გაგრძელდება მუშაობა სახელმწიფო სტანდარტების, პროტოკოლების და პროცესების განსასაზღვრად, როგორცაა საწარმოს არქიტექტურა (EA), თავსებადობის ჩარჩო, მონაცემთა მართვის ჩარჩო და სტანდარტები, IT პოლიტიკა, ბიზნესის უწყვეტობა და ა.შ.

გაგრძელდება ძალისხმევა ელექტრონული სერვისების ერთი ფანჯრის პრინციპის პლატფორმის სერვისების გაზრდისთვის, რომელიც მიეწოდება მოქალაქეებს და ბიზნესს (მაგ., პლატფორმის ფუნქციონალის გაუმჯობესება, ყველა ურთიერთდაკავშირებული საჯარო სერვისის ინტეგრირება, რათა შესაძლებელი გახდეს მომსახურებების ერთი წერტილიდან მიღება და ა.შ.).

დაიხვეწება პლატფორმის უკუკავშირის მექანიზმები, რათა მუდმივად გაუმჯობესდეს მომხმარებლის მომსახურება, უზრუნველყოფილი იქნება ციფრული სერვისის მიწოდების სხვადასხვა მოდელი, მათ შორის მობილური აპლიკაციებით, პლატფორმებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წვდომის უზრუნველყოფა და სხვა.

გაგრძელდება ძალისხმევა პლატფორმის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობასა და მოქალაქეთა ჩართულობაში, განსაკუთრებით სოფლად, რათა შეიქმნას ნდობა და მოხდეს მოქალაქეებისა და ბიზნესის მიერ ციფრული სერვისების საშუალებების გამოყენების სტიმულირება.

გაგრძელდება ძალისხმევა სანდო ელექტრონულ იდენტიფიკაციის (Electronic identification (eID) სერვისების განვითარებაზე და საზღვარგარეთის (განსაკუთრებით ევროკავშირის) ქვეყნების მიერ მის აღიარებაზე, რაც მოქალაქეებს და ბიზნესს მისცემს შესაძლებლობას გამოიყენონ თავიანთი ეროვნული eID და სანდო სერვისები შეუფერხებლად საქართველოს საზღვრებს მიღმა კერძო და საჯარო სერვისებზე წვდომისთვის, შეინარჩუნონ სრული კონტროლი განხორციელებულ ტრანზაქციებზე და გაზიარებულ პერსონალურ მონაცემებზე. გარდა ამისა, განხორციელდება აქტივობები eID სერვისების ინტეგრაციის მიმართულებით მობილური ტელეფონების ტექნოლოგიებში. ამასთან, დაინერგება საჯარო სექტორში ავთენტიფიკაციის ერთიანი მექანიზმი (Single Sign On), რაც ელექტრონული სერვისის მომხმარებლებს სიმარტივისა და მოქნილობის გარანტია იქნება.

განსაკუთრებული ძალისხმევა დაეთმობა ციფრული საიდენტიფიკაციო საფულის - GeWallet-ის დანერგვას, რომელიც თანამედროვე ტიპის აპლიკაციაა და მაღალი დაცულობის იდენტიფიკაციის საშუალებას წარმოადგენს.

უზრუნველყოფილი იქნება აპლიკაციის სრული შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასა და ევროკავშირის რეგულაციებთან. GeWallet, ასევე, თავსებადი იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონსა და ევროკავშირის მონაცემების დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მოთხოვნებთან. შესაბამისად,

მომხმარებელი სრულად გააკონტროლებს საკუთარ პერსონალურ მონაცემებს და სერვისებით სარგებლობისას თავად გადაწყვეტს, პერსონალური მონაცემების გაზიარების პროპორციულობას.

გაგრძელდება მუშაობა ჯანდაცვის ელექტრონული სერვისების გასავითარებლად, რაც მოიცავს ჯანმრთელობის ელექტრონული ჩანაწერების სისტემების ეტაპობრივ დანერგვას და მათ მუდმივ განვითარებას. სისტემა მოიცავს EMR-ს (ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერები) და EHR-ს (ელექტრონული ჯანმრთელობის ჩანაწერები), ჯანმრთელობის იდენტიფიკატორების გამოყენებას თითოეული პაციენტისთვის უნიკალური ჩანაწერების შესაქმნელად და ა.შ. აღნიშნული მონაცემების საშუალებით, ექიმებს და თავად პაციენტებს ექნებათ მონაცემთა ანალიზის შესაძლებლობა, ასევე ექიმებს სხვადასხვა წერტილიდან ექნებათ პაციენტების მონაცემებზე წვდომა, განვითარდება ელექტრონული ფარმაციის და ელექტრონული რეცეპტის გადაწყვეტილებები, ტელემედიცინა და პაციენტის დისტანციურად მონიტორინგის გადაწყვეტილებები და სხვა.

განხორციელდება სახელმწიფო ფინანსების მართვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის გამოყენების და ანგარიშგების პორტალის ელექტრონული სისტემის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები.

## ამოცანა 2.2: ღია მონაცემების და დიდი მონაცემების შეგროვების, დამუშავების, გაზიარების და გაცვლის პრაქტიკის დახვეწა

საჯარო სექტორისთვის შეიქმნება მონაცემთა მართვის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები, რაც ხელს შეუწყობს მონაცემების შეგროვებას, სტანდარტიზაციასა და კლასიფიკაციას, მეტად ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღებას და აუცილებელი მონაცემების ხელმისაწვდომობას მთავრობის პროექტებისთვისა და კერძო სექტორისთვის. ხელი შეეწყობა მონაცემების გაზიარებას სხვადასხვა სექტორს შორის, ასევე დიალოგი და ძალისხმევა განხორციელდება ამ პრაქტიკის ეფექტიანობის გასაზრდელად საჭირო მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. განხორციელდება კერძო და საჯარო სექტორების მიმართ დიდი მონაცემების შეგროვება/დამუშავება/გამოყენების ხელშეწყობის აქტივობები.

განხორციელდება მონაცემთა დამუშავების/დაცვის რეგულაციების და სტანდარტების პერიოდული განახლება საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით.

შეიქმნება შესაძლებლობები, რათა მონაცემების გამოყენება მოხდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მისაღებად როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში.

ხელი შეეწყობათ უნივერსიტეტებს, რომ შემუშავდეს მონაცემებთან დაკავშირებული სასწავლო პროგრამები, შეიქმნას მონაცემთა ლაბორატორიები, კერძო სექტორთან პარტნიორობით შეიქმნას ღია მონაცემების ბაზები ინტეგრირებული ანალიტიკური ინსტრუმენტებით.

დაიგეგმება და განხორციელდება მონაცემთა ანალიზის ძირითადი უნარების გაუმჯობესების აქტივობები საჯარო სექტორში დასაქმებულთა მომზადების გეგმაში.

### 3.3 ციფრული მეწარმეობა, საწარმოების ციფრული ტრანსფორმაციის ხელშეწყობა და ინოვაციების განვითარება

#### მიზანი 3: ბიზნესების გაციფრულების ხელშეწყობა

დარგების და კომპანიების გაციფრულების გაძლიერება ხელს შეუწყობს ინოვაციებს და პროდუქტიულობას, განსაკუთრებით მიმდინარე რეფორმების პარალელურად, ღია ბაზრებზე კონკურენციის უზრუნველსაყოფად, უნარებსა და ინფრასტრუქტურაში ინვესტირებით. აღნიშნული შეეხება როგორც ციფრულ ბიზნესებს, რომლებიც ქმნიან ციფრულ პროდუქტებს და სერვისებს, ასევე გაციფრულების პროცესში მყოფ ტრადიციული სექტორების ბიზნესებს. ორივე შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლება შეიმუშავებს ზრდის მექანიზმებს და ბიზნესებს გაუწევს საჭირო მხარდაჭერას განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

მთავრობა გააძლიერებს მხარდამჭერ მექანიზმებს, შექმნის და განავითარებს არსებულ პროგრამებს და ინიციატივებს, რომლებიც დაეხმარება ბიზნესებს გაციფრულებაში, ციფრულ ბიზნესებს შემდგომ განვითარებაში და ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებზე მორგებული პროდუქტების და მომსახურებების შექმნაში. ამასთან, გაციფრულების გზაზე საქართველო ორიენტირებული იქნება ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზოგიერთი ხარვეზის დაძლევაზე. გაძლიერდება დახმარების პროგრამები ქართული სტარტაპების პოპულარიზაციის მხრივ გლობალურ სტარტაპების მხარდაჭერის ეკოსისტემაში. სტარტაპებში დასახლებულ გამოწვევებზე საპასუხოდ, სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“ შეიმუშავებს სრულად განახლებულ სქემას საქართველოში სტარტაპ ეკოსისტემის ხელშესაწყობად და გლობალური პოტენციალის მქონე სტარტაპების წასახალისებლად. კერძოდ, განხორციელდება ადრეული განვითარების ეტაპზე მყოფი სტარტაპების 4 საერთაშორისო აქსელერატორის მიერ აქსელერაცია, რომელიც გულისხმობს წლიურად 160 სტარტაპის გადამზადებას, რომლებიც გაივლიან 12 თვიან (სამ ფაზიან) აქსელერაციის პროგრამას. ასევე, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა „START UP IN GEORGIA“ კონცეფცია/პროექტზე, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ინვესტიციების შემოსვლასა და ადგილობრივი სტარტაპ ეკოსისტემის გაძლიერებას მათი კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, გაგრძელდება არსებული პროგრამები, კერძოდ, „ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის“, „500 Georgia“-ს საერთაშორისო აქსელერაციის პროგრამა, ასევე, ტექნოლოგიების გადაცემის პროგრამა და სხვა.

მცირე და საშუალო ბიზნესებს, განსაკუთრებით საქართველოს რეგიონებში, დასჭირდებათ მხარდაჭერა ციფრული ტექნოლოგიების შესწავლის და დანერგვისთვის, რაც განხორციელდება გაციფრულების ტრენინგებისა და საკონსულტაციო სერვისებით, წახალისდება საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობა სხვადასხვა მექანიზმებით. ყოველივე კი ხელს შეუწყობს მათ კონკურენტუნარიანობას და მათი პროდუქტის ადგილობრივ თუ გლობალურ ბაზარზე გატანას.

სახელმწიფო შესყიდვებისა და ტენდერების პროცესს, აქვს პოტენციალი ხელი შეუწყოს უფრო კონკურენტუნარიანი ადგილობრივი IT ინდუსტრიის ჩამოყალიბებას, ახალი პროდუქტებისა და სერვისების განვითარებას კერძო სექტორში, რაც საშუალებას აძლევს IT კომპანიებს გასწიონ

საჯარო უწყებების IT პროექტებით მომსახურება და განვითარდნენ. ეს, თავის მხრივ, საშუალებას მისცემს სამთავრობო სექტორის IT პროფესიონალებს შეუერთდნენ კერძო სექტორის სამუშაო ძალას და ერთობლივი ძალისხმევით წვლილი შეიტანონ მათ პროგრესში.

არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად, შეიქმნება სტანდარტები, რაც ხელს შეუწყობს საჯარო უწყებებს სტანდარტიზებული წესით საკუთარი სისტემების შემუშავებაში და თავსებადობის უზრუნველყოფაში, ასევე გაამარტივებს პროცესს საჯარო უწყებებისთვის, მოთხოვნების განსაზღვრაში და კერძო კომპანიებისთვის ტენდერებში მონაწილეობისთვის მომზადებას, მეორეს მხრივ, როგორც საჯარო უწყებების, ისე კერძო კომპანიების ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულებას, მონაცემთა უსაფრთხოებისა და დაცვის წესების შემუშავებას, შეიქმნება სანდო გარემო. განხორციელდება საჯარო და კერძო სექტორების რეგულარული დიალოგი, რაც დაეხმარება პოტენციურ პროექტებზე, მოთხოვნებსა და ტექნოლოგიებში მიღწევებზე ცნობიერების ამაღლებას და ადგილობრივი IT პროდუქტების განვითარებას.

მთელი ამ პროცესის განმავლობაში, მთავრობისთვის (და სხვა ძირითადი IT სისტემების შემსყიდველებისთვის) მნიშვნელოვანი იქნება ციფრული პროდუქტის მიმწოდებელზე და ტექნოლოგიებზე დაკავშირებული რისკების მართვა. ასეთი დამოკიდებულება უზრუნველყოფს გაზრდილ ხარჯებთან და შემცირებული მოქნილობასთან დაკავშირებულ რისკების მართვას. მაგალითად, როდესაც ინერგება ტექნოლოგია, რომლის მიმწოდებლების რაოდენობა შეზღუდულია, ან როდესაც მიწოდების კონტრაქტები ან სალიცენზიო შეთანხმებები (მაგ., პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ) ზღუდავს ცვლილებებს ტექნოლოგიებში ან მიმწოდებლებში, პოტენციურად ზღუდავს მონაცემთა მფლობელობას და მონაცემებზე წვდომას. გამყიდველზე დამოკიდებულების კიდევ ერთი ფაქტორია, ციფრული პროდუქტის მიმწოდებლის მიერ ცოდნის და შესაძლებლობების მთავრობისთვის არ გაზიარება, რაც უფრო მაღალ რისკს წარმოადგენს არასწორად შემუშავებულ საჯარო-კერძო პარტნიორობის და „შექმნა-ოპერირება-გადაცემის“ მოდელებში. გამყიდველზე და ტექნოლოგიებზე დამოკიდებულების რისკების შერბილება მიღწეული იქნება ღია, საერთაშორისო სტანდარტების და კარგად დამუშავებული შესყიდვების პრაქტიკის დანერგვით, რაც მინიმუმამდე შეამცირებს ტექნოლოგიის ან მიმწოდებლის არჩევის შეზღუდვებს გრძელვადიან პერიოდში.

### ამოცანა 3.1: ბიზნესების და IT კომპანიებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

განხორციელდება საკონსულტაციო, ტრენინგის, მხარდაჭერისა და უკუკავშირის მექანიზმების შემუშავება ტრადიციული კერძო სექტორებისთვის, რათა ხელი შეეწყოს სექტორების ციფრულ ტრანსფორმაციას ციფრული ეკონომიკის განვითარებისთვის.

ძალისხმევა იქნება მიმართული კონკრეტული სექტორების გაციფრულების მხარდაჭერის პროგრამების შემუშავებისთვის, კერძო სექტორში ციფრული ტექნოლოგიების მეტად ათვისებისთვის.

განხორციელდება გაციფრულების ტრენინგები და კონსულტაციები მცირე ბიზნესისთვის, განსაკუთრებით საქართველოს რეგიონებში.

დაიწყება საინფორმაციო კომპანიები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, განსაკუთრებით რეგიონებში, ელექტრონულ ვაჭრობაზე მეტი წვდომის ხელშეწყობისთვის და გამოყენებისთვის.

განხორციელდება საჯარო სექტორის ციფრული სერვისების საჭიროებების კერძო სექტორზე აუთსორსინგის შესაძლებლობების იდენტიფიცირება, საჯარო-კერძო სექტორის პარტნიორობის მეშვეობით, ციფრულ სერვისების და უნარების განვითარების სტიმულირებისთვის.

განხორციელდება სახსრების მობილიზება კვლევასა და განვითარებაში ინოვაციების სტიმულირებისთვის და ციფრულ უნარებზე მოთხოვნის გასაზრდელად, რაც აუცილებელია ინოვაციის განვითარების და ათვისებისთვის, მათ შორის, აქტიურად გაგრძელდება მუშაობა ბაქტერიოფაგების, ხელოვნური ინტელექტისა და აგროტექნოლოგიების კვლევითი ცენტრების ჩამოსაყალიბებლად და შესაბამისი კომპეტენციის მქონე პერსონალით დასაკომპლექტებლად.

გაგრძელდება საბაჟო პროცედურების მოდერნიზება ავტომატიზაციის გზით, სამხრეთ კავკასიის რეგიონში დერეფნის გაციფრულების მხარდასაჭერად ვაჭრობისა და ლოგისტიკის მიმართულებით.

უზრუნველყოფილი იქნება დამწყები საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) სფეროს ბიზნესებისთვის სხვადასხვა რესურსებზე წვდომის გაუმჯობესება (მაგ., გლობალური სარისკო კაპიტალი, საწყისი ინვესტიცია და ა.შ.) სხვადასხვა წყაროს მეშვეობით, რათა მათ შეძლონ მეტი ციფრული პროდუქტის დანერგვა და გლობალურ IT ბაზარზე გააძლიერონ ნავიანთი კონკურენტუნარიანობა. გაგრძელდება გლობალურ ბაზრებზე წვდომა და ციფრულ ეკონომიკაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

განხორციელდება არსებული ციფრული პროგრამების განვითარება, როგორცაა ნაწილობრივი საკრედიტო გარანტიის პროგრამა; ფინანსური ინსტიტუტების წახალისებასთან/მხარდაჭერასთან ერთად, უზრუნველყოფილი იქნება ციფრული პროდუქტების და სერვისების განვითარების ხელშეწყობა, რომლებიც მორგებული იქნება ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებზე.

შემუშავებული იქნება და დაინერგება სტანდარტები, პროტოკოლები და პროცესები, საჯარო უწყებების ხელშესაწყობად, რომლებიც ინვესტირებას მოახდენენ ადგილობრივი IT კომპანიების მომსახურებების მიღებაში.

დაიხვეწება საჯარო უწყებების და კერძო კომპანიების ინტელექტუალური საკუთრების უფლებების და მონაცემთა უსაფრთხოების და დაცვის წესები.

შეიქმნება საჯარო-კერძო სექტორის რეგულარული დიალოგის პლატფორმა შესაძლო პროექტების, მოთხოვნებისა და ტექნოლოგიების მიღწევების შესახებ ცნობიერების ამაღლების და დაინტერესების მიზნით.

### ამოცანა 3.2: სანდო და უსაფრთხო ხელოვნური ინტელექტის (AI) სერვისების განვითარების ხელშეწყობა

განხორციელდება ხელოვნური ინტელექტის სისტემების განვითარების მხარდაჭერა, რაც სარგებლის და პროდუქტიულობის მომტანი იქნება საქართველოს მოქალაქეებისთვის და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორისთვის.

ხელოვნური ინტელექტის განვითარების მხარდაჭერის პროცესში გათვალისწინებული იქნება კანონის უზენაესობის პრინციპები, ადამიანის უფლებების დაცვის და დემოკრატიული ღირებულებების, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხები, რათა ხელოვნური ინტელექტის სისტემები განვითარდნენ და ფუნქციონირებდნენ უსაფრთხოდ და სანდოდ მათი ფუნქციონირების მთლიანი ციკლის განმავლობაში და პოტენციური რისკები მუდმივად იყოს შეფასებული და მართვადი.

ხელოვნური ინტელექტის უსაფრთხო ფუნქციონირებისთვის და განვითარებისთვის, გათვალისწინებული იქნება საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის ევროკავშირის შესაბამისი საკანონმდებლო აქტები და რეგულაციები. შემუშავდება საქართველოს ხელოვნური ინტელექტის სტრატეგია, რომელიც იქნება პირველი ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ხედვასა და პრიორიტეტებს ხელოვნური ინტელექტის გასავითარებლად და ასევე, გამოკვეთილი გამოწვევების საპასუხო კონკრეტულ ღონისძიებებს.

განისაზღვრება ხელოვნური ინტელექტის კვლევისა და ინოვაციების პროგრამების მხარდაჭერის ღონისძიებები, შემდგომში განხორციელდება ხელოვნური ინტელექტის პროდუქტების კომერციალიზაციის მხარდაჭერა, მათი კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

განისაზღვრება საწარმოების, მათ შორის მცირე და საშუალო საწარმოების მიერ, მათ საჭიროებაზე მორგებული ხელოვნური ინტელექტის გადაწყვეტილებების დანერგვის ხელშეწყობის და დეველოპერების მიერ შესაბამისი პროდუქტების შექმნის მხარდაჭერი ღონისძიებები, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე გატანის სტიმულირებისთვის და მათი კონკურენტუნარიანობისთვის.

2024 წელს, საქართველოს მთავრობამ ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფეროში სამი პრიორიტეტული მიმართულება განსაზღვრა - ხელოვნური ინტელექტი, ბაქტერიოფაგები და აგროტექნოლოგიები. მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები ხელოვნური ინტელექტის კვლევითი ცენტრის შესაქმნელად, რომელიც, მათ შორის, მიზნად ისახავს ქართულენოვანი ხელოვნური ინტელექტის განვითარებასა და მის დანერგვას საფინანსო, ჯანდაცვისა და აგრო სექტორებში, ხელოვნური ინტელექტის მოდულების სასწავლო პროგრამებში ინტეგრაციასა და სხვა კვლევით საქმიანობებს AI ინდუსტრიაში.

### 3.4 ციფრული ფინანსური სერვისების განვითარება

#### მიზანი 4: ციფრული ფინანსური სერვისების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა

საქართველოში ციფრული ფინანსური სერვისების ბაზრის განვითარებისთვის გატარდება ზომები როგორც მიწოდების, ისე მოთხოვნის მიმართულებით. ციფრული ფინანსური სერვისების გამოყენების მასშტაბი გაიზარდება, განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებში. ხელი შეეწყობა კონკურენციის განვითარებას და ციფრული ბიზნეს მოდელების მქონე მცირე კომპანიების წახალისებას მომხმარებლებს შესთავაზონ მეტი ციფრული სერვისი. ამავდროულად, ხელი შეეწყობა ციფრული ფინანსური სერვისების გამოყენებას როგორც მოსახლეობის, ასევე ბიზნესების სწავლების და სტიმულირების გზით.

ციფრული ფინანსური სერვისების განვითარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საკანონმდებლო ბაზის შემდგომი სრულყოფა და კონკურენციის ხელშეწყობა საგადახდო სფეროში, PSD2 და მასთან დაკავშირებული რეგულაციების იმპლემენტაცია. ამ მხრივ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, მათ შორის, საგადახდო სისტემაზე წვდომის ობიექტური, პროპორციული და არადისკრიმინაციული პირობების უზრუნველყოფის ვალდებულება, რაც ხელს შეუწყობს კონკურენციის ზრდას საგადახდო ბაზარზე. თუმცა, შემდგომშიც გაგრძელდება მუშაობა ხელსაყრელი სამართლებრივი და ბიზნეს გარემოს შექმნაზე მცირე ზომის ბანკებისთვის და არასაბანკო საგადახდო მომსახურების პროვაიდერების, მათ შორის ელექტრონული ფულის პროვაიდერების, ფინანსური ტექნოლოგიების კომპანიებისათვის და სხვა. განსახორციელებელი ქმედებები უზრუნველყოფს ბაზრის დივერსიფიკაციას, ინოვაციურ გადაწყვეტილებებს, ფინანსური ტექნოლოგიებით სარგებლობის ზრდას, ფინანსური მომსახურების ხარჯების შემცირებას და ხელმისაწვდომობის ზრდას. აღნიშნული საკითხების გადაწყვეტას, ხელს შეუწყობს ეროვნული ბანკის მიერ დაწყებული პროექტების/ინიციატივების შემდგომი განვითარება, მათ შორის ციფრული ბანკი და ღია ბანკინგი (ღია API-ის გამოყენება), ციფრული ჩართულობა და მყისიერი გადახდების სისტემა.

მეორე მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურების (საგადახდო და ანგარიშსწორების სისტემების) შემდგომი განვითარება, მათზე წვდომის უზრუნველყოფა არასაბანკო საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისათვის. ამ მხრივ უკვე მიმდინარეობს მყისიერი გადახდების სისტემის იმპლემენტაცია, აგრეთვე არსებული RTGS სისტემის განახლება. გარდა აღნიშნულისა, მნიშვნელოვანია ასევე CPSS-IOSCO-ს (Principles for Financial market Infrastructures) ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის პრინციპების იმპლემენტაცია. 2024 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ოვერსაიტის წესები, რომელიც ასევე ეფუძნება ევროპის ცენტრალური ბანკის საცალო საგადახდო სისტემების ზედამხედველობის (ოვერსაიტის) პრინციპებს. აღნიშნული წესები, ადგენს მინიმალურ სტანდარტებს სხვადასხვა ტიპის ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურებისათვის რისკების მართვის (სამართლებრივი, საკრედიტო, ლიკვიდურობის, საოპერაციო, ანგარიშსწორების და სხვა რისკები) სისტემაზე წვდომისა და გამჭვირვალობის მხრივ, აგრეთვე ორგანიზაციულ სტრუქტურაში ანგარიშვალდებულების და ზოგადად ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის ეფექტურობისა და ეფექტიანობის კუთხით. ფინანსური ბაზრის მნიშვნელოვან საგადახდო სისტემების მიერ, მიმდინარე პერიოდში ხორციელდება თვითშეფასება ოვერსაიტის წესის მოთხოვნების შესრულების თვალსაზრისით, რის საფუძველზეც შემუშავდება

რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობს მათი ეფექტურობისა და ეფექტიანობის, ასევე საიმედოობისა და უსაფრთხოების ზრდას.

მესამე მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საცალო საგადახდო სისტემების შემდგომი განვითარება და სრულყოფა, რაც უზრუნველყოფს საცალო საგადახდო ბაზარზე გადამხდელისა და მიმღების ინტერესების ადეკვატურ დაცვას, გამჭვირვალობის ზრდას, დანახარჯების ეფექტიანობის გაუმჯობესებასა და საცალო გადახდებისათვის საიმედო საფინანსო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობას. ამასთან ასევე მნიშვნელოვანია, მოქმედი ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურების ურთიერთთავსებადობის ხელშეწყობა, რაც საერთო ჯამში, ხელს შეუწყობს მთლიანად საგადახდო ბაზრის ეფექტიანობის ზრდასა და ბაზრის კონკურენციას.

მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ერთიანი ფინტექ სტრატეგიის შექმნაზე მუშაობს, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს ინოვაციური ციფრული ფინანსური სერვისების განვითარებას, ამ კუთხით საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებასა და ქვეყნის ფინტექ-ბაზარზე არსებული გამოწვევების აღმოფხვრას.

სტრატეგიის იმპლემენტაციის გეგმა ხუთ ძირითად მიმართულებას დაეყრდნობა:

**მიმართულება 1: ინსტიტუციური მოწყობა** - გულისხმობს კოორდინაციას საქართველოს ეროვნულ ბანკსა და სხვა კერძო და საჯარო უწყებებს შორის ფინტექ სტრატეგიის შემუშავების, განხორციელებისა და მუდმივი მონიტორინგის მიზნით.

**მიმართულება 2: რეგულირება, ზედამხედველობა და კონტროლი/მონიტორინგი** - აერთიანებს პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოს უფრო ფართო ასპექტებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ციფრული ფინანსური სერვისებისა და ფინტექ აქტივობებს. ფინანსური სექტორის რეგულაციებსა და განვითარების პოლიტიკასთან ერთად, იგი ასევე გულისხმობს ისეთ საკითხებზე მუშაობას, როგორებიცაა მონაცემთა დაცვა და კონფიდენციალურობა, კიბერუსაფრთხოება, ციფრული იდენტიფიკაცია, ელექტრონული ხელმოწერები და კონკურენცია. ამასთან, მიმართულება ითვალისწინებს აღნიშნული აქტივობების ზედამხედველობისა და კონტროლის/მონიტორინგის მიდგომების შემუშავებას.

**მიმართულება 3: ინფრასტრუქტურა** – მოიცავს ფინანსური ინფრასტრუქტურისა (მაგ., საგადახდო სისტემები, საკრედიტო ბიურო/რეესტრი, გირაოს რეესტრი) და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურის (მაგ., ციფრული იდენტიფიკაცია, KYC რეესტრი) განვითარებას, ასევე ინფრასტრუქტურაზე წვდომის კრიტერიუმების განსაზღვრას, ფინანსური სისტემების სტანდარტიზაციასა და მათ შორის ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფას.

**მიმართულება 4: ინოვაციების მხარდაჭერა** – გულისხმობს აქსელერატორების პროგრამის, და საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციების ლაბორატორიისა და ინოვაციების ოფისის მსგავსი ინიციატივების განხორციელებას, რომლებიც სტარტაპებისა და ფინტექის მხარდაჭერას ისახავს მიზნად.

**მიმართულება 5: საერთაშორისო თანამშრომლობა** – მოიცავს საერთაშორისო თანამშრომლობის ჩარჩოსა და ინიციატივების ხელშეწყობას, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკისა და, საჭიროებისამებრ, სხვა უწყებების ჩართულობას აღნიშნულ პროცესებში.

#### ამოცანა 4.1: ციფრული ფინანსური სერვისების ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობა

მცისიერი გადახდის სიტემის დანერგვასთან ერთად, გაძლიერდება მუშაობა ციფრული ფინანსური სერვისების ფართო დანერგვის ხელშეწყობის მიმართულებით. ახალ საცალო საგადახდო სისტემაში პირდაპირი წვდომა ექნებათ საგადახდო ბაზრის ყველა მონაწილეს, რაც მათ საშუალებას მისცემს, მცისიერი საგადახდო სისტემისა და მისი ზედნაშენი სერვისების (overlay services) თანამედროვე ფუნქციონალობის გამოყენებით როგორც მომხმარებლებისთვის, ასევე სავაჭრო-მომსახურების ობიექტებისთვის, შექმნან ახალი, ინოვაციური ციფრული პროდუქტები. აღნიშნულის მხარდაჭერისათვის ასევე მნიშვნელოვანია, საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდა, აგრეთვე დამატებითი პროგრამების მეშვეობით სრულად ციფრულად შესრულებული ტრანზაქციების ხელშეწყობა, როგორცაა მაგალითად, ელექტრონული ინვოისის და ელექტრონული ქვითრის გამოყენების მხარდაჭერა.

საყურადღებოა, რომ ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით სოფლებში, ელექტრონული გადახდების მიღების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი შესაბამისი ბარტის მიმღების მოწყობილობებისა და მათი მომსახურების სიძვირეა. აღნიშნულთან დაკავშირებით დაგეგმილია QR კოდის ერთიანი სტანდარტის დამკვიდრება, რომელიც ხელს შეუწყობს გადახდების მიღების შედარებით იაფი ალტერნატიული არხის დანერგვას. QR კოდის გამოყენება გაუადვილებს მცირე სავაჭრო მომსახურების ობიექტებს ელექტრონული გადახდების მიღებას, გაზრდის კონკურენციას შეძენის ბაზარზე და სტიმულს მისცემს უნაღდო გადახდების ზრდას. თავის მხრივ, QR კოდით გადახდები იქნება ახალი, მცისიერი გადახდების სისტემის მეშვეობით გადახდების მიღების ერთ-ერთი ალტერნატივა მცირე ბიზნესებისთვის, რაც გააუმჯობესებს მცისიერი გადახდების ადაპტაციას ბიზნესებისთვის.

გაგრძელდება მუშაობა მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გამჭვირვალობის ზრდა საგადახდო მომსახურებისთვის გადახდილი საკომისიოების მიმართულებით, რათა მომხმარებელმა შეძლოს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება ამა თუ იმ შეთავაზების მიმართ. აღნიშნული მიმართულებით, საქართველოს ეროვნული ბანკი მუშაობს კომერციული ბანკების საგადახდო მომსახურების ტარიფებისა და გაცვლითი კურსების შედარების ვებ-გვერდის ამოქმედებაზე. მისი მეშვეობით მომხმარებელს შეეძლება: ერთ ფანჯრის პრინციპით მიიღოს ინფორმაცია ბაზარზე მოქმედი კომერციული ბანკების ტარიფების/საკომისიოების და გაცვლითი კურსების შესახებ. ამასთან, იგეგმება აღნიშნული მონაცემთა ბაზის გაზიარება ფინტექებისათვის, რომლებიც ამ ინფორმაციის საფუძველზე შექმნიან დამატებით პროდუქტებს, რაც გაუადვილებს მომხმარებლებს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას, ხელს შეუწყობს გამჭვირვალობას საგადახდო მომსახურების ბაზარზე და შედეგად გაზრდის კონკურენციას. აღნიშნული პროექტი ეფუძნება საგადახდო ანგარიშის შესახებ ევროკავშირის დირექტივას (PAD-2014/92/EU). გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული დირექტივა, გარდა საკომისიოების/ტარიფების გამჭვირვალობის მიმართ მოთხოვნებისა, შეიცავს საბაზისო

საგადახდო ანგარიშის რეგულაციებს. შემდეგომ ეტაპზე აღნიშნული ნაწილის იმპლემენტაცია შესაძლებელია ასევე სასარგებლო იყოს ფინანსური ინკლუზიის ხელშეწყობისათვის. დაგეგმილია ასევე აღნიშნული შედარების გვერდის გაფართოება სხვა ფინანსური მომსახურებებითაც.

მომხმარებელთა დაცვის მეორე მიმართულებას წარმოადგენს თანხის დაბრუნების პოლიტიკის სრულყოფა ციფრული ტრანზაქციებისადმი ნდობის გასაზრდელად. ამ მხრივ მნიშვნელოვანია უკვე ამოქმედებული დავების განმხილველი კომისიის როლი, თუმცა მუშაობა გაგრძელდება ქვეყანაში მოქმედი საგადახდო სქემების, მათ შორის მყისიერი გადახდის სისტემების თანხების დაბრუნების პოლიტიკის სრულყოფაზე.

გაგრძელდება მუშაობა საკანონმდებლო ბაზის განახლებაზე, საბარათე სქემების ურთიერთგაცვლის საკომისიოს რეგულირების კუთხით. როგორც ბაზრის მონიტორინგის და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლიდან ჩანს, მიმდინარე ეტაპზე, ურთიერთგაცვლის საკომისიო შესამჩნევად აღემატება სხვა პარტნიორი ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს. ქართული შეძენის ბაზრის კონცენტრაციის გათვალისწინებით, აღნიშნული წარმოადგენს შეძენის ბაზარზე შესვლის ბარიერს მცირე კომპანიებისათვის. ურთიერთგაცვლის საკომისიოს შემცირება კი ხელს შეუწყობს ბაზარზე ახალი, ინოვაციური პროვაიდერების შესვლას, გაზრდის მის ეფექტიანობას და პოტენციურად ასევე დადებითად იმოქმედებს სავაჭრო-მომსახურების ობიექტების მიერ საბარათე გადახდების მიღებაზე.

ძალისხმევა იქნება მიმართული „იცნობდე შენს კლიენტს“ (Know Your Customer (KYC) ნორმების სტანდარტიზირების და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების (ელექტრონული ხელმოწერა, ელექტრონული პირადობის მოწმობა და სხვა) ხელშეწყობისთვის.

განვითარდება ციფრული ფინანსური სერვისებისთვის ხელშემწყობი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენციასა და ინვესტიციების მოზიდვას, მათ შორის მცირე ზომის ბანკებისა და არასაბანკო ოპერატორებისთვის, როგორცაა საგადახდო მომსახურების პროვაიდერები, მათ შორის ელექტრონული ფულის პროვაიდერები, ფინტექ კომპანიები და სხვა.

მყისიერი გადახდების სისტემის დანერგვით გაიზრდება გადახდის ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა არასაბანკო საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისათვის, მათ შორის ელექტრონული ფულის პროვაიდერებისათვის. საგადახდო ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომი იქნება 24/7/365 რეჟიმში. მყისიერი გადახდების სისტემა ასევე შესაბამისობაში იქნება CPSS-IOSCO ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის პრინციპებთან, რითაც იგი დააკმაყოფილებს რისკების მართვის, გამჭვირვალობის სისტემაზე წვდომისა და ეფექტიანობის უმაღლეს სტანდარტებს და ხელს შეუწყობს ბაზრის მონაწილეებისა და მომხმარებლების ნდობის ზრდას უნაღდო გადახდებისადმი.

სხვა საცალო საგადახდო სისტემების თვალსაზრისით, გაგრძელდება მუშაობა მათი ინტეროპერაბელობის გაზრდის მიმართულებით, რათა შესაძლებელი იყო ქვეყნის შიგნით მოქმედი სისტემების ეფექტიანობის ზრდა, რაც შეამცირებს ბაზრის ფრაგმენტაციას და გაზრდის კონკურენციას.

განსაკუთრებული ძალისხმევა იქნება მიმართული როგორც ფიზიკური პირების, ასევე

ბიზნესების ფინანსური ცოდნისა და ციფრული უნარების გაზრდისთვის. აღნიშნული მოიცავს მომხმარებლების განათლების მასალებისა და პროგრამების მომზადებას, სხვადასხვა საგადახდო ინსტრუმენტის/არხის მიხედვით კითხვა-პასუხის (FAQ) დოკუმენტების გამოქვეყნებასა და პოპულარიზაციას, აგრეთვე მომხმარებლების პასუხისმგებლობებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციული კამპანიების წარმოებას.

განხორციელდება კიბერუსაფრთხოების და მონაცემთა კონფიდენციალურობის რეგულაციების გაძლიერება ციფრული ფინანსური ტექნოლოგიების გამოყენების რისკების სამართავად. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია CPSS-IOSCO-ს ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის კიბერ მდგრადობის სახელმძღვანელოს (Guidance on cyber resilience for financial market infrastructures) მოთხოვნების იმპლემენტაცია, რაც ხელს შეუწყობს საგადახდო სისტემების კიბერუსაფრთხოების გაძლიერებასა და ზოგადად ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურებისადმი ნდობის ზრდას.

#### ამოცანა 4.2: ფინანსური ტექნოლოგიების მიმართულებით ინოვაციების განვითარების ხელშეწყობა

ღია ბანკინგის/ფინანსების შემდგომი განვითარებისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი, შესაბამის ტექნიკურ სტანდარტებზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის დამოუკიდებლობის გაზრდაა. კერძოდ, გაფართოვდება აღნიშნული ჯგუფის ღია ბანკინგის/ფინანსების API სტანდარტების დამდგენი დამოუკიდებელი ორგანოს მასშტაბები და იგი მეტად დივერსიფიცირებული გახდება. ამისათვის შეიქმნება სამუშაო ჯგუფის მმართველი დამოუკიდებელი საბჭო, რომელშიც თანაბრად იქნება წარმოდგენილი ყველა დაინტერესებული მხარე, როგორცაა ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საგადახდო მომსახურების პროვაიდერები და სხვა მესამე მხარის პროვაიდერები. მეტიც, სამუშაო ჯგუფი დამოუკიდებელი იქნება საქართველოს საბანკო ასოციაციისგან და უნდა ფინანსდებოდეს არა კომერციული ბანკების ან მთავრობის მიერ, არამედ დამოუკიდებელი თვითდაფინანსების სქემით, რაც შესაძლოა, მოიცავდეს საერთაშორისო დონორების ფინანსურ მხარდაჭერას.

საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულირების ლაბორატორია, რომელიც საფინანსო სექტორის წარმომადგენლებს ინოვაციური პროდუქტებისა და სერვისების რეალურ, გამარტივებულ მარეგულირებელ გარემოში ტესტირების საშუალებას აძლევს, მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილებას დაქვემდებარებული ფინანსური ინსტიტუტებით შემოიფარგლება. განხორციელდება ლაბორატორიის მასშტაბების საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არარეგულირებად სუბიექტებზე გავრცელებაც. შედეგად, ლაბორატორიის ფარგლებში ფინტექ-კომპანიებსა და სტარტაპებს შესაძლებლობა ექნებათ ითანამშრომლონ როგორც საფინანსო, ისე არასაფინანსო სექტორის წარმომადგენელ სუბიექტებთან, რაც მათ ინოვაციური ფინანსური პროდუქტების/სერვისების განვითარებისთვის ბიზნეს იდეების უფრო ფართო არჩევანს შესთავაზებს.

გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული ბანკი გააგრძელებს მუშაობას რეგულირების ლაბორატორიის საერთაშორისო კონცეფციის ჩამოყალიბებაზე. აღნიშნული ინიციატივა ქვეყნებს შორის ფინანსური სექტორის მარეგულირებელი პოლიტიკისა და ტექნიკური

სტანდარტების კოორდინაციასა და ჰარმონიზაციას გულისხმობს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს ევროკავშირის რეგულაციებთან და სტანდარტებთან შესაბამისობა. საწყის ფაზაში, საერთაშორისო ლაბორატორია განისაზღვრება, როგორც ინოვაციური ფინანსური პროდუქტების/სერვისების ტესტირების გამარტივებული ჩარჩო, რომელიც ხელმისაწვდომს გახდის ტესტირების შედეგებს ლაბორატორიაში მონაწილე სხვადასხვა იურისდიქციისთვის მათი სპეციფიკური მარეგულირებელი მოთხოვნების გვერდის ავლით. კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკი განიხილავს რეგიონის ქვეყნებთან ღია ბანკინგის საერთო პრინციპების დანერგვას, რაც ხელს შეუწყობს საზღვრებს მიღმა ფინანსური მონაცემების მიმოცვლას. ამასთან, განხორციელდება მეზობელ ქვეყნებს შორის მცისიერი გადახდების სისტემების დაკავშირება, რაც გაამარტივებს QR კოდების საშუალებით საერთაშორისო გადარიცხვებს და გაზრდის ქვეყნებს შორის ფინანსური სისტემების თავსებადობას. საერთაშორისო დონეზე რეგულირების ლაბორატორიის მასშტაბების გავრცელება, ასევე ხელს შეუწყობს ფინტექ-კომპანიების, სტარტაპებისა და შესაბამისად, ინოვაციური ტალანტის მოზიდვას ქვეყანაში.

### 3.5 ციფრული უნარების და ინკლუზიის განვითარება

#### მიზანი 5: ციფრული განათლების, ციფრული წიგნიერებისა და ინკლუზიის განვითარების ხელშეწყობა

მოქმედი და მომავალი ათწლეულის მუშახელის ციფრული უნარებისა ზრდის ინიციატივები, გადამწყვეტი იქნება საქართველოში ეკონომიკური ზრდის, ინკლუზიურობის და პროდუქტიულობის ოპტიმიზაციისთვის. ინიციატივები საჭიროებს მუდმივ მონიტორინგს, შეფასებას და გაუმჯობესებას, დამსაქმებლებთან კონსულტაციას და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებას, როგორცაა მოსწავლეებზე ფოკუსირების ხელშეწყობა და განათლების სექტორში არსებული პრობლემების გადაწყვეტა ეფექტური მიმართვით, რაც ხელს უწყობს ციფრული ინოვაციების განვითარებასა და ციფრული ტრანსფორმაციის დაჩქარებას.

კერძო და საჯარო სექტორის არსებული ICT სფეროს სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება დაეხმარება მათ ადაპტირდნენ თანამედროვე ტექნოლოგიებთან და დამსაქმებელი კომპანიების ციფრულ სისტემებთან. ციფრული უნარების ზრდის ინიციატივების ეფექტურობა გაიზრდება დამსაქმებლებთან თანამშრომლობით, სასწავლო პროგრამები არა მხოლოდ საშუალებას მისცემს დასაქმებულ პირებს დააკმაყოფილონ ციფრული უნარების ცვალებადი მოთხოვნები, არამედ კომპანიებს, მათი თანამშრომლების ციფრული უნარების ზრდისათვის დანერგონ ინოვაციები, რადგან ხშირად, სამუშაო ძალის უნარების ნაკლებობა ხელს უშლის კომპანიების პროგრესს.

შემდგომი ინიციატივები ორიენტირებული იქნება ახალი თაობის სამუშაო ძალის მომზადებაზე. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოში დაახლოებით 1 მილიონი 19 წლამდე ასაკის ახალგაზრდა შეუერთდება სამუშაო ძალას მომდევნო 20 წლის განმავლობაში. ავტომატიზაციისა და გაციფრულების მოსალოდნელი დაჩქარების გათვალისწინებით, დამლევს იქნება რისკი, რომ ზოგიერთმა სამუშაო პოზიციამ, განიცადოს მნიშვნელოვანი ცვლილებები, ან ზოგიერთ შემთხვევაში, მთლიანად გაუქმდეს, ჩანაცვლდეს ტექნოლოგიური ინოვაციებით. ასეთი ვითარება მოითხოვს ურთიერთდაკავშირებული ინიციატივების

გაერთიანებას: ტექნოლოგიების ადრეულ ეტაპზე ინტეგრირებას განათლების სისტემაში, ფუნდამენტური უნარების გაძლიერებას, მათ შორის ინტერპერსონალური კომუნიკაციის, ანალიტიკური აზროვნების და გუნდური მუშაობის უნარებს, გოგონების, ქალებისა და სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას კარიერული ზრდის და სწავლის შესაძლებლობების შესახებ, „STEM“ და მასთან დაკავშირებულ სფეროებში. აღნიშნული პროგრამები მნიშვნელოვნად ეფექტური გახდება დამსაქმებლის ჩართულობით, რაც უზრუნველყოფს უფრო მეტ ინფორმირებულობას კარიერული ზრდის შესახებ და პროცესში ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების მოსაზიდად.

ციფრული შესაძლებლობებით აღჭურვილი მასწავლებლებისა და ტრენერების მომზადება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მომავლისთვის მზადყოფი სამუშაო ძალის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ტრენერების და ციფრული უნარების სასწავლო პროგრამების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, მთავრობა ხელს შეუწყობს გადამზადების პროგრამების გაზრდას. მიუხედავად იმისა, რომ მოწინავე ციფრული უნარების განვითარების ძირითადი არხი იქნება ფორმალური განათლების სისტემა, მრავალი საშუალება, მათ შორის არაფორმალური სწავლება, მნიშვნელოვანი იქნება არა სასკოლო ან სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ციფრულ პროცესებში ჩასართავად.

უწყვეტი ძალისხმევა იქნება მიმართული, რათა ციფრული ეკონომიკის შესაძლებლობები და სარგებელი ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს და ყველა იყოს მაქსიმალურად დაცული ციფრულ ეკონომიკასთან დაკავშირებული რისკებისგან.

განისაზღვრება შესაბამისი ზომები და განხორციელება აქტივობები ციფრული ტექნოლოგიებისა და სერვისების ხელმისაწვდომობისა და გამოყენების კუთხით, სხვადასხვა ჯგუფებში, ქალებსა და მამაკაცებში, სოფლის და ქალაქის მაცხოვრებლებში, სხვადასხვა ასაკობრივ და დასაქმების ჯგუფებში.

გაიზრდება მოსახლეობის ინფორმირების დონე არსებულ ციფრულ ტექნოლოგიებზე, სხვადასხვა ციფრულ ინსტრუმენტებზე წვდომასა და გამოყენებაზე. ასევე, შესაძლებლობა მიეცემათ სოციალურად მოწყვლად პირებს და ეთნიკურ უმცირესობებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და რისკის ქვეშ მყოფ ჯგუფებს (მოხუცები, სიღარიბის ზღვარს მყოფი ოჯახები, სოფლის ან მაღალმთიანი რეგიონების მაცხოვრებლები) შეიძინონ ციფრული უნარები. პროგრამები იქნება ორიენტირებული კომუნიკაციის, ვაჭრობისა და საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობის საბაზისო ონლაინ ინსტრუმენტებზე წვდომის და გამოყენების უნარების გაზრდაზე. ასევე, ჩატარდება ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენების ტრენინგები.

## ამოცანა 5.1: საგანმანათლებლო რესურსების განვითარება და ციფრული უნარებისა და ინკლუზიის გაძლიერება

გაგრძელდება ძალისხმევა ციფრული ტექნოლოგიებისა და ინსტრუმენტების ფორმალურ განათლებაში გამოსაყენებლად, რათა მოსწავლეები გაეცნონ ციფრული ტექნოლოგიებით სარგებლობის მეთოდებს.

შემუშავდება ჰოლისტიკური მიდგომა ციფრული უნარების და კომპეტენციების განვითარების მიმართულებით. მომავლისთვის მზადყოფი მუშახელის მომზადებისთვის განხორციელდება

დარგებთან და ინოვაციების ეკოსისტემის სუბიექტებთან თანამშრომლობა, ამასთან გლობალური მოთხოვნის პერიოდული შეფასება მოთხოვნის ტენდენციების დასადგენად.

განხორციელდება საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ციფრული სერვისების ტექნიკური სტანდარტების შექმნა. საგანმანათლებლო დაწესებულებების, განსაკუთრებით დაწყებითი და საშუალო საფეხურების დაწესებულებების სასწავლო პროგრამების განახლება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

ციფრული უნარების განვითარება სავალდებულოა ზოგადი განათლების საფეხურზე პირველიდან მეთორმეტე კლასამდე. განხორციელდება მასწავლებლების მომზადება საგნის ეფექტური სწავლებისთვის.

განისაზღვრება ციფრული უნარების მინიმალური მოთხოვნები.

უზრუნველყოფილი იქნება ციფრული უნარების პროგრამების და კამპანიების ზრდა, რომლებიც ხელს უწყობენ ციფრული ტექნოლოგიების უსაფრთხო გამოყენებას.

ციფრული უნარების განვითარების მიზნით, ფორმალური განათლების სივრცეში, პროფესიული განათლების მიმართულებით გაიზრდება როგორც ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით არსებული პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების რაოდენობა, ასევე იმ პირების რაოდენობა, რომლებიც გაივლიან აღნიშნულ პროგრამებს. ამასთან, განხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება ციფრული უნარების მოდულით, რაც კიდევ უფრო გაზრდის პროფესიული განათლების სივრცეში ციფრული უნარების განვითარების შესაძლებლობას არამხოლოდ სტუდენტების/მსმენელებისთვის, არამედ პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვისაც.

შეიქმნება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განმხორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და კერძო სექტორს შორის კოორდინაციისა და უკუკავშირის მექანიზმები.

მოწყვლადი ჯგუფების ციფრულ ტექნოლოგიებსა და სერვისებზე წვდომისა და გამოყენების კუთხით იდენტიფიცირებული იქნება შესაბამისი ზომები და დაიწყება განხორციელება.

მომზადებული იქნება პროგრამები საბაზისო ციფრული უნარების გასაუმჯობესებლად, არსებულ ციფრულ შესაძლებლობებზე წვდომის და გამოყენებისთვის, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველ, ეთნიკური უმცირესობების და რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფებისთვის (მაგ., ხანდაზმულები, ღარიბი, სოფლად, მთიან რეგიონებში მცხოვრები ოჯახები).

შეიქმნება სპეციალური პროგრამები, ისეთი უნარების შემუშავებასა და გამოყენებაზე, რომლებიც დაეხმარება მოწყვლად მოსახლეობას კომუნიკაციაში, ვაჭრობის მომსახურებების მიღებაში და სახელმწიფო სერვისებზე წვდომაში.

ხელი შეეწყობა მოქალაქეების წვდომას კომპიუტერულ ტექნიკაზე, რაც აუცილებელია საჯარო სექტორის ციფრულ სერვისების მიღებისთვის, რისთვისაც, საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს მაღალხარისხიან ინტერნეტზე დაერთებულ კომპიუტერულ ტექნიკაზე წვდომას ადგილობრივ საჯარო დაწესებულებებში, როგორცაა ბიბლიოთეკები და სკოლები.

უზრუნველყოფილი იქნება, რომ ყველა საჯარო ციფრული გადაწყვეტა უზრუნველყოფილი იქნეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ვებმისაწვდომობის მოთხოვნების

შესაბამისად. მოთხოვნები უკვე არსებობს საჯარო სექტორისთვის, მაგრამ შემდგომი ძალისხმევა უნდა იქნეს მიმართული მათი შესაბამისობის ზედამხედველობისთვის.

მომზადდება და გავრცელდება საინფორმაციო მასალები ვებმისაწვდომობის მოთხოვნების შესახებ. მასალების მომზადებაში ჩართული იქნება ყველა დაინტერესებული პირი და ორგანიზაცია.

საზოგადოების, მათ შორის დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა ინსტრუმენტების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ვებ-მისაწვდომობის შესახებ.

მოქალაქეთა მიერ ციფრული სერვისების გამოყენების მოტივაციის ამაღლების მიზნის მისაღწევად, განხორციელდება სისტემატური და მიზანმიმართული კამპანიები, რათა მოქალაქეებმა და მცირე და საშუალო ბიზნესების წარმომადგენლებმა ქვეყნის ყველა კუთხეში, განსაკუთრებით სოფლად და მოწყვლადმა ჯგუფებმა, მიიღონ მეტი მოტივაცია ციფრული სერვისებით სარგებლობისთვის. კამპანიები დაიგეგმება, განვითარდება და კოორდინირებული იქნება ცენტრალიზებულად, მათ განხორციელებაში ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და მოხალისეთა ორგანიზაციების ჩართულობით.

## **ციფრული ტრანსფორმაციის მდგრადობის ხელშეწყობა**

ყველა ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად და გრძელვადიან პერსპექტივაში მათი მდგრადობის უზრუნველსაყოფად, ასევე ვინაიდან, ციფრული ტექნოლოგიები სულ უფრო მეტად ხდება ყოველდღიური ცხოვრებისა და ინდუსტრიის განუყოფელი ნაწილი და ის დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ განვითარებაზე, მნიშვნელოვანია მისი მდგრადობის შენარჩუნება გრძელვადიან პერსპექტივაში სხვადასხვა, მათ შორის ტექნოლოგიური გარემოს მდგრადობის, სხვადასხვა სახის გამოწვევების წინაშე მდგრადობის, ციფრული უთანასწორობის დასაძლევად მდგრადი გარემოს უზრუნველყოფის, გაციფრულებიდან გამომდინარე სამუშაო ძალის მდგრადი ციფრული ტრანსფორმაციის, ეკონომიკური მდგრადობის მიმართულებით.

ციფრული ტრანსფორმაციის მდგრადობა მრავალმხრივი გამოწვევაა, რომელიც მოიცავს ტექნოლოგიურ ზრდას, სოციალურ თანასწორობასა და ეკონომიკურ სარგებელს შორის ბალანსს. აღნიშნულ გამოწვევასთან გამკლავება მოითხოვს მუდმივ ყურადღებას და პროაქტიულ ზომებს რათა უზრუნველყოფილი იქნეს ციფრული ტრანსფორმაციის მდგრადობა გრძელვადიან პერსპექტივაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მისაღწევად და ციფრული ტრანსფორმაციის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, გლობალური მასშტაბით მთავრობები და საერთაშორისო ორგანიზაციები მუშაობენ მუდმივად განახლებად პოლიტიკასა და რეგულაციაზე, საუკეთესო პრაქტიკების გამოვლენასა და იმპლემენტაციაზე, შესაბამისი სტანდარტების დანერგვაზე. ციფრული ტრანსფორმაციის მდგრადობის უზრუნველსაყოფად განხორციელდება თანამშრომლობა საჯარო სექტორს შორის ადგილობრივ დონეზე, ასევე საერთაშორისო მასშტაბით და დონორ ორგანიზაციებთან, რისთვისაც ევროკავშირის რეგულაციების

შესაბამისად, დაინერგება კოორდინაციის მექანიზმები და სწრაფად განვითარებად ციფრულ სამყაროში, განხორციელდება მუდმივი მონიტორინგი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პოლიტიკისა და რეგულაციების განახლება/დანერგვა, რათა საქართველო არ ჩამორჩეს გლობალურ ციფრულ ტრანსფორმაციასა და ციფრული ეკონომიკის განვითარების საერთაშორისო ტენდენციებს.

#### 4. სტრატეგიის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება

წინამდებარე სტრატეგიის ეფექტიანი განხორციელებისათვის, შემუშავდება სტრატეგიის ყოველი მომდევნო 3 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც თითოეული მიზნითა და ამოცანით განსაზღვრული შედეგის მისაღწევად კონკრეტულ აქტივობებს განსაზღვრავს.

სტრატეგიის საფუძველზე განსაზღვრული აქტივობები განხორციელდება სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მეშვეობით. სტრატეგია და მის საფუძველზე მომდევნო წლებში შემუშავებული სამოქმედო გეგმები განხორციელდება და მათი დაფინანსება უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით და დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით.

სტრატეგიის ფარგლებში, 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმის საპროგნოზო ბიუჯეტი შეადგენს 128 380 451 ლარს. ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში, ყველა აქტივობა შესრულდება, რადგან საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს საჭირო რესურსების მოძიებას საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით. რეალისტური სცენარის შემთხვევაში, ზოგიერთ აქტივობას, რომლის დაფინანსებაც ჯერ არ არის უზრუნველყოფილი, დაფინანსდება სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი საბიუჯეტო რესურსების მოძიების გზით ან აქტივობები შეტანილი იქნება მომდევნო სამოქმედო გეგმაში. პესიმისტური სცენარის შემთხვევაში აქტივობები ვერ განხორციელდება ფინანსური რესურსების არქონის გამო.

წინამდებარე სტრატეგიის ეფექტური კოორდინაციისთვის, საქართველოს მთავრობა შექმნის „საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების უწყებათაშორის საბჭოს“, რომელსაც უხელმძღვანელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი და რომელიც სტრატეგიულ ზედამხედველობას და კოორდინაციას გაუწევს სტრატეგიით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებას.

საბჭოს მუშაობაში აქტიური ჩართულობისა და ციფრულ ტრანსფორმაციაზე პასუხისმგებელი და მაკოორდინირებელი ფუნქციის და მასზე საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულების პარალელურად, საბჭოს სამდივნოს ფუნქციას განახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტი.

სტრატეგიის განხორციელების პროცესს ზედამხედველობას და კოორდინაციას გაუწევს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. სამინისტრო უზრუნველყოფს ამ პროცესში ყველა შესაბამისი პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყების ჩართულობას, რისთვისაც იგი მინისტრის ბრძანებით შექმნის „საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების უწყებათაშორის საბჭოს შესაბამის სამუშაო ჯგუფს“.

საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი „საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების უწყებათაშორის საბჭოს“ სამდივნოს ფუნქციას შეასრულებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს ანგარიშგების მომზადებასა და უწყებებიდან შესაბამისი ინფორმაციის შეგროვების კოორდინაციას. თავის მხრივ, განმახორციელებელი უწყებები პასუხისმგებელი იქნებიან, დროულად და შეთანხმებული ფორმატით მიაწოდონ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ანგარიშგებისათვის საჭირო მონაცემები.

„საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების უწყებათაშორის საბჭო“ შეიკრიბება წელიწადში მინიმუმ ორჯერ და დამატებით საჭიროების შემთხვევაში. საბჭო, მთავრობაზე წარსადგენად განიხილავს და მოიწონებს სტრატეგიის მომდევნო წლების სამოქმედო გეგმებს და საჭიროების შემთხვევაში შესაძლო ცვლილებებს.

წინამდებარე სტრატეგიის განხორციელების პროცესში, პასუხისმგებელ უწყებებად განსაზღვრულნი არიან:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტო“;
3. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;
4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“;
5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „აწარმოე საქართველოში“;
6. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური;
7. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
8. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“;
9. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
10. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტო“;
11. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
12. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სახაზინო სამსახური;
13. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური;
14. საქართველოს ეროვნული ბანკი;
15. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;
16. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
17. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო;

სტრატეგიისა და მისი შესაბამისი ყოველწლიური სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის პროცესში, პასუხისმგებელ უწყებებთან ერთად, ჩართულნი იქნებიან დაინტერესებული მხარეები შეხვედრების გზით, მეილების საშუალებით ან/და საკომუნიკაციო სხვა არხებით. ანგარიშები, სტრატეგიის განმახორციელებელ უწყებებთან და დაინტერესებულ მხარეებთან შეჯერების შემდეგ წარედგინება უწყებათაშორის საბჭოს და მისი სამუშაო ჯგუფის წევრებს.

კერძოდ, ყოველ ექვს თვეში მომზადდება პროგრეს ანგარიშები, წლიური ანგარიშები მომზადდება და გამოქვეყნდება საანგარიშო პერიოდის გასვლიდან არაუგვიანეს 2 თვის განმავლობაში, ხოლო შუალედური და საბოლოო შეფასება - საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში. მომზადებული დოკუმენტები გამოქვეყნდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებგვერდზე [www.moesd.gov.ge](http://www.moesd.gov.ge).

საანგარიშო პერიოდის გასვლიდან არაუგვიანეს 2 თვის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მას გაუზიარებს საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების უწყებათაშორის საბჭოს და მისი სამუშაო ჯგუფის წევრებს და დაინტერესებულ მხარეებს.

მონიტორინგისა და შეფასების პროცესში დაინტერესებული მხარეები ჩართულნი იქნებიან შეხვედრების გზით, მათი კომენტარების მიღება, კომუნიკაცია უზრუნველყოფილი იქნება როგორც შეხვედრებით, ისე კომუნიკაციების სხვადასხვა წყაროებით.

სტრატეგიის შეფასება შეიძლება ჩატარდეს შიდა რესურსებით, რომელსაც განახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტი ან შერეული მეთოდით, როდესაც საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტს შესაძლებელია დაეხმარონ დამოუკიდებელი ადგილობრივი ან საერთაშორისო ექსპერტები, ან შესაბამისი პროფილის ორგანიზაციები.

დეტალური ინფორმაცია ანგარიშების მომზადებისა და გამოქვეყნების შესახებ მოცემულია ცხრილის სახით:

ანგარიშის ტიპი	საანგარიშო პერიოდი	გამოქვეყნების პერიოდი
პროგრეს ანგარიში	ყოველი წლის 1-6 თვე	საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 60 კალენდარულ დღის ვადაში (არა უგვიანეს 1 სექტემბრისა)
წლიური ანგარიში	ყოველი წლის 1 – 12 თვე	საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 60 კალენდარულ დღის ვადაში (არა უგვიანეს 1 მარტისა)

შუალედური შეფასების ანგარიში	მომზადდება სტრატეგიის დამტკიცებიდან 3 საანგარიშო წლის გასვლის შემდეგ	2028 წლის 30 ივნისი
საბოლოო შეფასების ანგარიში	სტრატეგიის დამტკიცებიდან მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე	სტრატეგიის დასრულებიდან 180 დღის ვადაში.

დანართი №1 - საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების 2025 - 2030 წლების სტრატეგიის ლოგიკური ჩარჩო

დანართი №2 - ინდიკატორების პასპორტები

დანართი №3 - საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების 2025-2030 წლების სტრატეგიის და „საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების 2025-2030 წლების სტრატეგიის განხორციელების 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმის პროექტების საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიში